

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №1

2003 წლის 27 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 21-ე, 42-ე, 49-ე, 49¹, 49² მუხლების, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და 21-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მარეგულირებელი წესები (თან ერთვის).

1¹. დამტკიცდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მარეგულირებელი წესი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 15 ივლისის დადგენილება №4 - ვებგვერდი. 26.07.2021წ.

2. დამტკიცდეს სალიცენზიო მოწმობის ფორმა (დანართი 1).

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიულ სამსახურს (ე.ასანიძე) დადგენილების საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე: **ვ. აბაშიძე**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესები თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

1. წინამდებარე მარეგულირებელი წესები მიღებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) მიერ, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროებში კომისიის საქმიანობის რეგულირების უზრუნველსაყოფად.

2. ამ წესებში მოცემულია დებულებები:

ა) კომისიის წევრებისა და აპარატის მუშაკების პროფესიული და ეთიკური ქცევის, კომისიის ყოფილი წევრებისა და აპარატის ყოფილი თანამშრომლების ქცევის წესების შესახებ; ექს-პარტე შეტყობინების მიღებისა და განხილვის შესახებ;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის პროცედურების შესახებ; კომისიის სამართლებრივი აქტების, მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის და კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას შემოსული ინფორმაციის შენახვისა და ხელმისაწვდომობის თაობაზე, ასევე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ;

გ) რეგულირების პროცესის გამჭვირვალობისა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საჯარო განხილვების ჩატარების პროცედურების შესახებ;

დ) კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე განცხადებების მიღების, განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურების შესახებ;

ე) კომისიის გადაწყვეტილებების მომზადებისა და გამოქვეყნების პროცედურების შესახებ; კომისიის გადაწყვეტილებების შესაძლო დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და მათზე რეაგირების შესახებ;

ვ) ავტორიზებულ პირებს შორის, ლიცენზიის მფლობელებს შორის, ავტორიზებულ (ლიცენზირებულ) პირებსა და მომხმარებლებს შორის დავების განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ;

ზ) მომხმარებელთა საჩივრების მიღების, განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურების შესახებ;

თ) სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენების წესს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III , № 45 , 18.04.2005 წ.,მუხ. 469



მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლითა და “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და “ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები, აგრეთვე შემდეგი მნიშვნელობები:

ა) გამოქვეყნება - ინტერნეტში კომისიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნება;

ბ) ექს-პარტე შეტყობინება – მესამე პირის მიერ კომისიაში წერილობითი სახით შეტანილი შეტყობინება კომისიის სხდომის დღის წესრიგში შესულ ან კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. ექს-პარტე შეტყობინება გამოიყენება იმ მიზნით, რომ კომისიას გააჩნდეს სრულყოფილი ინფორმაცია და მოქნილობა გადაწყვეტილების მიღებისას;

გ) დღე – სამუშაო დღე;

დ) სახმობი – ლათინური ასოებისა და ციფრებისაგან შედგენილი კომბინაცია, რომელშიც პირველი ორი ნიშანი აღნიშნავს ქვეყანას, ხოლო მომდევნო კონკრეტულ რადიოსადგურს;

ე) საზღვაო ხომალდის ამოცნობის ნიშანი – ცხრა ციფრისაგან შედგენილი აღნიშვნა, რომელშიც პირველი სამი ციფრი წარმოადგენს ამოცნობის ნიშნის მიმნიჭებელი ადმინისტრაციის გეოგრაფიულ ზონას, ხოლო მომდევნო განსაზღვრავს კონკრეტულ რადიოსადგურს.

ვ) ამოწურვადი რესურსი – რადიოსიხშირული სპექტრი ან/და ნუმერაციის რესურსი;

ზ) ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური – რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასური ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური – შესაბამისი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მამდიბლის მიერ გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა განისაზღვრება და გადახდის წესი დგინდება აუქციონის საფუძველზე ან/და კომისიის დადგენილებებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ ან „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად ან „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სხვა წესით. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასური, გარდა ლიცენზიის მისაღებად გადასახდელი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურისა რომელიც სრულად ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ასევე ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური ირიცხება კომისიის ბიუჯეტში.

მუხლი 3. კომისიის წევრებისა და კომისიის აპარატის მუშაკების ინტერესთა კონფლიქტი, სხვა ეთიკური ნორმები

1. კომისიის წევრებისა და კომისიის აპარატის მუშაკების ინტერესთა კონფლიქტის პირობები განისაზღვრება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით.

2. კომისიის წევრს და აპარატის მუშაკს უფლება არა აქვთ მიიღონ საჩუქარი იმ პირისგან ან ორგანიზაციისგან, რომელიც ექვემდებარება კომისიის უფლებამოსილებას. საჩუქარში იგულისხმება უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ნებისმიერი ქონება ან ქონებრივი ვალდებულებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე იმ პირის მიერ აშკარად შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც ასეთი მომსახურებისთვის, ჩვეულებრივ, იღებს გასამრჯელოს.

3. კომისიის წევრი და აპარატის მუშაკი ვალდებული არიან ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობისას განაცხადონ თვითაცილების შესახებ, თუ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები ან/და არსებობს სხვა გარემოება, რაც გავლენას მოახდენს საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტაზე.

4. კომისიის წევრს და აპარატის მუშაკს უფლება არა აქვთ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა გამოიყენონ კომისიის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც არ განეკუთვნება მათ სამსახურებრივ მოვალეობას.

5. კომისიის წევრს და აპარატის მუშაკს უფლება არა აქვთ გაამჟღავნონ ან არასამსახურებრივი მიზნებისთვის გამოიყენონ სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლოება, რაც მათთვის ცნობილი



გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს. ვალდებულება ვრცელდება კომისიის ყოფილ წევრებსა და აპარატის ყოფილ მუშაკზეც.

6. კომისიის წევრს და აპარატის მუშაკს ეკრძალება:

ა) ქონებრივი გარიგების დადება კომისიასთან;

ბ) როგორც კომისიის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება პირთან, რომლის დამფუძნებელი, წილის (აქციების) მფლობელია ან მინიჭებული აქვს ხელმძღვანელობითი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;

გ) როგორც კომისიის წარმომადგენელმა დადოს ქონებრივი გარიგება საკუთარი ოჯახის წევრთან.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

თავი II.ადმინისტრაციული წარმოება კომისიაში

მუხლი 4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1. კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება;

ბ) კომისიისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება ან მინიჭებული უფლებამოსილება – გამოსცეს ადმინისტრაციული ან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება იწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 5. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება დაინტერესებული პირის განცხადებით

1. დაინტერესებული პირის კომისიაში წარდგენილი განცხადება იწვევს კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, თუ იგი შეეხება კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს.

2. განცხადებით ადმინისტრაციული წარმოება კომისიაში იწყება, თუ იგი შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ რეკვიზიტებს ან სულ ცოტა ქვემოთ ჩამოთვლილ მონაცემებს:

ა) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

ბ) მოთხოვნას;

გ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

დ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს საბუთები, თუ მათ არსებობას ითვალისწინებს კანონმდებლობა ან ადასტურებენ განცხადებაში მოყვანილ მოთხოვნას, ან მათზე უთითებს განმცხადებელი.

4. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს კომისიას ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

5. საერთაშორისო პროცედურების შესაბამისად მოსაზღვრე ქვეყნის მიერ კოორდინაციაზე წარმოდგენილი სიხშირის გამოყენების განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) მიერ დადგენილი ფორმით.

6. დეკლარაცია/განცხადება ავტორიზაციის შესახებ კომისიაში შეტანილ უნდა იქნას “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ან/და ‘მაუწყებლობის შესახებ’ საქართველოს კანონის 45¹ მუხლის შესაბამისად.

7. სალიცენზიო განცხადება უნდა შეიცავდეს აუქციონის ან კონკურსის გამართვის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მონაცემებს. სალიცენზიო განცხადებას თან უნდა დაერთოს „[ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ](#)“ ან „[მაუწყებლობის შესახებ](#)“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

8. განცხადება ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე შეტანილი უნდა იქნეს კომისიაში, ლიცენზიის მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 33 სამუშაო დღისა. ამ ვადის დარღვევით შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით კომისია იღებს გადაწყვეტილებას მისი განუხილველად დატოვების შესახებ. ლიცენზიის გაგრძელებასთან დაკავშირებული სხვა ვადები და წესები განისაზღვრება “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” და “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონებით;

8¹. [\(ამოღებულია - 23.02.2018, №3\).](#)

9. განცხადება სიხშირის მინიჭების თაობაზე უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

10. განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს კომისიისთვის წარდგენილი პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა. ამ შემთხვევაში მან უნდა მიუთითოს ინფორმაციის საიდუმლოების თაობაზე.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)



[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ.,მუხ.1293](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 -ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილება №3 -ვებგვერდი, 27.07.2015 წ.](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 23 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.](#)

მუხლი 6. კომისიის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება

კომისიის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას წარმოადგენს:

ა) კომისიის მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება;

ბ) ლიცენზიის/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელის ან/და ავტორიზებული პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის) ან სალიცენზიო/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების ან/და ავტორიზაციის პირობების დარღვევაზე, ან პირის მიერ ულიცენზიოდ/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების გარეშე, ან/და ავტორიზაციის გარეშე საქმიანობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემა;

გ) მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმის და პრიორიტეტების დადგენის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა;

დ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ლიცენზიის გაცემის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ, ასევე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ან/და კონკურსის გამოცხადების შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 -ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 23 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.](#)

მუხლი 7. კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების სახეები

1. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, „[ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ](#)“ და „[მაუწყებლობის შესახებ](#)“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

2. ადმინისტრაციული წარმოება კომისიაში მიმდინარეობს იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოებისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არის დადგენილი.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს კომისია განიხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 8. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 9. წარმომადგენლობა კომისიაში

1. (ამოღებულია)

2. მოქალაქეს ან იურიდიულ პირს შეუძლია კომისიაში საქმე აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში.

3. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია კომისიის მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი.

4. თუ პირი არ შეასრულებს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნას, კომისიას ეხსნება დოკუმენტის გაგზავნის პასუხისმგებლობა და ეს არ შეიძლება გახდეს კომისიის ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)



მუხლი 10. ექს-პარტე შეტყობინება

1. ნებისმიერი პირი უფლებამოსილია კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს კომისიაში ექს-პარტე შეტყობინება ამ საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვის დაწყებამდე.

2. ნებისმიერი პირი უფლებამოსილია კომისიისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით შეიტანოს კომისიაში ექს-პარტე შეტყობინება კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით.

3. ექს-პარტე შეტყობინება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საქმისწარმოების დაწყების საფუძველს.

4. ექს-პარტე შეტყობინება რეგისტრირებულ უნდა იყოს ცალკე ჟურნალში, რომელშიც აღირიცხება: ექს-პარტე შეტყობინების შემტანი პირი, შეტანის თარიღი და მოკლე შინაარსი. ექს-პარტე შეტყობინების შემცველი დოკუმენტაციის და სარეგისტრაციო ჟურნალის კომისიაში შენახვა ხდება ამ წესების მე-19 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

5. ექს-პარტე შეტყობინების კომისიაში რეგისტრაციის შემდგომ კომისია ვალდებულია შეამოწმოს მასში მოცემული ინფორმაცია და ფაქტები შეტყობინებასთან დაკავშირებული საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია გადადოს საკითხის განხილვა.

6. სხდომაზე ექს-პარტე შეტყობინებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვამდე კომისია იცავს ექს-პარტე შეტყობინების კონფიდენციალობას. კონფიდენციალურ ინფორმაციას არ წარმოადგენს ექს-პარტე შეტყობინების კომისიაში შეტანის ფაქტი და ცნობა შემტანი პირის შესახებ.

7. სხდომაზე კომისიამ უნდა იმსჯელოს შეტანილი ექს-პარტე შეტყობინების თაობაზე. ექს-პარტე შეტყობინების შემტანი პირი უფლებამოსილია დაესწროს კომისიის სხდომას.

თავი III. კომისიის სამართლებრივი აქტების მიღების წესი

მუხლი 11. კომისიის სამართლებრივი აქტები

1. კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს (გამოსცემს) სამართლებრივ აქტებს. კომისიის სამართლებრივ აქტებს განეკუთვნება კომისიის დადგენილება, კომისიის გადაწყვეტილება და კომისიის თავმჯდომარის ბრძანება.

2. კომისიის დადგენილება არის ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის, “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. კომისიის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კანონმდებლობით კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ისეთ საკითხზე, რომელიც თავისი შინაარსით არანორმატიული ხასიათისაა, კომისიისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, აგრეთვე კომისიისა და კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც შეიცავს ქცევის ზოგად წესს პირთა განსაზღვრული წრისთვის.

5. კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს კომისიისა და კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც არ შეიცავს ქცევის ზოგად წესს.

6. კომისიის სამართლებრივი აქტები, გარდა კომისიის თავმჯდომარის ბრძანებისა, მიიღება (გამოიცემა) კომისიის სხდომაზე.

7. კომისიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს სამართლებრივი აქტი. თუ კომისია სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სამართლებრივი აქტის გამოცემისას. კომისია უფლებამოსილი არ არის თავისი სამართლებრივი აქტი დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იყო გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

8. გადაუდებელ შემთხვევაში კომისიის სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს ან გამოქვეყნდეს წერილობითი დასაბუთების გარეშე. ასეთ შემთხვევაში წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისთვის სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური გაცნობიდან ერთი კვირის ვადაში.

9. კომისიის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

ა) გადაწყვეტილების გამომცემი ორგანოს დასახელებას და აქტის სათაურს;

ბ) კომისიის წევრების გვარებს, სახელებსა და ხელმოწერებს;

გ) გადაწყვეტილების გამოცემის დროსა და ადგილს;

დ) გადაწყვეტილების სარეგისტრაციო ნომერს;

ე) მითითებას იმ სასამართლოზე, რომელშიც შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება, მის მისამართს და საჩივრის (ან სარჩელის) წარდგენის ვადას.



10. გადაწყვეტილებაზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ., მუხ.1293](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 -ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

მუხლი 12. კომისიის სხდომის მომზადება

1. კომისიის სხდომა საჯაროა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კომისიის ღია სხდომაზე დასწრების უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის – მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს.

2. კომისიის სხდომაზე საკითხების განხილვა ხდება დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით, აგრეთვე მიმდინარე საკითხების გათვალისწინებით. სამუშაო გეგმაში შეტანილი საკითხებისა და მათი განხილვის ვადების შეცვლა შეიძლება მხოლოდ კომისიის გადაწყვეტილებით.

3. კომისია ვალდებულია დაინტერესებულ მხარეს აცნობოს კომისიის სხდომის ჩატარების შესახებ და მისცეს მას სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება. ნებისმიერ პირს უფლება აქვს დაესწროს კომისიის სხდომას. თუ ყველა მსურველის სხდომის დარბაზში მოთავსება ფიზიკურად შეუძლებელია, სხდომაზე დასასწრებად დაიშვებიან ის პირები, რომლებმაც უფრო ადრე გამოთქვეს სხდომაზე დასწრების სურვილი.

4. კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. სხდომის გამართვის დღეა, როგორც წესი, ყოველი სამუშაო კვირის ხუთშაბათი, თუ სხდომის მოწვევის სხვა დრო არ არის განსაზღვრული კომისიის თავმჯდომარისა და წევრების დავალებით ან გადაუდებელი აუცილებლობით.

5. [\(ამოღებულია - 17.08.2017, №5\);](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 -ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №5 -ვებგვერდი, 18.08.2017 წ.](#)

მუხლი 12¹. კომისიის სხდომის მიმდინარეობა

1. კომისიის სხდომას ხსნის და თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული სხდომის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომაზე დღის წესრიგის პროექტს წარმოადგენს ადმინისტრაცია. საჭიროების შემთხვევაში კომისიას დღის წესრიგის პროექტში შეაქვს კომისიის სხდომაზე განსახილველად დამატებით წარმოდგენილი საკითხი. კომისია განსაზღვრავს საკითხის განხილვის რიგითობას, აერთიანებს ერთგვაროვან და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ საკითხებს, გადააქვს საკითხის განხილვა სხვა დროისთვის. დღის წესრიგს კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით, ამტკიცებს კომისია.

3. სხდომის თავმჯდომარეს სხდომა მიჰყავს დღის წესრიგის შესაბამისად და ასახელებს განსახილველ საკითხს. სხდომის მდივანი კომისიას მოახსენებს განსახილველ საკითხზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა, ჩაჰბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს შეტყობინებები, ხოლო მომხსენებელი (კომისიის წევრი, კომისიის აპარატის თანამშრომელი) წარმოადგენს ინფორმაციას მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. არასაპატიო მიზეზით დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს კომისიის მიერ საკითხის განხილვას.

4. სხდომაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია გააფრთხილოს წესრიგის დამრღვევი პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – გააძევოს დარბაზიდან. საკითხის განხილვა შეიძლება გაგრძელდეს დარბაზიდან გაძევებული პირის მონაწილეობის გარეშე.

5. მომხსენებელი (კომისიის წევრი, კომისიის აპარატის თანამშრომელი) კომისიას მოახსენებს საკითხის ძირითად გარემოებებს. მოხსენების დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე, სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს აძლევს დროს წარმოადგინოს დამატება ან/და დაზუსტება.

6. მოხსენების შემდეგ კომისია მოისმენს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარის ახსნა-განმარტებას. კომისია უფლებამოსილია დაინტერესებულ მხარეს დაუსვას შეკითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკითხის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

7. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები ან/და შუამდგომლობები განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით. თუ კომისია მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება საკითხის განხილვის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას.

8. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვა, მნიშვნელოვან გარემოებათა გამოკვლევა და დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების განხორციელება.



9. მნიშვნელოვან გარემოებათა და მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტები, შეაგროვოს ცნობები, დაინიშნოს ექსპერტიზა და მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

10. სხდომის თავმჯდომარე იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს, რათა შესაძლებელი გახდეს საკითხის განხილვის დამთავრება ერთ სხდომაზე. ამ მიზნით სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია: დაინტერესებულ მხარეს სიტყვისთვის განუსაზღვროს დრო; ჩამოართვას სიტყვა, თუ ის არ არის კავშირში განსახილველ საკითხთან ან ემსახურება საკითხის განხილვის გაჭიანურებას ან თუ გადააცილებს სიტყვისათვის მისთვის განსაზღვრულ დროს, აგრეთვე, საკითხის განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე, სიტყვის დასრულებისათვის განუსაზღვროს დამატებითი დრო. დაინტერესებული მხარე ვალდებულია ხელი შეუწყოს საკითხის დადგენილ ვადაში განხილვას. თუ საკითხის სრულყოფილად გამოკვლევა და დამთავრება შეუძლებელია იმავე სხდომაზე, საკითხის განხილვა გადაიდება.

11. კომისია გადაწყვეტილებას იღებს საკითხის ზეპირი მოსმენის გამართვიდან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, რის შესახებ აცნობებს დაინტერესებულ მხარე(ებ)ს. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის დამთავრებისთანავე.

12. კომისიას კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით, შეუძლია მიიღოს საოქმო გადაწყვეტილება კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის რიგითობის შეცვლასთან, ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხების გაერთიანებასთან, საკითხის განხილვის გადადებასთან, სხდომაზე შესვენების გამოცხადებასთან, მხარესთან შეთანხმებით კომისიის სხდომის სამუშაო დროის გაგრძელებასთან, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის აპარატში დასაქმებულებზე დავალების გაცემასთან, დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №5 - ვებგვერდი, 18.08.2017 წ.](#)

მუხლი 13. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

მუხლი 14. კომისიის სხდომისა და აპარატის თათბირის ოქმის გაფორმება

1. კომისიის სხდომებზე, კომისიისა და მისი აპარატის სამუშაო თათბირებზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობა ფიქსირდება ოქმში, რომელშიც უნდა მიეთითოს:

- კომისიის დასახელება;
- სხდომის ან თათბირის ჩატარების დრო და ადგილი;
- სხდომის ან თათბირის თავმჯდომარისა და მდივნის, აგრეთვე სხდომის მონაწილეთა ვინაობა;
- სხდომაზე ან თათბირზე დამსწრეთა და მოწვეულთა ვინაობა;
- განხილვის საგანი;
- სხდომაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგები;
- მიღებული გადაწყვეტილება ან დავალება.

2. ოქმი ფორმდება სხდომის მიმდინარეობის ჩანაწერის, სტენოგრამისა და სხდომისთვის მომზადებული სხვა მასალების (მოხსენების, დადგენილების ან გადაწყვეტილების პროექტი, განმარტებითი ბარათები, ცნობა, დღის წესრიგი, მოწვეულ პირთა სია და სხვ.) საფუძველზე.

3. სხდომისა და თათბირის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

4. კომისიის მიერ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებები ეგზავნებათ ადრესატებს იმ სიის მიხედვით, რომელსაც ადგენს კომისიის აპარატის უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

მუხლი 15. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

მუხლი 16. კომისიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მათ შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წესი

1. კომისიის ყველა დადგენილება და გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ინტერნეტში კომისიის გვერდზე.

2. კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება საიდუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა გამოქვეყნდეს. კომისიის დახურული სხდომის ოქმი საიდუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდგომ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

3. კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – დადგენილება ქვეყნდება "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. ლიცენზიის გაცემის, მოდიფიცირების, შეჩერების, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 17. (ამოღებულია)



თავი IV. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი, დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა და კონფიდენციალობა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 08.05.2014 წ.

მუხლი 18. დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა

1. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსზე (კომისიის ვებგვერდზე www.gncc.ge).

2. კომისიის ვებ გვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას მიეკუთვნება:

ა) კომისიის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა;

ბ) კომისიის მისამართი, ელექტრონული ფოსტისა და სოციალურ ქსელში კომისიის ოფიციალური გვერდის მისამართი, ფაქსის ნომერი, კომისიის წევრების, კომისიის პრესმდივნისა და კომისიის აპარატში დასაქმებულთა საკონტაქტო ინფორმაცია (სამსახურებრივი ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

გ) ინფორმაცია კომისიის წევრების შესახებ მათი ავტობიოგრაფიის (CV) მითითებით;

დ) ინფორმაცია კომისიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების თაობაზე, მათი ავტობიოგრაფიის (CV) მითითებით;

ე) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სახელი გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები;

ვ) კომისიის სამართლებრივი აქტები (დადგენილებები, გადაწყვეტილებები), მათ შორის გადაწყვეტილებები კომისიის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის თაობაზე, კომისიის თავმჯდომარის ბრძანებები, თუ ისინი არ შეიცავენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემებს.

ზ) კომისიის წლიური ანგარიში;

თ) კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ანგარიში;

ი) სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;

კ) ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მომწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით;

ლ) კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

მ) "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისობის დეკლარაციები;

ნ) "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ინფორმაცია კომისიის მომავალი სხდომის (მათ შორის გადაუდებელი აუცილებლობის გამო გასამართი სხდომის), მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე სხდომის დახურვის შესახებ;

ო) საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ და საჯარო გაცნობისთვის წარდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები;

პ) ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული/ლიცენზირებული პირების შესახებ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 08.05.2014 წ.

მუხლი 18¹ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტი

1. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი.

2. საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 08.05.2014 წ.

მუხლი 18². საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, ელექტრონული რესურსის საშუალებით.



2. კომისია უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესაძლებლობას, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეგისტრაციისა და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის არსებობას.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება კომისიის მიერ ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის რეგისტრაციის დადასტურებიდან, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სარეგისტრაციო ნომრის მითითებით, მომდევნო სამუშაო დღეს.

4. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე გაგზავნის საშუალებით.

5. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაციის ელექტრონულად გაგზავნა შეუძლებელია მისი მოცულობიდან გამომდინარე, კომისია, დაინტერესებული პირის თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ინფორმაციის კომპაქტურ დისკზე ჩაწერასა და გაცემას „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოდენობით მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

6. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გაცემაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

მუხლი 18³. დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა

1. კომისია ვალდებულია საქმეთა ნომენკლატურით განსაზღვრული დოკუმენტაცია შეინახოს უწყებრივ არქივში, კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს დაუბრკოლებლად მიიღოს კომისიაში არსებული დოკუმენტაცია.

2. კომისიის სამართლებრივი აქტები ხელმისაწვდომია საჯარო განხილვისთვის, გარდა სახელმწიფო, პროფესიული, პირადი და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.

3. კომისიის უწყებრივ არქივში ჩაბარებამდე დოკუმენტების დაცვის, აღრიცხვისა და შენახვის უზრუნველყოფა ევალებათ კომისიის სტრუქტურულ დანაყოფებს.

4. საარქივო საქმეზე გამოყოფილ უფლებამოსილ პირს შესაბამისი ბრძანებით ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

5. კომისიის არქივის დოკუმენტებს მიეკუთვნება:

ა) საქმისწარმოებით დამთავრებული დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა კომისიის სტრუქტურული დანაყოფის საქმიანობის პროცესში.

ბ) საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ კომისიისთვის გადაცემული ყოფილი საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

გ) ბეჭდვითი გამოცემა, რომელიც კომისიის მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას შეიცავს.

დ) კომისიის აპარატის საქმისწარმოების შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები და მასალები.

6. კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით საარქივო საქმეზე გამოყოფილი უფლებამოსილი პირი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ღებულობს, აღრიცხავს და ინახავს საქმისწარმოებით დამთავრებულ დოკუმენტს, რომელიც წესრიგშია მოყვანილი კომისიის აპარატის საქმისწარმოების შინაგანაწესის შესაბამისად.

ბ) აკონტროლებს სტრუქტურულ დანაყოფებში დოკუმენტების დაცვის, საქმეთა გაფორმების სისწორეს, მონაწილეობას ღებულობს საქმეთა ნომენკლატურის შედგენაში და ამოწმებს საქმეთა ფორმირების პროცესს.

გ) აწარმოებს არქივში შენახული დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას;

დ) აღრიცხავს და ადასტურებს დოკუმენტს;

ე) უწყებრივ არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე ამზადებს სხვადასხვა სახის საარქივო ცნობებს, ასლებსა და ამონაწერებს და არსებული წესის თანახმად გადასცემს მათ დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

ვ) პასუხს აგებს არქივში დაცული დოკუმენტაციის შენახვაზე.

7. ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად საარქივო საქმეზე გამოყოფილ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს კომისიის აპარატის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელს დაიცვას დოკუმენტებთან მუშაობის არსებული წესები.

ბ) მოიწვიოს და დაიხმაროს აპარატის თანამშრომლები.

გ) ითანამშრომლოს სახელმწიფო არქივთან.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

მუხლი 19. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვის წესი განისაზღვრება სახელმწიფო



საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით.

2. კომისიისთვის ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ წარდგენილი ინფორმაცია მისი პირადი, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებაა.

3. პერსონალური მონაცემები პირად საიდუმლოებად მიიჩნევა იმ პირის მოთხოვნით, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

4. კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

5. თუ პირი უთითებს, რომ კომისიისთვის წარდგენილი ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა, კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, 10 სამუშაო დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას წარდგენილი ინფორმაციის საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე. თუ კომისია არ ცნობს წარდგენილ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 სამუშაო დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენს ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომისიას.

6. პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას.

7. პროფესიული, პირადი და კომერციული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაცია აღირიცხება ცალკე ჟურნალში და ინახება საამისოდ გამოყოფილ საცავში.

8. პროფესიული, პირადი და კომერციული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაციის საქმისწარმოებას ახორციელებს ის პირი, რომელსაც კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით დავალებული აქვს სახელმწიფო საიდუმლო საქმისწარმოება.

9. სახელმწიფო, პროფესიულ, პირად და კომერციულ საიდუმლოებაზე დაშვება აქვთ კომისიის წევრებს, აპარატის უფროსს და კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით უფლებამოსილ აპარატის სხვა თანამშრომელს.

10. საიდუმლო დოკუმენტზე დაშვებული პირი მოვალეა დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები.

თავი V. ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭება

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 23 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.](#)

მუხლი 20. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 21. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.20 05 წ.,მუხ. 469](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 22. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 23. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 24. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.20 05 წ.,მუხ. 469](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)



მუხლი 25. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

მუხლი 26. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

მუხლი 27. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

მუხლი 28. რადიოდანადგარები და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარები

რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირების, სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებისა და მომსახურებაში დაშვების საკითხების რეგულირება კომისიის მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ., მუხ.1293](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 -ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

მუხლი 29. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლებისა და რადიოსახმობების მინიჭება

1. ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ულიცენზიოდ, რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობა დაუშვებელია და გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

2. კომისია მაუწყებელს რადიოსიხშირეებს დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის, ანიჭებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. არავტორიზებულ პირს, რომლის საქმიანობა დაკავშირებული არ არის საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფასთან ან/და ამ ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდებასთან, მაგრამ რომელიც საქმიანობისას საჭიროებს რადიოსიხშირეების დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებას, კომისია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ანიჭებს რადიოსიხშირეებს დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით, დროებით – 1 წლის ვადით გამოყენებისათვის, რისთვისაც არავტორიზებული პირი იხდის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურს.

4. არავტორიზებულ პირს, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისთვის (გარდა რადიოსარელო ქსელის ან რადიოსარელო ხაზის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთის გამოყენების მიზნით), კომისია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ანიჭებს რადიოსიხშირეებს დროებით – 1 წლის ვადით, რისთვისაც არავტორიზებადი პირი იხდის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურს.

5. კომისია უფლებამოსილია ავტორიზებულ პირს, რომელსაც ავტორიზებული საქმიანობის განხორციელებისათვის დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით გამოსაყენებლად ესაჭიროება რადიოსარელო ქსელი ან რადიოსარელო ხაზის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთი, მის მიერ კომისიისთვის წარდგენილი განაცხადის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს ქსელისა და სადგურების ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს, აგრეთვე რადიოსიხშირით/რადიოსიხშირეებით სარგებლობის უფლების მინიჭების მისთვის სასურველ ვადას, რომელიც 15 წელს არ უნდა აღემატებოდეს, მიანიჭოს რადიოსიხშირე/რადიოსიხშირეები აუქციონის გამართვის გარეშე, კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით. ამ შემთხვევაში ავტორიზებული პირი იხდის აღნიშნული რესურსით სარგებლობის საფასურს.

6. საჰაერო მოძრაობის და საჰაერო რადიონავიგაციის სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტისა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

7. რადიოსამოყვარულო სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტის შესაბამისად. კომისია ახორციელებს რადიომოყვარულისთვის რადიოსახმობის მინიჭებას ამ რადიოსიხშირულ ზოლებში რადიოსამოყვარულო კავშირის განსახორციელებლად. სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს რადიოსახმობი, რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტით გამოყოფილი რადიოსიხშირის ზოლები და გასხივების სახეები, აგრეთვე რადიომოყვარულის კვალიფიკაცია.

8. საზღვაო მოძრაობის და საზღვაო რადიონავიგაციის სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები



გამოყოფილია ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტის შესაბამისად. კომისია ახორციელებს საზღვაო ხომალდებისთვის რადიოსახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭებას. საზღვაო ხომალდებისთვის რადიოკავშირის განსახორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს რადიოსახმობი და ამოცნობის ნიშნები.

9. რადიოსიხშირის მინიჭება ხდება რადიოსიხშირის მამიებლის მიერ კომისიაში წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად, რომელშიც უნდა აღნიშნოს:

- ა) რადიოსიხშირე, რომლის მიღებასაც მოითხოვს რადიოსიხშირის მამიებელი;
- ბ) რადიოსიხშირის მინიჭების შემთხვევაში განსახორციელებელი საქმიანობის სრული აღწერილობა, ტექნიკური პარამეტრების მითითებით;
- გ) სამოქმედო ზონა;
- დ) მონაცემები განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ;
- ე) გადამცემის ტიპი და ძირითადი ტექნიკური პარამეტრები;
- ვ) სავარაუდო მუშა რადიოსიხშირე, რადიოსიხშირული ზოლი;
- ზ) გამოსასხივებელი ეფექტური სიმძლავრე;
- თ) ანტენის ტიპი, გასხივების დიაგრამა;
- ი) ანტენის განთავსების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები;
- კ) ანტენის განთავსების სიმაღლე;
- ლ) რადიოსიხშირული სპექტრის რესურსით სარგებლობის ვადა.

10. რადიოსიხშირის მამიებელმა ფიზიკურმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს პირადობის მოწმობის ასლი, ინდივიდუალურმა მეწარმემ ან იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ დაფუძნების აქტი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. განცხადებას თან უნდა დაერთოს კომისიის ბიუჯეტში რადიოსიხშირული სპექტრის რესურსით სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მამიებელია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროები ან/და მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საკუთრებაზე დაწესებულებები, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული დაწესებულებები/წარმომადგენლობები თავიანთი ოფიციალური მიზნებისათვის, და საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

11. განცხადების, ან განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კომისია რადიოსიხშირის მამიებელს განუსაზღვრავს დამატებით ვადას არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 სამუშაო დღისა, რა ვადაშიც მამიებელმა უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. თუ კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში რადიოსიხშირული რესურსის მამიებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

12. რადიოსიხშირული რესურსის მამიებელი ვალდებულია კომისიისგან შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში წარუდგინოს კომისიას რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის კომისიის ანგარიშზე გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; იმ შემთხვევაში, თუ რადიოსიხშირული რესურსის მამიებლის მიერ კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კომისია იღებს გადაწყვეტილებას რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

13. კომისია გადაწყვეტილებას რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ იღებს რადიოსიხშირული რესურსის მამიებლის მიერ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის კომისიის ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიაში წარმოდგენიდან 1 თვის ვადაში.

14. რადიოსიხშირის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველია:

- ა) რადიოსიხშირის მამიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა;
- ბ) რადიოსიხშირული თავისუფალი რესურსის არარსებობა;
- გ) გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების მოქმედ სტანდარტებთან შეუსაბამობა.

15. რადიოსიხშირის მინიჭებაზე უარი ფორმდება კომისიის გადაწყვეტილებით.

16. რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძველია:

- ა) რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მქონე პირის მოთხოვნა;
- ბ) რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელის გარდაცვალება (ლიკვიდაცია);
- გ) რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის პირობების დარღვევა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მქონე პირის დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში.

17. რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება გაუქმებულად ითვლება.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49.](#)



მუხლი 29¹. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭება

1. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვების საფუძველია თავისუფალი რესურსის არსებობა და მაძიებლის განცხადება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მიღების თაობაზე.

2. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება პირს ენიჭება უვადოდ და ყოველწლიურად განახლდება, გარდა კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებით დამტკიცებულ „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესებით“ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მისაღებად მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისათვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი.

4. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

5. განცხადების, ან განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კომისია ნუმერაციის რესურსის მაძიებელს განუსაზღვრავს დამატებით ვადას არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა, რა ვადაშიც მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. თუ კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში ნუმერაციის რესურსის მაძიებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

6. სრულყოფილი განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კომისია ნუმერაციის რესურსის მაძიებელს უგზავნის შეტყობინებას მოთხოვნილი ნუმერაციის რესურსის გაცემის შესაძლებლობის თაობაზე. შეტყობინებაში მითითება ნუმერაციის რესურსის მაძიებლის მიერ გადასახდელი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ყოველწლიური საფასურის ოდენობა და გადახდის წესი.

7. ნუმერაციის რესურსის მაძიებელი ვალდებულია კომისიისგან შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში წარუდგინოს კომისიას ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის კომისიის ანგარიშზე გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ ნუმერაციის რესურსის მაძიებლის მიერ კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

8. კომისია გადაწყვეტილებას ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ იღებს ნუმერაციის რესურსის მაძიებლის მიერ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის კომისიის ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიაში წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.

9. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე ნუმერაციის რესურსზე ერთდროულად შემოსულია ორი ან მეტი განაცხადი, უპირატესობა მიენიჭება პირველად შემოსულ განაცხადს.

10. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება განახლდება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებიდან/განახლებიდან არაუგვიანეს 1 წლისა, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის კომისიის ანგარიშზე გადახდით და მისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის კომისიისთვის წარდგენით. ამ შემთხვევაში კომისიას ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების განახლების შესახებ ინფორმაცია შეაქვს კომისიის შესაბამის უწყებრივ რეესტრში. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდისა და მისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილ ვადაში კომისიისთვის წარუდგენლობის შემთხვევაში ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაუქმებულად ითვლება.

11. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძველია:

ა) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელის მოთხოვნა;

ბ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადაუხდელობა;

გ) სარგებლობის პირობების დარღვევა მფლობელის დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის



დარღვევის ჩადენის შემთხვევაში;

დ) შესაბამის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ავტორიზაციის გაუქმება.

12. სარგებლობის უფლების გაუქმების შემთხვევაში მფლობელს მის მიერ გადახდილი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური არ უბრუნდება.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 23 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.](#)

მუხლი 30.(ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 31. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 32. უწყებრივი რეესტრი

1. კომისია აწარმოებს შემდეგ უწყებრივ რეესტრებს:

ა) რადიოსიხშირის მინიჭების უწყებრივ რეესტრს;

ბ) ლიცენზიების უწყებრივ რეესტრს;

გ) ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრს;

გ¹) რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრს;

გ²) რადიოსიხშირული ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების რეესტრს;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უწყებრივ რეესტრებს.

2. რადიოსიხშირის მინიჭების უწყებრივ რეესტრში კომისია ატარებს მინიჭებულ რადიოსიხშირებსა და იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭათ რადიოსიხშირები ერთი წლის ვადით; რეგისტრაციისთვის კომისიას უნდა წარედგინოს განცხადება, რომელშიც აღინიშნება:

ა) პირის სახელი, გვარი ან სახელწოდება, მისამართი, დაფუძნების აქტი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;

ბ) განსახორციელებელი საქმიანობა;

გ) განსახორციელებელი საქმიანობის ვადა და სამოქმედო ზონა;

დ) მინიჭებული რადიოსიხშირების გამოყენების ტექნიკური პარამეტრები.

3. ფიზიკურმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს პირადობის მოწმობის ასლი, ინდივიდუალურმა მეწარმემ ან იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ – დაფუძნების აქტი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. კომისიის მიერ წარმოებულ უწყებრივ რეესტრებში არ შეიტანება ინფორმაცია, რომელიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, მიეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლო ინფორმაციას.

5. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს უწყებრივი რეესტრის მონაცემებს და დადგენილი წესით მიიღოს მასში შეტანილი ინფორმაცია.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 24 ივნისის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 30.06.2011წ.](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 23 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.](#)

მუხლი 33. რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენების შეზღუდვები

რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების მფლობელს ეკრძალება:

ა) ეთერში მუშაობა სათანადო ლიცენზიის გარეშე;

ბ) რადიოკავშირის დასაწყისსა და დასასრულს სახმობი სიგნალების გადაცემის გარეშე მუშაობა;

გ) თვითნებური არარეგისტრირებული სახმობების გამოყენება;

დ) სიხშირის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში ან ლიცენზიაში აღნიშნული სიხშირის (სიხშირეთა ზოლების) შეცვლა, რადიოსადგურის გადამცემის სიმძლავრის და მიწის ზედაპირიდან ანტენის განთავსების სიმაღლის გაზრდა, ანტენის გასხივების დიაგრამის ცვლილება ან სხვა ტიპის გამოსხივებით მუშაობა.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ.,მუხ.1293](#)



მუხლი 34. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

თავი VI.კომისიის მიერ მონიტორინგისა და შემოწმების განხორციელების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესები

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 35. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე თავი ითვალისწინებს კომისიის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული კონტროლის ფუნქციის შესრულების, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის პროცესში განსახორციელებელ შემდეგ პროცედურებს:

ა) ავტორიზებულ, ლიცენზიის/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე მონიტორინგი;

ბ) მაუწყებლობის მიერ მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე მონიტორინგი;

გ) ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი და სპეციალური ქსელებით საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგი;

დ) ლიცენზიის/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელი პირების მიერ სალიცენზიო/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის პირობების შესრულების შემოწმება;

ე) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის გამოვლენა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მომზადება, აგრეთვე კომისიის სხდომაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და კომისიის მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ა), ბ), გ) და დ) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საქმიანობას კომისია ახორციელებს “მაუწყებლობის შესახებ”, “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”, “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, თუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი არ არის სხვა წესი.

3. საჭიროების შემთხვევაში კომისიას შეუძლია გამოიყენოს ის ადმინისტრაციული უფლებამოსილება, რომელიც მას მინიჭებული აქვს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით, მაგრამ შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული ამ წესებით.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ.,მუხ.1293](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 -ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 23 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.](#)

მუხლი 36. მონიტორინგი და კონტროლი

1. ავტორიზებულ და ლიცენზიის/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად.

2. ლიცენზიის/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელთა მიერ სალიცენზიო/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების პირობების შესრულების შემოწმებას კომისია ახორციელებს სალიცენზიო/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების პირობების შერჩევით შემოწმებით ან/და ლიცენზიის/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშგებით.

3. კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს შემოწმება კომისიაში შესული საჩივრის, ექსპარტე შეტყობინების, საგაზეთო ან სხვაგვარი ინფორმაციის საფუძველზე.

4. კომისიას ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და სალიცენზიო/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების ან/და ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს უფლება არა აქვს შეამოწმოს ან მოითხოვოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული



ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, აგრეთვე სალიცენზიო/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების ან/და ავტორიზაციის პირობების შესრულებასთან.

5. მონიტორინგის ჩატარების მეთოდებსა და ხერხებს მონიტორინგის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი განსაზღვრავს დამოუკიდებლად. მონიტორინგის განხორციელება არ არის შეზღუდული ავტორიზებული პირის ან/და ლიცენზიის/ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელის განთავსების ადგილმდებარეობით.

6. შემოწმების ჩატარებამდე შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია შესამოწმებელი პირის უფლებამოსილ წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის მოწმობა და თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. იგი უფლებამოსილია შეამოწმოს ავტორიზებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი განთავსების ადგილზე, გადაიღოს დოკუმენტების ასლები, სპეციალური საშუალებებით შეამოწმოს ტექნიკური მოწყობილობები, მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს ინფორმაცია, ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები შესამოწმებელ საკითხთან დაკავშირებით.

7. მონიტორინგსა და შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი ამ წესებით დადგენილი ფორმით ადგენს შემოწმების აქტს, რომელიც შეიტანება სპეციალურად ამისთვის წარმოებულ რეესტრში.

8. შემოწმების აქტში უნდა მიეთითოს:

ა) შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების დღე, დრო და ადგილი;

ბ) შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების საფუძველი;

გ) შესამოწმებელი პირის მხრიდან შემოწმებაზე დამსწრე პირის ვინაობა;

დ) შემოწმებული დოკუმენტების ჩამონათვალი, თუ ისინი ადგილზე შემოწმდა (ასლის გადაღების შემთხვევაში ასლი უნდა დაერთოს აქტს);

ე) შემოწმებული მოწყობილობების ჩამონათვალი და მათი ტექნიკური პარამეტრები;

ვ) მიღებული ზეპირი ახსნა-განმარტებების მიმოხილვა (მათი წერილობით მიწოდების შემთხვევაში წერილობითი მასალა უნდა დაერთოს აქტს);

ზ) შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის კომენტარები (მათი არსებობის შემთხვევაში); შესამოწმებელი პირის (მისი წარმომადგენლის) სხვა ახსნა-განმარტებანი (მათი არსებობის შემთხვევაში);

თ) შემოწმებაზე ან/და მონიტორინგის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირისა და შესამოწმებელი პირის (მისი წარმომადგენლის), ხოლო მის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აგრეთვე თუ არ დაუშვა შემოწმებელი ან რაიმე სხვა ფორმით ხელი შეუშალა შემოწმების აქტის შედგენას – სულ ცოტა 2 დამსწრე მოწმის ხელმოწერა.

9. თუ შემოწმების აქტის გარეშეც საკმარისი მტკიცებულებები არსებობს დარღვევის შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება დამრღვევი პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რაც ეცნობება დამრღვევს.

10. თუ შემოწმებაზე ან/და მონიტორინგის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი შემოწმების (მონიტორინგის) შედეგად დაადგენს, რომ ელექტრონული კომუნიკაციებისა და „მაუწყებლობის“ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი პირის ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული დანაშაულის ნიშნებს, იგი შემოწმების მასალებს დაუყოვნებლივ წარუდგენს კომისიას შესაბამისი რეაგირებისთვის.

11. თუ მონიტორინგის ან/და შემოწმების შედეგად გამოვლინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, კომისიის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი (პირები) ადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

12. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების აქტის გარეშე არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

13. გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და საჩივრდება სასარჩელო წარმოების წესით.

14. გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება იწყება კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაინტერესებული მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის (დაზღვეული საფოსტით გზავნილით ან ტელეფონოგრამით) მომენტიდან. შეტყობინება უნდა შეიცავდეს:

ა) კომისიის სრულ დასახელებასა და იურიდიულ მისამართს;

ბ) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღს;

გ) ადმინისტრაციული წარმოების საგნის მოკლე აღწერას;

დ) წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა ვინაობას;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას;

ვ) მითითებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

15. გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე თანხმლები წერილით ეცნობება პირს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში.



16. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების დამრღვევისათვის ჩაბარებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ჯარიმა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. დამრღვევის მიერ ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტი კომისიის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

17. თუ არ არსებობს გაფრთხილების ან ჯარიმის საფუძველი, ადმინისტრაციული წარმოება წყდება.

18. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება საჩივრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესების შესაბამისად.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ., მუხ.1293](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №8-სსმIII, №184, 26.12.2007წ., მუხ.2061](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 23 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.](#)

მუხლი 37. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი უნდა შედგეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 141-ე, 142-ე, 144¹, 144³-144⁵ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე კომისიის მიერ დადგენილი ფორმით და მასში უნდა აღინიშნოს:

ა) ოქმის შედგენის დრო და ადგილი;

ბ) მონაცემები სამართალდამრღვევი პირის შესახებ;

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;

დ) ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისთვის;

ე) მოწმეთა და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები (მათი არსებობის შემთხვევაში);

ვ) ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება;

ზ) ნებისმიერი ცნობა ან მითითება ისეთ დოკუმენტზე, რომელსაც ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი საქმის გადასაწყვეტად საჭიროდ მიიჩნევს;

თ) ოქმის შემდგენლის სახელი, გვარი და თანამდებობა;

ი) სამართალდამრღვევის უფლებებისა და მოვალეობების ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ:

"პირს, რომელსაც წარედგინა წინამდებარე ოქმი, უფლება აქვს: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს დედაენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისმგებში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე."

კ) ოქმის შემდგენლისა და სამართალდამრღვევის (ან მისი წარმომადგენლის) ხელმოწერები, ხოლო მოწმეთა და დაზარალებულთა არსებობის შემთხვევაში – მათი ხელმოწერები. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, შემდგენელმა ოქმში სათანადო ჩანაწერი უნდა გააკეთოს. სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისთვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დგება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სამართალდამრღვევს, ხოლო მეორე ეგზემპლარი შემდგენელი უფლებამოსილი პირის მიერ დაუყოვნებლივ წარედგინება კომისიის წევრებს.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

მუხლი 38. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილვა

1. კომისია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გადაცემის შემდეგ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განსახილველად მომზადებისას, წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) განეკუთვნება თუ არა კომისიის კომპეტენციას აღნიშნული საქმის განხილვა;



- ბ) სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი და საქმის სხვა მასალები;
- გ) ეცნობათ თუ არა დაინტერესებულ მხარეებს საქმის განხილვის დრო და ადგილი;
- დ) გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები;
- ე) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა დაინტერესებული მხარის შუამდგომლობა.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება კომისიის მიერ. კომისიის მიერ განხილვა უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და თანდართული მასალების მიღებიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით - 3 დღის ვადაში, 141-ე, 144¹-ე, 144³-144⁵ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე - 7 დღის ვადაში. კომისიის აპარატის უფლებამოსილმა პირმა დაინტერესებულ მხარეებს (ოქმში დამრღვევად, დაზარალებულად და მოწმედ დასახელებულ პირებს) უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქმის განხილვის დრო და ადგილი.

3. საქმის განხილვა იწყება კომისიის შემადგენლობის გამოცხადებით. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომელი საქმე განიხილება, ვინ არის მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, საქმის განხილვის მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, საჯაროდ კითხულობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. კომისია მოუსმენს საქმის განხილვის მონაწილე პირებს, გამოიკვლევს მტკიცებულებებს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას შუამდგომლობის საკითხთან (მათი არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით.

4. კომისიის გადაწყვეტილებით საქმე განიხილება მასში მონაწილე პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ შეტყობინებით პირი სხდომაზე მოწვეულ იქნა, ის არ გამოცხადდა და კომისიაში არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე. გამოუცხადებლობის ფაქტი, კომისიის გადაწყვეტილება და მისი მიზეზები უნდა აღინიშნოს სხდომის ოქმში.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა წარმოადგინოს ოქმის შემდგენელმა უფლებამოსილმა პირმა ან კომისიის წევრმა.

6. კომისია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი. აგრეთვე, გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისთვის.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 08.05.2014 წ.](#)

მუხლი 39. კომისიისთვის სამართლებრივი დახმარება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 თავის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს.

მუხლი 40. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის კომისიის სხდომის ოქმი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის კომისიის სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- ა) სხდომის თარიღი და ადგილი;
- ბ) კომისიის სრული დასახელება და შემადგენლობა;
- გ) განსახილველი საქმის შინაარსი;
- დ) ინფორმაცია საქმეში მონაწილე პირთა გამოცხადების შესახებ;
- ე) საქმის განხილვის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები, შუამდგომლობანი (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი განხილვის შედეგები;
- ვ) საქმის განხილვის დროს გამოკვლეული დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი;
- ზ) ინფორმაცია კომისიის მიერ მიღებული ადმინისტრაციული სახდელის დადების გადაწყვეტილების საჯაროდ წაკითხვისა და გასაჩივრების წესისა და ვადების განმარტების შესახებ.

2. საქმის განხილვის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები შეიძლება დაფიქსირებულ იქნეს ვიდეო ან აუდიო, ან სხვაგვარი ჩამწერი მოწყობილობის მეშვეობით, მაგრამ სხდომის ოქმში მაინც კეთდება ჩანაწერი ახსნა-განმარტებათა შინაარსის შესახებ.

3. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 41. კომისიის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვის შემდეგ კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;
 - ბ) საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიიღება გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების



შეწყვეტის შესახებ.

3. ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდა რღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა, მისი გამოვლენის დღიდან.

4. კომისია იღებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილებას, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) გადაწყვეტილების რეკვიზიტები (კომისიის დასახელება, გადაწყვეტილების სათაური, გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, კომისიის მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, კომისიის თავმჯდომარის სახელი, გვარი და ხელმოწერა, საქართველოს სახელმწიფო გერბი);

ბ) ცნობები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილებოდა საქმე;

გ) საქმის განხილვისას გამორკვეული გარემოებები;

დ) ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის;

ე) ორგანო, სადაც შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა;

ვ) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და ანგარიში, რომელზედაც დამრღვევა უნდა ჩარიცხოს საჯარიმო თანხა.

5. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის სხდომის თავმჯდომარე.

6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადდება დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე.

7. პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისას, რისთვისაც სანქცია გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ადმინისტრაციული სახდელის დადებასთან ერთად ან მის გარეშე კომისია უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით მოსთხოვოს სამართალდამრღვევ პირს და მის თანამონაწილეს (არსებობის შემთხვევაში) მიიღონ საჭირო ზომები თავიანთი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად კომისიის მიერ დადგენილ ვადაში.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

მუხლი 42. შეტყობინების და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების ჩაბარება

1. ამ თავით გათვალისწინებული ყოველგვარი შეტყობინება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კომისიამ თავისი თანამშრომლის ან სპეციალურად საამისოდ დაქირავებული პირის მეშვეობით პირადად უნდა გადასცეს შესაბამის პირს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მის საცხოვრებელ ან სამუშაო მისამართზე სხვა სრულწლოვან პირს, რაზეც უნდა გაფორმდეს გადაცემის აქტი (დანართი 4) ან გაუგზავნოს რეგისტრირებული საფოსტო გზავნილით.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კომისიამ უნდა გადასცეს პირს, რომლის მიმართაც არის გამოტანილი, აგრეთვე დაზარალებულს მისი თხოვნით, გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში.

3. გადაცემის აქტში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

ა) გადაცემის დრო და ადგილი;

ბ) გადაცემული დოკუმენტის დასახელება;

გ) მიმღები პირის სახელი და გვარი;

დ) ნებისმიერი სხვა ჩანაწერი, თუ ამას მოითხოვს მიმღები პირი ან საჭიროდ ჩათვლის გადამცემი პირი;

ე) გადამცემი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა (უფლებამოსილება);

ვ) გადამცემისა და მიმღების ხელმოწერები.

მუხლი 43. დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება

1. სამართალდამრღვევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს კომისიის მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების გადაცემიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში, ხოლო გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში – საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში. ამასთან, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში და ამ ვადაში საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

2. ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია თავის გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ აღსასრულებლად გადაუგზავნის შესაბამის სააღსრულებო ბიუროს დამრღვევის საცხოვრებელი ან იურიდიული მისამართის მიხედვით.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

თავი VII. სადავო საკითხების განხილვა

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49,](#)



მუხლი 44. დავის განხილვის წესები

1. კომისია ლიცენზიის მფლობელებს, აგრეთვე ავტორიზებულ პირებს შორის დავებს განიხილავს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

2. კომისია მაუწყებლებსა და მომხმარებლებს შორის დავებს განიხილავს ამ წესების შესაბამისად და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

3. კომისია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელსა და ბოლო მომხმარებელს შორის დავებს განიხილავს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

4. კომისია სადავო საკითხებს წყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. განცხადება დავის განხილვის შესახებ მიიღება, თუ მისი მოთხოვნა არ სცილდება კომისიის უფლებამოსილებების ფარგლებს.

5. სადავო საკითხის განხილვისას ტარდება მოსამზადებელი სხდომა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ. 625

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №5 - ვებგვერდი, 18.08.2017 წ.

მუხლი 45. მოსამზადებელი სხდომა

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს, ავტორიზებულ პირებსა და მომხმარებლებს შორის დავის განხილვის შემთხვევაში კომისია ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას საჩივრის/განცხადების რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მაუწყებლებს, მაუწყებლებსა და მომხმარებლებს შორის დავის განხილვის შემთხვევაში – საჩივრის/განცხადების მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. თუ არსებობს დავის არსებითი განხილვის წინაპირობები, მოსამზადებელი სხდომა შეიძლება გადაიზარდოს დავის არსებითი განხილვის სხდომაში.

2. კომისია მხარეებს აცნობებს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნას, მისი ჩატარების დღეს, დროსა და ადგილს.

3. მხარეებმა სადავო საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები კომისიას უნდა წარუდგინონ მოსამზადებელ სხდომამდე ან უშუალოდ სხდომაზე.

4. მხარე უფლებამოსილია მოსამზადებელ სხდომამდე ან უშუალოდ სხდომაზე კომისიას წარუდგინოს შეგებებული განცხადება (საპასუხო მოთხოვნა) ძირითად განცხადებასთან ერთად განსახილველად.

5. განმცხადებელი/საჩივრის ავტორი უფლებამოსილია გაეცნოს შეგებებულ განცხადებას.

6. მოსამზადებელ სხდომაზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას დავის განხილვის დღის დანიშვნის შესახებ. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დავის განხილვის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე, თუ დაადგენს, რომ დავის საგანი არ უკავშირდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელებას, ან განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, თუ განმცხადებელი/საჩივრის ავტორი განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას ან დოკუმენტს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №5 - ვებგვერდი, 18.08.2017 წ.

მუხლი 45¹. დავის განხილვა

1. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი, დავის განხილვისას კომისია ხელმძღვანელობს ამ წესების 12¹ მუხლის დებულებებით.

2. მხარის (მხარეების) გამოუცხადებლობის შემთხვევაში დავის განხილვა გადაიდება კომისიის შემდეგი სხდომისთვის. არასაპატიო მიზეზით განმეორებითი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს კომისიის მიერ დავის განხილვას.

3. დავის განხილვის დაწყებისას კომისია ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ დავის მორიგებით დამთავრება. მხარეები უფლებამოსილი არიან დავის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვონ დავის მორიგებით დამთავრება. კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილებით დაამტკიცოს მორიგება ან არ დაეთანხმოს მორიგებას და მიიღოს სხვა გადაწყვეტილება, თუ მხარეთა მორიგება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. განმცხადებელი/საჩივრის ავტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს განცხადებაზე. მეორე მხარე უფლებამოსილია ცნოს განმცხადებლის/საჩივრის ავტორის მოთხოვნა. ამ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დავის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

4. მომხსენებელი კომისიას მოახსენებს საჩივარში/განცხადებაში და შესაგებელში მითითებულ ძირითად გარემოებებს, დავის საგნისა და საფუძვლის მითითებით. საკითხის მოხსენების შემდეგ კომისია მიმართავს მხარეებს, ხომ არ სურთ რაიმეს დამატება ან/და დაზუსტება.

5. დავა განიხილება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი



უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ისინი. შეჯიბრებითობის პრინციპი არ ზღუდავს კომისიას საკითხთან დაკავშირებული გარემოებების გასარკვევად საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

6. მომხსენებლის მოხსენების შემდეგ კომისია მოისმენს განმცხადებლის/მომჩივანის ახსნა-განმარტებას, ხოლო შემდეგ – მოპასუხის ახსნა-განმარტებას.

7. ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ მხარეები უფლებამოსილნი არიან ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები. თუ შეკითხვა უადგილოა ან შეუფერებელია და არ ემსახურება საკითხის გარემოებების გამოკვლევასა და დადგენას, კომისიას, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №5 - ვებგვერდი, 18.08.2017 წ.](#)

მუხლი 46. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ. 625](#)

მუხლი 47. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ. 625](#)

მუხლი 48. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ. 625](#)

მუხლი 49. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ. 625](#)

მუხლი 50. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ. 625](#)

მუხლი 51. მომხმარებელთა საჩივრების მიღების, განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურები

1. ყველა მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირი თუ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შექმნას მომხმარებელთა საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების ეფექტური შიდა მექანიზმი.

2. მომხმარებელს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს მომსახურების მიმწოდებელს, პირდაპირ კომისიას, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მეშვეობით, ან სასამართლოს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას კომისიაში ახორციელებს კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი.

3. მომხმარებელთა განცხადებები და საჩივრები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ. 625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ., მუხ. 1293](#)

თავი VII¹. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესი

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.20 05 წ., მუხ. 469](#)

მუხლი 51¹. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამ თავის მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ამპლიტუდური ტელეგრაფია – რადიოკავშირის სახე, რომლის დროსაც გადაცემული ინფორმაცია განსაზღვრულია მიღებაზე გრაფიკული ფორმით ჩასაწერად. გადაცემული ინფორმაცია შესაძლებელია მიღებულ იქნეს ელექტრონული ვერსიის ფორმითაც და შენახული შემდგომი გამოყენებისთვის;

ბ) ამპლიტუდური ტელეფონია – რადიოკავშირის სახე, რომელიც ძირითადად განსაზღვრულია ინფორმაციის გაცვლისათვის ამპლიტუდური მოდულაციის გამოყენებით;

გ) ერთზოლოვანი ტელეფონია – რადიოკავშირის სახე, რომელიც ძირითადად განსაზღვრულია ინფორმაციის გაცვლისათვის ერთი გვერდითი ზოლოვანი ამპლიტუდური მოდულაციის გამოყენებით;

დ) ვეტერანი რადიომოყვარული – რადიომოყვარული არანაკლებ 25 წლის გამოცდილებით, რომელსაც ამ წესების შესაბამისად ენიჭება სპეციალური უფლებები;



ე) ინდივიდუალური სამოყვარულო რადიოსადგური – სამოყვარულო რადიოსადგური, რომლის მფლობელი არის მხოლოდ ერთი კონკრეტული ფიზიკური პირი;

ვ) კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგური – სამოყვარულო რადიოსადგური, რომლის მფლობელი არის რადიომოყვარულთა ნებისმიერი კოლექტივი (მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), რომელშიც ერთიანდებიან რადიომოყვარულები და განსაზღვრავენ სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირს;

ზ) კომისიის მიერ რადიოსახმობის მინიჭება – რადიომოყვარულისათვის რადიოსახმობის მინიჭება ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტის შესაბამისად რადიოსამოყვარულო სამსახურისათვის გამოყოფილ რადიოსიხშირულ ზოლებში რადიოსამოყვარულო კავშირის განსახორციელებლად;

თ) „მეორადი გამოყენების“ დიაპაზონები – რადიოსიხშირული სპექტრის დიაპაზონები, რომლებშიც ფუნქციონირებადი სხვადასხვა სამსახურის რადიოსადგურები უნდა შეეგუონ მავნე რადიოხელშეშლებს;

ი) „მესამე პირი“ – პირი, რომელიც არ მონაწილეობს სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელებას;

კ) მოკლელტალღოვანი დიაპაზონი – სიხშირული დიაპაზონი 3-30 მგჰც;

ლ) „პირველადი გამოყენების“ დიაპაზონები – რადიოსიხშირული სპექტრის დიაპაზონები, რომლებშიც ფუნქციონირებადი სხვადასხვა სამსახურის რადიოსადგურები დაცული უნდა იყოს მავნე მიუღებელი რადიოხელშეშლებისაგან;

მ) რადიოკავშირის ციფრული სახეობანი (PACKET, AMTOR, PACTOR, SITOR, SSTV და ა.შ.) – რადიოკავშირის სახეობანი, რომლის დროსაც ინფორმაციის გადასაცემად რადიოსიხშირის მოდულირება ხორციელდება ციფრული სახით;

ნ) რადიომოყვარულთა საერთაშორისო კავშირი (IARU) – კავშირი, რომლის მიზანია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ დადგენილი რეგულირების ჩარჩოებში სამოყვარულო და სამოყვარულო-თანამგზავრული სამსახურების დაცვა და განვითარება;

ო) რადიოსამოყვარულო და საერთაშორისო Q კოდები – რადიოკავშირის სენსის დროს გამოყენებული აბრევიატურა;

პ) რადიოსამოყვარულო სამსახური – რადიომოყვარულთა (რომელთაც აქვთ მინიჭებული შესაბამისი რადიოსახმობი და ამ საქმიანობას ისინი ეწევიან პირადი და მატერიალური დაინტერესების გარეშე) შორის რადიოკავშირისა და ტექნიკური კვლევის მიზნით განხორციელებული კავშირის სახე;

ჟ) საანტენო და საფიდერო მოწყობილობა – გამტარებისაგან ან ლითონისაგან შედგენილი კონსტრუქცია, რომლის საშუალებითაც სხივდება ეთერში გადამცემი რადიოსადგურის მიერ გენერირებული ელექტრომაგნიტური ტალღები;

რ) საერთაშორისო შეჯიბრებები და ტურები რადიომოყვარულთა შორის – CQ WW, WPX, WAE, IARU და ARRL;

ს) საკვალიფიკაციო საბჭო – კომისიის გადაწყვეტილებით შექმნილი სპეციალური უფლებამოსილების მქონე საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის კომისიის სამი წარმომადგენელი და სამი რადიომოყვარული;

ტ) სამოყვარულო ბარათი – ბარათი, რომელიც წარმოადგენს სამოყვარულო რადიოკავშირის განმახორციელებელი პირის იდენტიფიკატორს;

უ) სამოყვარულო რადიოსადგურების კატეგორიები: „E“ ექსტრა, „A“, „B“ და „C“ – სამოყვარულო რადიოსადგურები, რომლებიც გამიჯნულია განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლებით (დასაშვები სიხშირული დიაპაზონები, გამოსხივების სახეობები და რადიოგადამცემი მოწყობილობის გამოსავალი სიმძლავრე);

ფ) სამოყვარულო რადიოსადგური – სამოყვარულო სამსახურის რადიოსადგური. სამოყვარულო რადიოსადგური შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური გამოყენების;

ქ) სამოყვარულო რეტრანსლატორი – ავტომატური, სრული დუპლექსის რეჟიმში მომუშავე მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური, რომელიც მის მიერ მიღებულ სიგნალს გადასცემს 600 კჰც-ის წანაცვლებით;

ღ) სახმობი ნიშანი – ლათინური ასოებისა და ციფრებისაგან შედგენილი კომბინაცია, რომლის პრეფიქსი აღნიშნავს ქვეყანას, ხოლო სუფიქსი – კონკრეტულ რადიოსადგურს;

ყ) სიხშირული დიაპაზონი – რადიოსიხშირული ზოლი, რომელიც განსაზღვრულია ქვედა და ზედა ზღვრებით;

შ) სიხშირული ტელეფონია – რადიოკავშირის სახე, რომელიც ძირითადად განსაზღვრულია ინფორმაციის გაცვლისათვის სიხშირული მოდულაციის გამოყენებით;

ჩ) ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი (ITU) – კავშირი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ სააგენტოს;

ც) ტესტირება – საკვალიფიკაციო საბჭოს მიერ რადიომოყვარულის კვალიფიკაციის დადგენის ან/და ამაღლების მიზნით ჩატარებული საგამოცდო (წერილობითი) გამოკითხვა, რომელიც ტარდება წინამდებარე წესის, უსაფრთხოების ტექნიკის, ეთერში მუშაობის წესის, აგრეთვე ელექტროობის და რადიოტექნიკის სფეროში ცოდნის შემოწმების მიზნით;

ძ) ულტრამოკლელტალღოვანი დიაპაზონი – სიხშირული დიაპაზონი 30 მგჰც-ის ზევით;

წ) ფონეტიკური ანბანი – ინფორმაციის გადაცემისას წარმოთქმული ბგერების შესაბამისი სიტყვების ჩამონათვალი;



ჟ) /A – საჰაერო-საავიაციო ხომალდის ბორტებზე დამონტაჟებული სამოყვარულო რადიოსადგურის აღმნიშვნელი სიმბოლო;

ბ) /M – ავტო-მოტოსატრასპორტო საშუალებებში დამონტაჟებული სამოყვარულო რადიოსადგურის აღმნიშვნელი სიმბოლო;

ჯ) /MM – საზღვაო-სანაოსნო ხომალდებზე დამონტაჟებული სამოყვარულო რადიოსადგურის აღმნიშვნელი სიმბოლო;

3) /P – სატარებელი რადიოსადგური – სატარებელი სამოყვარულო რადიოსადგურის აღმნიშვნელი სიმბოლო;

3¹) „SOS” და „MAYDAY” სიგნალები – უბედურების და დახმარების საერთაშორისო სიგნალები;

3²) 4L1, 4L2, 4L3, 4L4, 4L6, 4L7, 4L8, 4L9 და 4L0 პრეფიქსის ბლოკები – სამოყვარულო რადიოსადგურის სახმობი ნიშნების პრეფიქსის ბლოკები, რომელშიც პირველი ორი ნიშანი აღნიშნავს ქვეყნის კოდს.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 51². სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება

1. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კომისიის გადაწყვეტილებით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შემთხვევაში.

2. სამოყვარულო რადიოსადგურის რეგისტრაცია, ტექნიკური პარამეტრების კონტროლი და რადიოსამოყვარულო სიხშირული დიაპაზონების რადიომონიტორინგი ხორციელდება კომისიის მიერ.

3. სამოყვარულო რადიოსადგური უნდა იყოს განთავსებული ისე, რომ შემთხვევით პირებს არ ჰქონდეთ მისი თვითნებურად მოქმედებაში მოყვანის საშუალება.

4. კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება ეკრძალება იმ რადიომოყვარულებს, რომლებსაც აქვთ ამ კოლექტიური რადიოსადგურის კატეგორიაზე დაბალი კატეგორიის ინდივიდუალური ან/და არა აქვთ კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად მინიჭებული რადიოსახმობი.

5. ინდივიდუალური ან კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებელს შეუძლია ეთერში მუშაობის უფლება მისცეს ნებისმიერ რადიომოყვარულს, რომელსაც მინიჭებული აქვს სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობი.

6. მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში რადიომოყვარული ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს კომისიას.

7. სამოყვარულო რადიოსადგურის განთავსების ადგილზე დაცული უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება;

ბ) წინამდებარე წესი;

გ) სააპარატო ჟურნალი ან ინფორმაცია ელექტრონულ ფორმატში, რომელშიც აღნიშნულ უნდა იყოს:

გ.ა.) რადიოკავშირის ჩატარების თარიღი და დრო;

გ.ბ.) იმ რადიოსადგურის სახმობი ნიშანი, რომელთანაც ჩატარებულ იქნა რადიოკავშირი;

გ.გ.) სიხშირული დიაპაზონი და გამოსხივების სახე;

გ.დ.) მიღებული და გადაცემული სიგნალის შეფასება.

8. სააპარატო ჟურნალში არ არის აუცილებელი შევიდეს ინფორმაცია ულტრამოკლეტალლოვან დიაპაზონებში ჩატარებული რადიოკავშირების შესახებ.

9. რადიომოყვარული ვალდებულია სააპარატო ჟურნალი შეინახოს ორი წლის განმავლობაში.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 51³. სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორიები

1. სამოყვარულო რადიოსადგურები იყოფა ოთხ კატეგორიად („E” ექსტრა, „A”, „B” და „C”), რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება სიხშირული დიაპაზონებით, გამოსხივების სახეობებით და რადიო-გადამცემი მოწყობილობის გამოსავალი სიმძლავრით (დანართი №8);

2. „C” კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისათვის რადიოსახმობის მინიჭება ხორციელდება 10 წლის ასაკს მიღწეულ პირებზე; „B” კატეგორიის – 14 წლის ასაკს მიღწეულ პირებზე; „A” და „E” ექსტრა კატეგორიის – 16 წლის ასაკს მიღწეულ პირებზე.

3. რადიომოყვარულის კვალიფიკაცია განისაზღვრება საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგით. „A” კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად მინიჭებული რადიოსახმობის მქონე რადიომოყვარული ვალდებულია მორჩეს ანბანით, ღია ტექსტის სახით, მიიღოს და გადასცეს მინიმუმ 30 ნიშანი წუთში, ხოლო „E” ექსტრა კატეგორიისთვის – მინიმუმ 60 ნიშანი წუთში.



4. „E“ ექსტრა კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მიღება შესაძლებელია, თუ „A“ კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად მინიჭებული რადიოსახმობის მქონე რადიომოყვარული დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთ მოთხოვნას:

ა) სამოყვარულო ბარათების მეშვეობით დაადასტურებს რადიოკავშირს 200 და მეტ ქვეყანასთან;
ბ) მიღებული აქვს სამოყვარულო ორგანიზაციების მიერ გაცემული 100 ან მეტი სხვადასხვა დიპლომი (სიგელი);

გ) დაიკავებს პირველ, მეორე ან მესამე ადგილს შემდეგი საერთაშორისო შეჯიბრებების: CQ WW, WPX, WAE, IARU ან/და ARRL ნებისმიერ ტურში.

5. უფრო მაღალი კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მიღება შესაძლებელია დაბალი კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭებიდან არანაკლებ ერთი წლის შემდეგ.

6. ტესტირებას ატარებს კომისიის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო საბჭო.

7. ტესტირება ტარდება ყოველ სამ თვეში ერთხელ, რომლის ჩატარების ზუსტ თარიღს ადგენს საკვალიფიკაციო საბჭო.

8. საკვალიფიკაციო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ის რადიომოყვარული, რომელსაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დარღვეული ჰქონდა წინამდებარე წესი.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ.,მუხ.1293](#)

მუხლი 51⁴. ძირითადი მოთხოვნები (სამოყვარულო რადიოსადგურის ტექნიკური მოთხოვნები)

1. სამოყვარულო რადიოსადგურს (მიმღებ-გადამცემს) თან უნდა ერთოდეს:

ა) საანტენო და საფიდერო მოწყობილობები მეხდამცავის ჩათვლით;
ბ) გადამცემი აპარატურის პარამეტრების საზომი და საკონტროლო მოწყობილობები.

2. სამოყვარულო რადიოსადგურები კატეგორიების შესაბამისად იყენებენ მხოლოდ შემდეგი სახის გამოსხივებებს:

ა) ამპლიტუდური ტელეგრაფია;
ბ) ამპლიტუდური ტელეფონია;
გ) ერთზოლოვანი ტელეფონია;
დ) სიხშირული ტელეფონია;
ე) რადიოკავშირის ციფრული სახეობანი (PACKET, AMTOR, PACTOR, SITOR, SSTV და ა.შ.).

3. სამოყვარულო რადიოგადამცემი სიხშირის სტაბილურობისადმი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ჩართვის მომენტიდან 15 წუთის განმავლობაში, სიხშირის აბსოლუტური ცდომილება – 300 ჰც მოკლე ტალღებზე და 1000 ჰც ულტრამოკლე ტალღებზე.

4. სამოყვარულო რადიოსადგურის სიმძლავრე იზომება ანტენის ეკვივალენტურ დატვირთვაზე.

5. სამოყვარულო რადიოსადგურის გვერდითი გამოსხივების საშუალო სიმძლავრე უნდა იყოს:

ა) ულტრამოკლეთალღოვანი 144 მგჰც, 430 მგჰც და 1296 მგჰც დიაპაზონებისთვის არა უმეტეს 25 მკვტ. ეს პარამეტრი სხვა ულტრამოკლეთალღოვანი დიაპაზონებისთვის არ არის განსაზღვრული;

ბ) მოკლეთალღოვანი დიაპაზონებისთვის – ძირითადი გამოსხივების სიმძლავრეზე 40 დბ-ით ნაკლები სამოყვარულო რადიოსადგურის არა უმეტეს 5 ვტ სიმძლავრით ფუნქციონირებისას.

6. სამოყვარულო რადიოსადგურის და ანტენის კონსტრუქცია უნდა იყოს უსაფრთხო ირგვლივ მყოფთათვის.

7. რადიომოყვარულს უფლება აქვს განათავსოს სახლის სახურავზე (სათანადო ნებართვის საფუძველზე, თუ ასეთი გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით) სამოყვარულო ანტენა, რომლის დამონტაჟებაზე, უსაფრთხო სარგებლობასა და შეკეთებაზე პასუხისმგებელია ამ რადიოსადგურის მფლობელი.

8. სამოყვარულო რადიოსადგურის მიერ შექმნილი ელექტრომაგნიტური ველის ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ დასაშვებ სანიტარიულ ნორმებს.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

მუხლი 51⁵. სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭება

1. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კომისიის მიერ სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შემდგომ.

2. რადიოსახმობის მინიჭება ხორციელდება შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე:

ა) განცხადება სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებაზე;



- ბ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) ფოტოსურათი;
- დ) საკვალიფიკაციო საბჭოს ცნობა ტესტირების ჩაბარების თაობაზე;
- ე) რადიომოყვარულის არასრულწლოვანობის შემთხვევაში მშობლის (ან მეურვის) ცნობა სამოყვარულო რადიოსადგურის განთავსების თანხმობაზე, რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე წესის დაცვას და რადიოსადგურის ტექნიკურ უსაფრთხოებას;
- ვ) აპარატურის დასახელება.
3. კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს:
- ა) რადიომოყვარულთა კოლექტივის სადამფუძნებლო და სარეგისტრაციო მონაცემები;
- ბ) კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები.
4. რადიომოყვარულს, რომელსაც მინიჭებული აქვს სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობი, დამატებითი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე უფლება აქვს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოიყენოს სახმობ ნიშანთან ერთად შემდეგი ნიშნები:
- /P, /M, /MM და /A;
5. სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შემთხვევაში რადიომოყვარულს უფლება აქვს ეთერში გავიდეს საქართველოს ნებისმიერი გეოგრაფიული წერტილიდან ყოველგვარი დამატებითი ნებართვის გარეშე;
6. სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭება ხორციელდება ხუთი წლის ვადით.
7. სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მისანიჭებლად, უცხო ქვეყნის რადიომოყვარული ვალდებულია კომისიაში წარმოადგინოს:
- ა) განცხადება რადიოსახმობის მიღებაზე;
- ბ) იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტის ასლი, რომლის რეზიდენტიც არის იგი;
- გ) მისამართი, სადაც განთავსებული იქნება სამოყვარულო რადიოსადგური; საქართველოში დროებითი რეგისტრაციის ადგილისამყოფელი;
- დ) ფოტოსურათი;
- ე) აპარატურის დასახელება.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III , № 45 , 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 51⁶. სამოყვარულო რადიოსადგურებისთვის ნებადართული სიხშირული დიაპაზონები, დაშვებული სიმძლავრეები და რადიოკავშირის სახეები

1. ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიორეგლმენტის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში განსაზღვრულია სიხშირეთა დიაპაზონები, დაშვებული სიმძლავრეები და რადიოკავშირის სახეები, რომელიც შეძლება გამოიყენოს საქართველოს სამოყვარულო რადიოსადგურებმა:

სიხშირეები 30 მგჰც-მდე (გრძელი და მოკლე ტალღები)		სიხშირეები 30 მგჰც-ს ზევით (ულტრამოკლემოკლე დიაპაზონი)	
135,7-137,8 კჰც	14000-14250 კჰც 14250-14350 კჰც	144-146 მგჰც	47-47,2 გგჰც
1810-2000 კჰც	18068-18318 კჰც	430-440 გმჰც 435-438 მგჰც	76-81 გგჰც
3500-3650 კჰც 3650-3800 კჰც	21000-21450 კჰც	1260-1300 მგჰც 2400-2450 მჰც	119,98-120,02 გგჰც
7000-7100 კჰც	24890-25140 კჰც	5650-5670 მგჰც	142-144 გგჰც 144-149 გგჰც
10100-10150 კჰც	28000-29700 კჰც	10-10,5 გგჰც 24,0-25,05 გგჰც 24,05-24,25 გგჰც	241-250 გგჰც

2. სამოყვარულო-თანამგზავრული სამსახური იყენებს შემდეგ სიხშირულ დიაპაზონებს: 7000-7100 კჰც, 14000-14250 კჰც, 18068-18318 კჰც, 21000-21450 კჰც, 24890-25140 კჰც, 28-29,7 მგჰც.

3. სამოყვარულო-თანამგზავრული რადიოსადგურის გამოსხივების სიმძლავრის ნაკადის სიმკვრივე დედამიწის ზედაპირზე არ უნდა აღემატებოდეს მინუს 110 დბ (ვტ/მ²);

4. სამოყვარულო რეტრანსლატორების მაქსიმალური სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 100 ვტ-ს.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III , № 45 , 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

მუხლი 51⁷. სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელება



1. სამოყვარულო რადიოსადგურის ფუნქციონირება დაშვებულია შესაბამისი კატეგორიის მიხედვით ნებადართული სიხშირული დიაპაზონის ნებისმიერ სიხშირეზე. რადიომოყვარული ვალდებულია შეარჩიოს სიხშირე ისე, რომ გასხივებული სიგნალის სრული სპექტრი, სიხშირის ნებისმიერი ცვლილების მიუხედავად, ყოველთვის იმყოფებოდეს შესაბამისი სიხშირული ზოლის და სამოყვარულო სიხშირული დიაპაზონების ფარგლებში.

2. „მეორადი გამოყენების“ დიაპაზონებში რადიომოყვარულები ვალდებული არიან არ შეუქმნან რადიოხელშეშლები „პირველადი გამოყენების“ დიაპაზონებში ფუნქციონირებად რადიოსადგურებს და მათი წარმოქმნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეიცვალონ სიხშირე.

3. სამოყვარულო სამსახურისთვის გამოყოფილ დიაპაზონებში რადიომოყვარულები ვალდებული არიან რადიოკავშირი განახორციელონ მხოლოდ სამოყვარულო რადიოსადგურებთან. რადიოკავშირის განსახორციელებლად მათ შეუძლიათ გამოიყენონ სამოყვარულო რეტრანსლატორები და სამოყვარულო-სათანამგზავრული სამსახურისთვის განკუთვნილი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები.

4. რადიოკავშირი არასამოყვარულო რადიოსადგურებთან დასაშვებია მხოლოდ ამ უკანასკნელთაგან „SOS“-ის ან „MAYDAY“-ის მიღების შემთხვევაში, რომლის შესახებაც რადიომოყვარული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომისიას.

5. რადიოკავშირის დამყარებისას რადიომოყვარულები ვალდებული არიან დაასახელონ თავიანთი სახმობი ნიშანი რადიოკავშირის ყოველი სეანსის დასაწყისში და დამთავრებისას, ხოლო ხანგრძლივი რადიოკავშირის ჩატარებისას გაიმეორონ თავისი სახმობი ნიშანი ყოველ 5 წუთში ერთხელ.

6. რადიომოყვარული ვალდებულია დამარცვლით, გარკვევით და ფონეტიკური ანბანის (დანართი №5) გამოყენებით გადასცეს სახმობი ნიშანი.

7. რადიოკავშირის დამყარებისას რადიომოყვარულს უფლება ეძლევა გაცვალოს ინფორმაცია: რადიომოყვარულობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სამოყვარულო რადიოაპარატურის ტექნიკური მონაცემების, მეტეოროლოგიური პირობების და რადიოტალღების გავრცელების შესახებ. რადიომოყვარულმა არ უნდა ისაუბროს პირად საკითხებზე და გაცვალოს ინფორმაცია, რომლის გადაცემაც ეთერში თავისი ნაკლები მნიშვნელობის გამო არ არის გამართლებული.

8. რადიოკავშირის დამყარებისას რადიომოყვარულს უფლება აქვს გამოიყენოს მხოლოდ რადიოსამოყვარულო და საერთაშორისო Q კოდები (დანართი №6 და №7);

9. ეთერში იკრძალება:

- ა) სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლო ხასიათის ინფორმაციის გადაცემა;
- ბ) შიფრების და სხვა კოდების გამოყენება;
- გ) ცრუ და არასწორი ინფორმაციის გადაცემა;
- დ) სახმობი ნიშნის გარეშე ან სხვა სახმობი ნიშნით სარგებლობა;
- ე) ნებადართულზე უფრო მაღალი სიმძლავრის სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება;
- ვ) იმ სიხშირეებზე მუშაობა, რომელიც არ არის მინიშნებული რადიოსახმობის მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში;
- ზ) პოლიტიკასთან, რელიგიასთან, სექსთან და კომერციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
- თ) შეურაცხმყოფელი და უხამსი გამონათქვამების გამოყენება;
- ი) მუსიკალური ჩანაწერების, რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო და სარეკლამო პროგრამების გადაცემა;
- კ) იმ სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენება, რომელიც არ პასუხობს ამ წესით დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს და უსაფრთხოების ტექნიკის წესებს;
- ლ) საერთაშორისო სტიქიური უბედურების სიგნალების „SOS“-ის და „MAYDAY“-ის გამოყენება განსაკუთრებული შემთხვევების გარდა;
- მ) რადიოსადგურის გამოყენება სატელევიზიო, რადიოსამაუწყებლო ან სხვა სამსახურებისადმი რადიოხელშეშლების წარმოქმნის შემთხვევაში. ამ დროს სამოყვარულო რადიოსადგურის მფლობელი ვალდებულია დაადგინოს და აღმოფხვრას და შემდგომ კომისიას შეატყობინოს ამ ხელშეშლების გამომწვევი მიზეზები;

ნ) ეთერში მუშაობა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ.

10. რადიომოყვარულის მფლობელობაში არსებული რადიოსადგურით რადიოკავშირის განხორციელება აკრძალულია იმ პირებისათვის, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული რადიოსახმობი სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად.

11. რადიოკავშირის ჩატარებისას რადიომოყვარული ვალდებულია დაიცვას საყოველთაო რადიოსამოყვარულო ეთიკა, იყოს თავაზიანი, მომთმენი და ტაქტიანი.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 8 აპრილის დადგენილება №6 -სსმ III , № 45 , 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 51⁸. სამოყვარულო რადიოსადგურის სახმობი ნიშანი

1. კომისიის გადაწყვეტილებით, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიორეგლამენტის შესაბამისად, სამოყვარულო რადიოსადგურს ენიჭება სახმობი ნიშანი.



2. რადიომოყვარულს უფლება აქვს საქართველოში იქონიოს მხოლოდ ერთი მუდმივი სახმობი ნიშანი (მისი შეცვლის უფლების გარეშე).
3. კომისია ახორციელებს:
- ა) იმ სპეციალური სახმობი ნიშნების მინიჭებას, რომელიც გამოიყენება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებისას;
 - ბ) „E“ ექსტრა და „A“ კატეგორიის სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენებისთვის სპეციალური დროებითი სახმობი ნიშნების გამოყოფას საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად;
 - გ) საერთო წესით, უცხო ქვეყნის რადიომოყვარულების მიერ სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის დროებითი ან მუდმივი სახმობის მინიჭებას.
4. ინდივიდუალური და კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენებისთვის „C“ კატეგორიის რადიომოყვარულებს ენიჭებათ ექვსიმბოლიანი სახმობი ნიშანი, ხოლო „B“ და „A“ კატეგორიების რადიომოყვარულებს – ხუთიმბოლიანი. სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის „E“ კატეგორიის რადიომოყვარულებს, სურვილის მიხედვით უფლება აქვთ სუფიქსში არჩევით დაიტოვონ ერთი სიმბოლო ათი პრეფიქსიდან ნებისმიერ ბლოკზე.
5. სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენებისთვის „C“, „B“ და „A“ კატეგორიის რადიომოყვარულებს მუდმივად ენიჭება 4L1, 4L2, 4L3, 4L4, 4L6, 4L7, 4L8, და 4L0 პრეფიქსის ნებისმიერი ბლოკი, ხოლო 4L9 გადადის რეზერვში და ენიჭება კომისიის მიერ დროებით, სპეციალური ღონისძიებების ჩატარებისას.
6. ვეტერან რადიომოყვარულზე შეიძლება გაცემულ იქნეს 4L4 პრეფიქსის ბლოკში ერთიმბოლიანი ნიშანი.
- [საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება №6 -სსმ III, № 45, 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

მუხლი 51⁹. ულტრამოკლე დიაპაზონების სამოყვარულო რეტრანსლატორის გამოყენება და მუშაობის წესი

1. სამოყვარულო რეტრანსლატორის დაყენება შეუძლია ნებისმიერ რადიომოყვარულს ან კოლექტიური სამოყვარულო რადიოსადგურს.
2. სამოყვარულო რეტრანსლატორი ფუნქციონირებს ქვემოთმოყვანილ ცხრილში მოცემული სიხშირული განაწილების შესაბამისად, თუ მისი გამოყენება გათვალისწინებულია სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით:

№ სამუშაო არხის	მიღების სიხშირე (კჰც)	გადაცემის სიხშირე (კჰც)
R 0	145000	145600
R 1	145025	145625
R 2	145050	145650
R 3	145075	145675
R 4	145100	145700
R 5	145125	145725
R 6	145150	145750
R 7	145175	145775
R 8	145200	145800

3. სამოყვარულო რეტრანსლატორის მაქსიმალური სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 100 ვტ-ს. (რადიოკავშირის სახე: FM სიხშირული მოდულაცია – F3E).

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება №6 -სსმ III, № 45, 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 51¹⁰. რადიომოყვარულის პასუხისმგებლობა წინამდებარე წესების დარღვევისათვის

1. ამ თავით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად მინიჭებული რადიოსახმობის მქონე რადიომოყვარულებს, აგრეთვე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც სამოყვარულო რადიოკავშირის ახორციელებენ ზემოთ აღნიშნული მინიჭების გარეშე, კომისია აფრთხილებს დარღვევის განსაზღვრულ ვადაში აღმოფხვრის თაობაზე, რის შესახებაც ღებულობს გადაწყვეტილებას.
2. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ დამრღვევი პირისთვის მიცემული ვადის გასვლისა და დარღვევის აღმოფხვრელობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიერ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად მის მიმართ გამოიყენოს ჯარიმა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 171ე მუხლის მე-4 პუნქტით.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, როცა არსებობს უტყუარი მტკიცებულება, რომ საფრთხე ექმნება საზოგადოების უსაფრთხოებას და ადამიანის ჯანმრთელობას, აგრეთვე არსებული ან სავარაუდო ელექტრომაგნიტური შეუთავსებლობის თავიდან აცილების ან/და რადიოდანადგარების ელექტრომაგნიტური ხელშეშლისაგან დაცვის მიზნით, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე, ხოლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში აღსრულების უზრუნველსაყოფად დისკრეციულად გამოიყენოს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების დროებით შეზღუდვა.



4. კომისია უფლებამოსილია აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენოს მხოლოდ ის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის გადაწყვეტილების ყველაზე სწრაფ და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას.

5. კომისია უფლებამოსილია რადიომოყვარულის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიოსახმობის მინიჭების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

მუხლი 51¹¹ . საკვალიფიკაციო საბჭო

1. საკვალიფიკაციო საბჭო უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს რადიომოყვარულის კვალიფიკაცია საკვალიფიკაციო ტესტირებით;

ბ) შეადგინოს და გამოაქვეყნოს საკვალიფიკაციო ტესტები;

გ) განიხილოს სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესების დარღვევები და დარღვევათა დადასტურების შემთხვევაში მიმართოს კომისიას ამ წესით განსაზღვრული ზომების გასატარებლად.

2. საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ოთხჯერ, ყოველი კვარტალის მე-2 თვის ბოლო ოთხშაბათს.

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

თავი VIII. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 52. ნუმერაციის რესურსის გამოყენება გარდამავალ პერიოდში

1. "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 54¹ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული ნუმერაციის ახალი სისტემის დამდგენი ნორმატიული აქტის ამოქმედებამდე კომისია არ გასცემს ნებართვებს ამ წესების მეორე მუხლის "ფ.გ." ქვეპუნქტში გათვალისწინებულ იმ სატელეფონო (სასადგურო) ინდექსის გამოყენებაზე, რომლის პირველ ციფრად გამოყენებული იქნება ციფრები: "8" ან "0".

2. მომსახურების მიმწოდებლებმა, რომლებიც 2000 წლის 1 ივლისამდე კანონმდებლობის შესაბამისად იყენებდნენ ადგილობრივი ქსელის შემოკლებულ სატელეფონო ნომრებს, ამ დადგენილების ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში მიმართონ კომისიას განცხადებით ნუმერაციის რესურსის გამოყენების ნებართვის მისაღებად.

3. კავშირგაბმულობის სფეროს ოპერატორმა, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ, რომლის საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე ლიცენზიის გარეშე, რომელსაც მინიჭებული აქვს ნუმერაციის რესურსის გამოყენების უფლება და არ ახორციელებს ნუმერაციის რესურსით პრაქტიკულ საქმიანობას, ამ წესების ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში უზრუნველყოს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 53. გაცემული ნებართვების მოქმედების ვადა

1. ამ წესების ამოქმედებამდე ლიცენზიის გარეშე საქმიანობისთვის სიხშირის მინიჭების მოქმედების ვადა განისაზღვროს ამ წესების ამოქმედებიდან ერთი წლის ვადით.

2. ამ წესების ამოქმედებამდე ნუმერაციის რესურსის გამოყენებაზე გაცემული ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს ამ წესების ამოქმედებიდან ერთი წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნუმერაციის რესურსის გამოყენების ნებართვა გათვალისწინებულია ლიცენზიაში ან ლიცენზირებასთან დაკავშირებულ კომისიის გადაწყვეტილებაში.

მუხლი 54. (ამოღებულია)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)

დანართი

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 15 ივლისის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 26.07.2021წ.](#)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მარეგულირებელი წესი

თავი I



მუხლი 1. შესავალი დებულებები

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში: „კანონი“) აღსრულების მარეგულირებელი წესი (შემდგომში: „წესი“) შემუშავებულია კანონის შესაბამისად.
2. ამ წესით განისაზღვრება:
 - ა) კანონით გათვალისწინებული დებულებების დარღვევასთან დაკავშირებით კომისიაში საჩივრის წარდგენის წესი, დასაშვებობის პროცედურები და ვადები;
 - ბ) კანონის დარღვევასთან დაკავშირებით კომისიის მიერ საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა;
 - გ) კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის კომისიის მიერ ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების წესი და თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე განაცხადის ფორმა;
 - დ) კანონით გათვალისწინებული კონცენტრაციის თაობაზე კომისიაში შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი;
 - ე) კანონის საფუძველზე კომისიის მიერ ბაზრის შესწავლისას გამოსაყენებელი ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები;
 - ვ) კომისიის მიერ კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
3. კომისია კანონის საფუძველზე, ამ წესის შესაბამისად, განიხილავს მაუწყებლობის ან/და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის დარღვევის საკითხს ან/და კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინებას, გარდა კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. კომისიის მიერ კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები ხორციელდება კომისიის საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად, ამ აქტის თავისებურებების გათვალისწინებით.
5. ეს წესი განიმარტება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ევროკავშირის სამართლისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2. განმცხადებელი, მომჩივანი, მოპასუხე, მათი უფლებები და ვალდებულებები

1. განმცხადებელი არის პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომ არსებითად ირღვევა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, თუმცა ამის შედეგად მას უშუალოდ არ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი განცხადებით მიმართავს კომისიას. განმცხადებელი მხარედ არ მიიჩნევა.
2. კომისია მისთვის წარდგენილ კანონის სავარაუდო დარღვევის თაობაზე განცხადებას ცნობად იღებს და გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში იგი შეიძლება საკუთარი ინიციატივით მოკვლევის დასაწყებად გამოიყენოს.
3. მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კანონის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს კომისიას.
4. მომჩივანმა კომისიას საჩივართან ერთად უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი განიხილება მხარედ და ეკისრება მტკიცების ტვირთი.
5. მოპასუხე არის პირი, რომლის წინააღმდეგაც კომისიაში წარდგენილია საჩივარი კანონის შესაბამისი მუხლის/მუხლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე ან რომლის მიმართაც კომისიამ საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის მოკვლევა.
6. დაინტერესებული მხარე განიმარტება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 3. მხარის/დაინტერესებული მხარის უფლებები და ვალდებულებები

1. მოპასუხეს და მომჩივანს (მხარეები) უფლება აქვთ:
 - ა) ჰყავდეთ ადვოკატი ან/და წარმომადგენელი საქმის მოკვლევის პროცესში;
 - ბ) კომისიას წარუდგინონ პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის მოკვლევის ნებისმიერ ეტაპზე;
 - გ) გაეცნონ საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
 - დ) მოითხოვონ ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;



- ე) განაცხადონ აცილება კომისიის თანამშრომლის მიმართ, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე;
- ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოითხოვონ მათ მიერ კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა.
2. მომჩივანს უფლება აქვს, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას საჩივარზე, რაც საქმის მოკვლევის შეწყვეტის საფუძველია. კომისია უფლებამოსილია საქმის მოკვლევა გააგრძელოს, როდესაც არსებობს დასაბუთებული მტკიცებულება, რომ კონკურენცია მნიშვნელოვნად იზღუდება.
3. გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული უფლებებისა, მოპასუხეს უფლება აქვს:
- ა) აიღოს პირობითი ვალდებულები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედების განხორციელების თაობაზე (შემდგომში – პირობითი ვალდებულებები);
- ბ) კომისიას წარუდგინოს დასაბუთებული მოთხოვნა მასზე დაკისრებული ჯარიმის არაუმეტეს ერთი წლის ვადით გადანაწილების თაობაზე.
4. საქმის მონაწილე დაინტერესებული მხარე სარგებლობს მხარეებისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული ყველა უფლებით, გარდა „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აცილების უფლებისა.
5. მხარე/დაინტერესებული მხარე ვალდებულია:
- ა) კომისიას მიაწოდოს მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა კომისიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში;
- ბ) კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში გამოცხადდეს ახსნა-განმარტებაზე;
- გ) ხელი არ შეუშალოს კომისიის უფლებამოსილ პირს/პირებს ადგილზე შემოწმების პროცედურის განხორციელების პროცესში.

მუხლი 4. აცილების საფუძველები

1. მხარეს უფლება აქვს, აცილება მისცეს კომისიის იმ თანამშრომელს, რომელიც დაინტერესებულია განსახილველი საკითხით.
2. აცილების საფუძველია კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის არსებობა.
3. კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, კერძოდ, თუ არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით ან/და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები კომისიის უფლებამოსილ პირსა და იმ ეკონომიკურ აგენტს შორის, რომლის საქმეც იხილება, კომისიის შესაბამისმა თანამშრომელმა დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილება ინტერესთა კონფლიქტის გამო.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისიის თანამშრომლის მიმართ გამოიყენება კომისიის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

მუხლი 5. საჯარო და კონფიდენციალური ინფორმაცია

1. კომისიის მიერ მოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.
2. დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა და გავრცელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისის შემთხვევებისა.
3. კანონის მე-20 მუხლითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს აღნიშნული დოკუმენტის არაკონფიდენციალური ვერსიის წარმოდგენა და განუსაზღვროს შესაბამისი ვადა.
4. დოკუმენტის ვერსია ითვლება არაკონფიდენციალურად, თუ მასში სათანადო წესით დაფარულია პირის კონფიდენციალურ ინფორმაციის მიკუთვნებული ყველა მონაცემი და მისი გაცემა შესაძლებელია სხვა დაინტერესებულ პირზე ადმინისტრაციული წარმოების მასალის სახით.
5. იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის არაკონფიდენციალური ვერსია არ შეესაბამება ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას, კომისია უფლებამოსილია არ დაეთანხმოს პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის არაკონფიდენციალურ ვერსიას და მოსთხოვოს მას მონაცემების სხვა ფორმით



დაფარვა ან თავად უზრუნველყოს დოკუმენტის არაკონფიდენციალური ვერსიის შექმნა და აცნობოს პირს ამის თაობაზე.

6 კომისიის თანამშრომლის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა, გავრცელება ან მისი გამოყენება, მათ შორის, პირადი, აკადემიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, გამოიწვევს კომისიის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

მუხლი 6. ინფორმაციის გამოთხოვა

1. კომისია/კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა კომისიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

2. დოკუმენტის/ინფორმაციის მიწოდების შესახებ მიმართვაში მითითებული უნდა იყოს ინფორმაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, საგანი, მიზანი და ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს ინფორმაცია მიწოდებული, აგრეთვე, მითითება ინფორმაციის მიუწოდებლობის შესაძლო შედეგებზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. კომისია/კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, გააგრძელოს დოკუმენტის/ინფორმაციის წარდგენის ვადა.

მუხლი 7. ინფორმაციის მიწოდება

1. ინფორმაცია ითვლება მიწოდებულად, თუ იგი კომისიის/კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად იქნა წარდგენილი კომისიის იურიდიულ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

2. თუ ამ ინფორმაციის კომისიის მიერ მიღება დაკავშირებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის ათვლასთან ან/და განახლებასთან, შესაბამისი ვადა აითვლება/განახლდება ინფორმაციის რეგისტრაციის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

მუხლი 8. ინფორმაციის მიუწოდებლობა და მისი სამართლებრივი შედეგები

1. კომისიისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება:

ა) ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა;

ბ) არასწორი ინფორმაციის მიწოდება;

გ) მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება.

2. ინფორმაციის მიუწოდებლობად არ ითვლება კომისიის/კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში დასაბუთებული პასუხი მოთხოვნილი ინფორმაციის არქონის შესახებ.

3. კომისიის/კომისიის თავმჯდომარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პასუხისმგებლობის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს კომისიისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

5. ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად, კომისია უფლებამოსილია:

ა) კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁷³ მუხლით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისგან/მხარისგან/დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის/ დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ;

ბ) კანონის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტის, ამ წესით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁶⁹ მუხლით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით შესაბამისი ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების შესახებ.



მუხლი 9. საჩივრის წარდგენის წესი და ფორმა

1. მომჩივანმა კომისიაში უნდა წარმოადგინოს ამ წესის დანართი 10-ის შესაბამისად შევსებული საჩივარი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მომჩივანი (ვინაობა/დასახელება, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია);

ბ) მომჩივნის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია);

გ) მოპასუხე (ვინაობა/დასახელება, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია);

დ) საჩივრის სახე, სადაც უნდა მიეთითოს კანონის შესაბამისი მუხლი/მუხლები, რომლის სავარაუდო დარღვევასაც აქვს ადგილი;

ე) საქმის გარემოებების დეტალური აღწერა, სადაც უნდა მიეთითოს შესაბამისი ფაქტები, გარემოებები და მტკიცებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის თაობაზე ასევე მსჯელობა დამდგარ ან მოსალოდნელ ქონებრივ ზიანზე;

ვ) მტკიცებულებების ჩამონათვალი, რომლითაც დასტურდება წინა ქვეპუნქტში მოცემული გარემოებები;

ზ) მითითება კომისიის მიერ ცალკეული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) შენიშვნები და დამატებები;

ი) საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა;

კ) მითითება საჩივრის მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე;

ლ) მომჩივნის ან მისი წარმომადგენლის სახელი, გვარი/დასახელება, ხელმოწერა და საჩივრის წარდგენის თარიღი.

2. საჩივარი კომისიაში წარდგენილად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ვადის ათვლა იწყება რეგისტრაციის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

3. ამ აქტით დადგენილი წესით და ფორმით კომისიას შეიძლება საჩივარი წარედგინოს მხოლოდ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებების დარღვევასთან დაკავშირებით. „მუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების (გარდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა) დებულებების დარღვევის თაობაზე კომისიას საჩივარი შეიძლება წარედგინოს დამოუკიდებლად, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 10. საჩივრის ფორმალური დასაშვებობა

1. კომისია საჩივრის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ შესაბამისობას კანონით, ამ პროცედურით და ამ წესის დანართი 10-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2. თუ წარდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე მომჩივანს უდგენს ხარვეზს და განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

3. ხარვეზის წერილში აღინიშნება ის კონკრეტული საკითხები და გარემოებები, რომლებიც უნდა მიეთითოს ან/და დაზუსტდეს.

4. თუ მომჩივანი კომისიის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, კომისია უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე.

5. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის ათვლა იწყება კომისიაში სრულყოფილი საჩივრის წარმოდგენის მომენტიდან.

6. თუ კომისიას წარედგინა საჩივარი, რომლის განხილვაც განეკუთვნება სსიპ – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) ან/და ეკონომიკის სხვა რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებას, კომისიის თავმჯდომარე ამ საჩივარს 5 სამუშაო დღის ვადაში გადაუგზავნის სააგენტოს და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, ეკონომიკის შესაბამისი რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს, როგორც უფლებამოსილ ორგანოს.

7. თუ ცალსახად არ დგინდება საკითხის შესწავლაზე უფლებამოსილი ორგანო, ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადა იზრდება 30 კალენდარულ დღემდე, რათა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის



მიზნით კომისიას, სააგენტოს ან/და ეკონომიკის შესაბამისი რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს შორის კონსულტაციები გაიმართოს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის ათვლა იწყება საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის შემდგომ.

მუხლი 11. საჩივრის მატერიალური დასაშვებობა

1. საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას კომისია შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კომისიის გადაწყვეტილებით არაუმეტეს 15 სამუშაო დღით.

2. კომისიის თავმჯდომარე სრულყოფილი საჩივრის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მოპასუხეს შემოსული საჩივრის შესახებ, გარდა კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე წარდგენილი საჩივრისა და განუსაზღვრავს ვადას მოსაზრებების/მტკიცებულებების წარმოდგენისათვის. მოპასუხე უფლებამოსილია კომისიას წარუდგინოს მოსაზრებები/მტკიცებულებები საჩივრის თაობაზე, კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებულ ვადაში.

3. კომისიას/კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს მომჩივანს ან/და მოპასუხეს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ან ახსნა-განმარტებაზე გამოცხადება.

4. მომჩივნის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების წარმოდგენამდე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება შეჩერებულად ითვლება, ხოლო მომჩივნის მხრიდან ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ვადის დინების განახლების საფუძველია.

5. კომისიის თავმჯდომარე საჩივარს უგზავნის სააგენტოს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ეკონომიკის სფეროს მარეგულირებელ ორგანოს მოსაზრებებისათვის და იღებს შესაბამის კონსულტაციებს.

მუხლი 12. პირობითი ვალდებულებები საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე

1. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე მოპასუხე ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია, კომისიას შესთავაზოს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედების განხორციელების თაობაზე პირობითი ვალდებულების მიღება.

2. კომისიის თავმჯდომარე პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღებიდან 5 სამუშაო დღეში აცნობებს მომჩივანს ამის შესახებ და განუსაზღვრავს ვადას მოსაზრებების და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენისათვის, რაც საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის დინების შეჩერების საფუძველია.

3. მომჩივანი უფლებამოსილია წარადგინოს მოსაზრებები და შესაბამისი ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების თაობაზე, კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებულ ვადაში. მომჩივნის მხრიდან ინფორმაციის წარდგენა საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის დინების განახლების საფუძველია. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის დინება ასევე განახლდება მითითებულ ვადაში მომჩივნის მიერ ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში ამ ვადის გასვლის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

4. კომისია/კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება, რომელიც ხელს შეუწყობს პირობითი ვალდებულებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

5. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის პროცესში, კომისიის თავმჯდომარე პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობებს სააგენტოს, საჭიროების შემთხვევაში, ასევე შესაბამის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს ამის შესახებ და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას მოსაზრებების წარმოდგენისათვის.

6. კომისია უფლებამოსილია თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ შემოთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე. გადაწყვეტილების მიღებისას, კომისია შეზღუდული არ არის მომჩივნის, სააგენტოს და შესაბამისი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს პოზიციით, თუმცა გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს შესაბამისი დასაბუთება.

7. საჩივრის დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ პირობითი ვალდებულებების შეთავაზების შემთხვევაში, კომისია უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ მიიჩნევს, რომ პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ წარმოიშობა გონივრული ეჭვი კანონის დარღვევის თაობაზე და თანხმობას განაცხადებს მხარის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებების მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში კომისია მოპასუხეს განუსაზღვრავს ვადას პირობითი ვალდებულების შესასრულებლად.

8. თუ კომისია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პირობითი ვალდებულებების მიღებას, იგი აღნიშნულის თაობაზე აცნობებს მომჩივანს, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს და აგრძელებს საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის განხილვას. ამ შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4



ნაწილით გათვალისწინებული რეგულირება.

9. პირობითი ვალდებულებების თაობაზე კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე.

10. პირობითი ვალდებულებების მიღების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა გარკვეული პერიოდულობით და განსაზღვროს ინფორმაციის წარმოდგენის წესი.

11. თუ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული სახით არ შეასრულებს პირობით ვალდებულებებს, საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმება განახლდება და საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის ათვლა თავიდან დაიწყება.

მუხლი 13. კომისიის გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობის თაობაზე

1. კომისია საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის განხილვის ფარგლებში შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. კომისია ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძველები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

2. კომისია საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესახებ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის სრულად ან ნაწილობრივ დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ;

ბ) საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

3. კომისია უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ:

ა) საჩივარი უფლებამოსილ პირს არ წარუდგენია;

ბ) საჩივარი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

გ) არ არსებობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი;

დ) კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში მომჩივანმა არ წარმოადგინა გამოთხოვილი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება;

ე) მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან ლიკვიდაციის პროცესი;

ვ) არსებობს საქმის მოკვლევის შედეგად კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება;

ზ) არსებობს საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება, გარდა ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებისა;

თ) სასამართლო წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე ან არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ი) საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, კომისია თანხმობას განაცხადებს ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე.

კ) საჩივარში დაყენებული საკითხი არსებითად უკავშირდება კომისიის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაკისრებულ ან/და დასაკისრებელ ვალდებულებას და კომისია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს საკითხის კანონის საფუძველზე განხილვას.

4. კომისია განუხილველად დატოვებს ამ დანართით დადგენილი წესით და ფორმით წარდგენილ საჩივარს ან საჩივრის ნაწილს, რომელიც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა აქტების (გარდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა) დებულებების დარღვევას. ამ პუნქტის შესაბამისად საჩივრის ან მისი ნაწილის განუხილველად დატოვება არ ზღუდავს საჩივრის ავტორს დარღვევის თაობაზე კომისიას საჩივარი წარუდგინოს დამოუკიდებლად, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.



მუხლი 14. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძვლები

1. კომისია უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.
2. საქმის მოკვლევა იწყება კანონის შესაბამისი დებულების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.
3. საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევა იწყება საჩივრის დასაშვებად ცნობასთან ერთად.
4. კომისია საკუთარი ინიციატივით მოკვლევას იწყებს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული განცხადების, ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაციის არსებობის პირობებში, რომელიც წარმოშობს გონივრულ ეჭვს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
5. კომისია საკუთარი ინიციატივით მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე.
6. კომისია მის მიერ საკუთარი ინიციატივით მოკვლევის დაწყებასთან ერთად განსაზღვრავს შესაბამის მოპასუხე სუბიექტს/სუბიექტებს და ატყობინებს მას/მათ მოკვლევის დაწყების თაობაზე. კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე დაწყებული მოკვლევის თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროების/შესაბამისი სუბიექტისათვის შეტყობინების შესახებ გადაწყვეტილებას კომისია იღებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოკვლევის პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის ინტერესების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, მოკვლევის დაწყების სხდომა დაიხუროს, მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჯაროვდეს და მოპასუხე სუბიექტს/სუბიექტებს დაუყოვნებლივ არ ეცნობოთ მოკვლევის დაწყების შესახებ.
7. კომისია ვალდებულია მოკვლევის დაწყების თაობაზე აცნობოს სააგენტოს და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, შესაბამის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს.

8. კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს შესაბამისი სუბიექტების მიერ მტკიცებულებების წარმოდგენის ვადა. კომისიის მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ შესაბამისი სუბიექტებს უფლება აქვთ კომისიას წარუდგინონ დამატებითი მტკიცებულებები, თუ მათ აღნიშნული მტკიცებულებების წარმოდგენა კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში ობიექტურად არ შეეძლოთ.

მუხლი 15. საქმის მოკვლევის ხანგრძლივობა

1. საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კომისია იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
2. საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს 18 თვემდე.
3. კომისია გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის ვადის გაგრძელების შესახებ.

მუხლი 16. ეკონომიკური აგენტის ქმედების დროებით შეჩერება

კომისია უფლებამოსილია კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁷⁶ მუხლით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას კანონის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 17. ადგილზე შემოწმების სამართლებრივი საფუძვლები

1. კანონის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების მიზნით, კომისია იღებს გადაწყვეტილებას სასამართლოსადმი მიმართვის შესახებ. ამ პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას კომისია იღებს დახურულ სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მოწვევისა და დასწრების გარეშე. ასეთ შემთხვევაში არ ქვეყნდება ინფორმაცია სხდომის, მისი ჩატარების დროისა და დღის წესრიგის თაობაზე. გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჯაროვდება იმ ვადაში და იმ ფორმით, რომ ხელი არ შეეშალოს ადგილზე შემოწმების ღონისძიების ეფექტურად განხორციელებას.
2. კომისიის გადაწყვეტილება ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების შესახებ უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს და დასაბუთებას შესაბამისი ღონისძიების გამოყენების საჭიროების თაობაზე.
3. კომისიის თავმჯდომარე, კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიმართავს სასამართლოს მოტივირებული შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების თაობაზე. შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტის ზუსტი მონაცემები, რომელიც უნდა შემოწმდეს, შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები.



4. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების შესახებ ბრძანებას იღებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი 21⁷⁰ მუხლით დადგენილი წესით, კომისიის თავმჯდომარის მიერ შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში იმ ეკონომიკური აგენტისთვის შეუტყობინებლად, რომლის ადგილზე შემოწმებასაც ითხოვს კომისია.

5. მოსამართლის ბრძანების საფუძველზე კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას, სადაც მიეთითება:

ა) ადგილზე შემოწმებაში მონაწილე, კომისიის უფლებამოსილ პირთა სახელი, გვარი, თანამდებობა და პირადი ნომერი;

ბ) ადგილზე შემოწმებაში მონაწილე, შესაბამისი დარგის მოწვეული ექსპერტ(ებ)ის სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

მუხლი 18. ადგილზე შემოწმებაში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები

1. შემოწმება უნდა განხორციელდეს სამუშაო საათებში. საჭიროების შემთხვევაში შემოწმება შეიძლება გაგრძელდეს არასამუშაო დროსაც, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეებში.

2. შესაძლებელია განხორციელდეს იმ ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმება, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს მოკვლევა, თუმცა არსებობს საკმარისი საფუძველი და დასაბუთება, რომ მასთან ინახება შესაბამისი საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები და ამ ეკონომიკური აგენტის შემოწმების თაობაზე არსებობს მოსამართლის ბრძანება.

3. ადგილზე შემოწმება მოიცავს:

ა) ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტების გაცნობას, მათი კონფიდენციალურობის და შენახვის წესის მიუხედავად;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლების გადაღებას;

გ) ადგილზე ახსნა-განმარტებების მიღებას;

დ) ეკონომიკური აგენტის იურიდიული და ფაქტობრივი საქმიანობის ადგილზე დაშვებას.

4. ადგილზე შემოწმების განმახორციელებელი, კომისიის უფლებამოსილი თითოეული პირი ვალდებულია ეკონომიკურ აგენტს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადგილზე შემოწმება, შემოწმების დაწყებამდე წარუდგინოს სამსახურებრივი მოწმობა.

5. ადგილზე შემოწმების განმახორციელებელი კომისიის უფლებამოსილი პირი ვალდებულია ეკონომიკურ აგენტს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადგილზე შემოწმება, შემოწმების დაწყებამდე გადასცეს მოსამართლის და კომისიის თავმჯდომარის ბრძანებები, რასაც ეკონომიკური აგენტის უფლებამოსილი პირი ადასტურებს შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერით.

6. ადგილზე შემოწმების განმახორციელებელი კომისიის უფლებამოსილი პირი ვალდებულია ეკონომიკურ აგენტს გააცნოს შემოწმების პროცესში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები, პროცედურული საკითხები და ასევე ის შედეგები, რომელიც მოჰყვება კომისიის უფლებამოსილი პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობას, რასაც ეკონომიკური აგენტის უფლებამოსილი პირი ადასტურებს შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერით.

7. ეკონომიკური აგენტი ვალდებულია ადგილზე შემოწმების დროს ითანამშრომლოს კომისიის უფლებამოსილ პირებთან, მათ შორის:

ა) შემოწმების ადგილზე დაუშვას კომისიის უფლებამოსილი პირები;

ბ) არ შეუშალოს ხელი კომისიის უფლებამოსილ წარმომადგენელს თავისი მოვალეობის შესრულებაში;

გ) კომისიის უფლებამოსილ პირებს მიამაგროს წარმომადგენელი ან/და თანამშრომელი, რომელიც, საჭიროებისამებრ მისცემს ახსნა-განმარტებას, კომისიის წარმომადგენლებს დახმარებას გაუწევს ადგილზე შემოწმების პროცესის ეფექტიანად წარმართვაში, მათ შორის, ეკონომიკური აგენტის თანამშრომლების ელექტრონული ფოსტების დროებით დაბლოკვაში, კომპიუტერების ქსელიდან დროებით გამორთვაში, ისე რომ ამან არ გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობის დაუსაბუთებელი შეფერხება ან შეჩერება;

დ) არ განახორციელოს იმ ნივთებთან (კომპიუტერული მოწყობილობები, მატერიალური დოკუმენტები, ჩანაწერები და სხვა) შეხება, რომელთან დაკავშირებითაც მიიღებს მითითებას კომისიის უფლებამოსილი წარმომადგენლისგან, ისე რომ ამან არ გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობის დაუსაბუთებელი შეფერხება ან შეჩერება.

8. ეკონომიკურ აგენტს უფლება აქვს, შემოწმებისას მოიწვიოს იურისტი ან/და სხვა წარმომადგენელი. ასეთი პირ(ებ)ის მონაწილეობა არ წარმოადგენს ადგილზე შემოწმების პროცესის კანონიერების პირობას. ამასთან, დაუშვებელია, იურისტის/წარმომადგენლის მონაწილეობის საბაზით, ადგილზე შემოწმების პროცესის შეფერხება/ხელის შეშლა.



9. კომისიის უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის ადგილზე შემოწმებაში ხელის შეშლა იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 19. ადგილზე შემოწმებაში მესამე პირების მონაწილეობა

ადგილზე შემოწმების პროცესის ჯეროვნად წარმართვის მიზნით პროცესში შეიძლება ჩაერთოს შესაბამისი დარგის ექსპერტი.

მუხლი 20. ფართის ან/და დოკუმენტაციის დალუქვა ადგილზე შემოწმების დროს

1. კომისიის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, დალუქოს შესამოწმებელი ფართი სრულად ან ნაწილობრივ, ასევე ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები (მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტები) და კომპიუტერული ტექნიკა, იმ ხანგრძლივობითა და მოცულობით, რაც აუცილებელია ადგილზე შემოწმების მიზნებისათვის, ისე რომ ამან არ გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობის დაუსაბუთებელი შეფერხება ან შეჩერება.

2. შესამოწმებელი ფართის ან მისი ნაწილის ან/და ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტების) და კომპიუტერული ტექნიკის დალუქვა შესაძლებელია ადგილზე შემოწმების პერიოდის განმავლობაში, თუმცა არაუმეტეს 72 საათისა.

3. შესამოწმებელი ფართის ან მისი ნაწილის ან/და ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტების) და კომპიუტერული ტექნიკის დალუქვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კომისიის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დგება ოქმი. ეკონომიკური აგენტი ვალდებულია უზრუნველყოს ლუქის მთლიანობა იმ დრომდე, ვიდრე თავად კომისიის უფლებამოსილი პირები არ ახსნიან მას. ლუქის ახსნის დროს დგება ოქმი, სადაც ფიქსირდება ლუქის მდგომარეობა.

მუხლი 21. ახსნა-განმარტების მიღება ადგილზე შემოწმების დროს

1. ადგილზე შემოწმების დროს, კომისიის უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დასმულ შეკითხვაზე ეკონომიკური აგენტის წარმომადგენლისგან ან/და ეკონომიკური აგენტის თანამშრომლისგან მიღებული ახსნა-განმარტება მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია ჩაწერილ იქნეს ნებისმიერი ფორმით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ჩაწერილი ახსნა-განმარტების ასლი შესაბამის ეკონომიკურ აგენტს ეგზავნება ადგილზე შემოწმების დასრულების შემდგომ.

მუხლი 22. ინფორმაციის მოპოვება ადგილზე შემოწმების დროს

1. კომისიის წარმომადგენელი უფლებამოსილია გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკურ დოკუმენტებს, მათი კონფიდენციალურობის და შენახვის წესის მიუხედავად, ასევე გააკეთოს ამ ინფორმაციის ასლი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი ასევე მოიცავს კომისიის უფლებას, შეამოწმოს ელექტრონული ფორმით არსებული ინფორმაცია, ასევე გააკეთოს ამ ინფორმაციის ასლი.

3. ადგილზე შემოწმების დროს კომისიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ, შეამოწმონ შესაბამისი ეკონომიკური აგენტის:

ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემა, მათ შორის, სერვერები, პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ტაბლეტები და სხვა ელექტრონული მოწყობილობები;

ბ) ინფორმაციის შესანახი საშუალებები, მათ შორის, კომპაქტდისკები (CD-ROM), ინფორმაციის მატარებელი ციფრული ოპტიკური დისკები (DVD), უნივერსალური სერიული სალტები (USB), გარე მყარი დისკები (external hard disks), სარეზერვო ასლები (backup tapes), მონაცემთა „ღრუბლები“ და ა.შ.;

გ) თანამშრომლ(ებ)ის პირადი ტექნიკა, მოწყობილობა და საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სამსახურებრივი მიზნებისათვის და რომლებიც იმყოფება შემოწმების ადგილზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლება მოიცავს კომისიის წარმომადგენლების უფლებას, ადგილზე შემოწმების დროს გამოიყენონ არამხოლოდ სისტემაში ჩაშენებული/ინტეგრირებული საძიებო სისტემები, არამედ სხვა რელევანტური საშუალებები (Forensic IT tools).

5. შესამოწმებლად შერჩეული ინფორმაციის შესანახი საშუალება, ამ საშუალების უსაფრთხოების კონტროლის მიზნით, ადგილზე შემოწმების დასრულებამდე შესაძლებელია გადავიდეს კომისიის უფლებამოსილი პირის დროებით მფლობელობაში, რასთან დაკავშირებითაც დგება ოქმი.

6. ეკონომიკურ აგენტს, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შესანახი საშუალება უბრუნდება



ადგილზე შემოწმების დასრულების ან საშუალებაზე არსებული ინფორმაციის ასლის (forensic copy) გაკეთების შემდგომ. ასეთი ასლი ითვლება ინფორმაციის შესანახ ორიგინალ საშუალებაზე არსებული ინფორმაციის ავთენტურ დუბლიკატად. ავთენტური დუბლიკატის შემოწმება უტოლდება ინფორმაციის შესანახ ორიგინალ საშუალებაზე არსებული ინფორმაციის შემოწმებას.

მუხლი 23. ადგილზე შემოწმების დროს მოპოვებულ ინფორმაციასთან მოპყრობა

1. ადგილზე შემოწმების დასრულებისას, კომისიის უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ შემოწმების დროს მოპოვებული ინფორმაციის გადატანა ხდება ინფორმაციის მატარებელზე (მაგალითად, DVD). მზადდება სამი იდენტური ასლი, საიდანაც ერთი გადაეცემა ეკონომიკურ აგენტს, ხოლო ორი თან მიაქვს კომისიის უფლებამოსილ პირ(ებ)ს.
2. შემოწმების დასრულებისას, ორ ეგზემპლარად მზადდება შემოწმების ოქმი, რომელიც ასევე მოიცავს ადგილზე შემოწმებისას მოპოვებული, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ჩამონათვალს/სიას. ოქმის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ეკონომიკურ აგენტს.
3. ოქმის გაცნობისა და მისი ერთი ეგზემპლარის, ასევე ინფორმაციის მატარებლის გადაცემის ფაქტს ეკონომიკური აგენტის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ხელმოწერით.
4. ადგილზე შემოწმების დროს კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 24. მოკვლევის წარმოების ზოგადი პროცედურა

1. კომისიის მიერ მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით ინიშნება მოკვლევის ჯგუფი, მინიმუმ 2 პირის მონაწილეობით, რომლის შემადგენლობაშიც კომისიის თანამშრომელთან ერთად შეიძლება იყოს, ასევე მოწვეული სპეციალისტიც. ამავე ბრძანებით განისაზღვრება მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი.
2. მოკვლევის ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ქმედება, რაც საჭიროა საქმის მოკვლევის განხორციელებისათვის. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია ჯგუფის ხელმძღვანელის ხმა.

მუხლი 25. საქმის გარემოებათა გამოკვლევა

1. კომისია ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
2. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კომისია/მოკვლევის ჯგუფი უფლებამოსილია:
 - ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;
 - ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;
 - გ) მოიწვიოს ექსპერტი;
 - დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

მუხლი 26. თანამშრომლობის ფორმები

1. კომისიის თავმჯდომარე მიმართავს სააგენტოს და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, შესაბამის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების ან/და საკუთარი პოზიციის წარმოდგენის მოთხოვნით.
2. სააგენტო/შესაბამისი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანო, საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების მიზნით, უფლებამოსილია:
 - ა) გამოითხოვოს და გაეცნოს საქმის მასალებს;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს ამ წესის 28-29-ე მუხლებით გათვალისწინებულ ახსნა-განმარტებებში;
 - გ) გაეცნოს და შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ აღებულ პირობით ვალდებულებებზე;
 - დ) გაეცნოს და შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების პროექტზე;
 - ე) მონაწილეობა მიიღოს შემაჯამებელ სხდომაში;



ვ) გაცნოს და შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს კომისიის მიერ პირისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ - ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისი პოზიციის დაფიქსირებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, სააგენტოს და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, შესაბამის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს, გონივრული ვადის გათვალისწინებით უნდა მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

4. საჭიროების შემთხვევაში სააგენტოსთან ან/და შესაბამისი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოსთან კონსულტაციის შედეგად კომისიამ შესაძლებელია შეიმუშაოს ეკონომიკის სხვა რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა და მათთან აფილირებული სუბიექტების მიერ მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის, მათ მიერ ამ სფეროებში კონკურენციის შეზღუდვის აღკვეთისა და მონიტორინგის სპეციალური წესი და მისი აღსრულების პროცედურა.

მუხლი 27. პირთა წრე, ვისგანაც შესაძლებელია ახსნა-განმარტების მიღება

1. საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად კომისიას/კომისიის თავმჯდომარეს, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს:

ა) მხარე;

ბ) დაინტერესებული მხარე.

2. ახსნა-განმარტებისათვის გამოძახებული პირები ვალდებული არიან გამოცხადდნენ სხდომაზე და მისცენ ახსნა-განმარტება.

მუხლი 28. ინდივიდუალური ახსნა-განმარტება

1. მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, მოკვლევის ჯგუფის მიერ ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით. ასეთ შემთხვევაში დგება ახსნა-განმარტების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თანამშრომელი, რომელიც იღებს ახსნა-განმარტებას და ახსნა-განმარტების მიმცემი პირი.

2. თუ ახსნა-განმარტების მიმცემი პირი უარს განაცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, კომისიის თანამშრომელი თავად აწერს ოქმს ხელს და აკეთებს მითითებას პირის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზების შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ახსნა-განმარტების მიმდინარეობა მხარეთა თანხმობით შეიძლება ჩაიწეროს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, საოქმო ჩანაწერი ერთვის ახსნა-განმარტების ოქმს და ჩანაწერის შინაარსის წერილობითი ფორმით ოქმში ასახვა აღარ ხორციელდება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 29. ახსნა-განმარტების სხდომა

1. კომისიამ შესაძლებელია, შემაჯამებელ სხდომამდე ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ჩაატაროს სხდომა მხარეთა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.

2. სხდომა იმართება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 30. პირობითი ვალდებულებები საქმის მოკვლევის ეტაპზე

1. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების პროექტის მიღებამდე მოპასუხე ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კომისიას შესთავაზოს პირობითი ვალდებულებები.

2. კომისიის თავმჯდომარე პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღებიდან 5 სამუშაო დღეში აცნობებს მომჩივანს ამის შესახებ და განუსაზღვრავს ვადას მოსაზრებების და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენისათვის, რაც საქმის მოკვლევის ვადის დინების შეჩერების საფუძველია.

3. კომისიის თავმჯდომარე პირობითი ვალდებულებების მიღებიდან 5 სამუშაო დღეში აცნობებს სააგენტოს, საჭიროების შემთხვევაში, ასევე, შესაბამისი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს ამის შესახებ და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას მოსაზრებების წარმოდგენისათვის.

4. კომისია უფლებამოსილია მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება, რომელიც ხელს შეუწყობს პირობითი ვალდებულებების განხილვისათვის/გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას, რაც ასევე აჩერებს საქმის მოკვლევის ვადის დინებას.

5. კომისია უფლებამოსილია, თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ



შემოთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე. კომისია პირობითი ვალდებულებების მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. გადაწყვეტილების მიღებისას, კომისია შებოჭილი არ არის მომჩივნის, სააგენტოს და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს პოზიციით, თუმცა, გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იქნეს შესაბამისი დასაბუთება.

6. თუ კომისია მიიჩნევს, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ აღებული პირობითი ვალდებულების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი და მიიღებს მის მიერ აღებულ პირობით ვალდებულებას კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედების განხორციელების თაობაზე, კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს აღებული პირობითი ვალდებულების შესასრულებლად ვადას განუსაზღვრავს.

7. პირობითი ვალდებულებების მიღების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა გარკვეული პერიოდულობით და განსაზღვროს ინფორმაციის წარმოდგენის წესი.

8. თუ კომისია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პირობითი ვალდებულებების მიღებას, იგი აღნიშნულის თაობაზე აცნობებს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს და აგრძელებს საქმის მოკვლევას. ამ შემთხვევაში, მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული რეგულირება. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ეგზავნება სააგენტოს და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, შესაბამის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს.

9. თუ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული სახით არ იქნება შესრულებული პირობითი ვალდებულებები:

ა) ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა აღემატებოდეს კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის საშუალო დღიური ბრუნვის 5%-ს;

ბ) კომისიის მიერ სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე პირობითი ვალდებულებების შესახებ გამოცემული გადაწყვეტილება უქმდება და საქმის მოკვლევა განახლდება საქმის მოკვლევის დარჩენილი ვადით. დარჩენილი ვადა აითვლება კომისიის მიერ პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღების თარიღიდან.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, წინა ფინანსურ წელში იგულისხმება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წელი, ხოლო, თუ ეკონომიკური აგენტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ჩაითვლება გადაწყვეტილების მიღების წელი.

მუხლი 31. გადაწყვეტილების პროექტი

1. კომისიის თავმჯდომარე შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელს, მომჩივან და მოპასუხე მხარეებს წერილობით უგზავნის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს და განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პოზიციის წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი პოზიცია კომისიამ შეიძლება მხედველობაში არ მიიღოს.

3. კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების პროექტი, საქმის მასალებთან ერთად, გაუგზავნოს სააგენტოს, საჭიროების შემთხვევაში ასევე, შესაბამისი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს და განუსაზღვროს გონივრული ვადა მოსაზრებების წარმოდგენისათვის.

4. სააგენტო და შესაბამისი მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ პოზიცია კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5. კომისია შებოჭილი არ არის მხარის, სააგენტოს და შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მოწოდებული პოზიციით, თუმცა გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს შესაბამისი დასაბუთება.

მუხლი 32. შემაჯამებელი სხდომა

1. საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება კომისიის შემაჯამებელი სხდომა მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით.

2. კომისიის სხდომა იმართება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 33. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება და გასაჩივრების წესი



1. შემავალი სხდომის დასრულების შემდგომ კომისია იღებს გადაწყვეტილებას.
2. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნებათ მხარეებს/განმცხადებელს და 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე, კონფიდენციალური მონაცემების დაცვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 34. ჯარიმა

1. კომისიის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ ინფორმაციას ჯარიმის ოდენობის და მისი გამოთვლის წესის შესახებ.
2. კანონის მე-6 ან მე-7 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს, ხოლო აღნიშნული დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში – 10%-ს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, წინა ფინანსურ წლად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წელი, ხოლო, თუ ეკონომიკური აგენტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ითვლება გადაწყვეტილების მიღების წელი.
4. ჯარიმის ოდენობის გამოთვლა ხორციელდება კომისიის მიერ შემუშავებული ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 35. საქმის ხელახლა მოკვლევის დაუშვებლობა

საქმის მოკვლევის დასრულების შემდეგ დაუშვებელია იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძველით მოკვლევის დაწყება, თუ არ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან/და გამოვლენილი გარემოება.

თავი IV

თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელების წესი

მუხლი 36. ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისთვის აქ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) განაცხადი – კომისიაში ზეპირად ან წერილობით წარმოდგენილი ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობაზე;
- ბ) მარკირება – შესაბამისი კატეგორიის შეღავათის მიღების მსურველთა რიგში პირისათვის ადგილის დაკავება, მის მიერ ამ წესის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოდგენამდე;
- გ) თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილის პირობითი სტატუსი – პირისათვის პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის შეღავათის პირობითი იმუნიტეტის მინიჭება.

მუხლი 37. თანამშრომლობის პროგრამის შინაარსი

1. თანამშრომლობის პროგრამა გულისხმობს პირის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი აღიარებს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას და ერთდროულად აკმაყოფილებს კანონითა და ამ წესით დადგენილ პირობებს.
2. კანონისა და ამ წესის მიზნებისათვის, პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გულისხმობს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმის დაკისრებისაგან მის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას.

მუხლი 38. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათების კლასიფიკაცია

1. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათი შეიძლება იყოს პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის.
2. პირველი კატეგორიის შეღავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას 100%-ით.
3. მეორე კატეგორიის შეღავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას 20%-დან 50%-მდე.
4. მესამე კატეგორიის შეღავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას 20%-მდე.



მუხლი 39. თანამშრომლობის პროგრამით მოსარგებლე პირი

1. თანამშრომლობის პროგრამით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც წერილობითი ფორმით აღიარებს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას და დააკმაყოფილებს კანონითა და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.
2. კანონითა და ამ წესით გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირებს შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.

მუხლი 40. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის პირობები

თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობა და ამ პროგრამით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობა შეუძლია ამ წესის 39-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს, თუ იგი ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ა) კომისიას ზეპირად ან/და წერილობით წარუდგენს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილ, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება კომისიისთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;
- ბ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს კომისიასთან.
- გ) შეწყვეტს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისია მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;
- დ) არ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტსა და მტკიცებულებას;
- ე) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

მუხლი 41. განაცხადის წარდგენის პირობები

1. თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ კომისიაში წარმოდგენილი განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
 - ა) განაცხადის წარმდგენი ფიზიკური პირის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა);
 - ბ) პირის მონაცემები (სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი, ხელმძღვანელი პირი და ელექტრონული ფოსტა);
 - გ) ინფორმაცია კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ, მათ შორის:
 - გ.ა) შეთანხმებაში მონაწილე სხვა პირების სახელწოდება და საიდენტიფიკაციო მონაცემები;
 - გ.ბ) კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების და მასში მონაწილე პირთა როლების დეტალური აღწერა;
 - გ.გ) ის პროდუქციული და გეოგრაფიული ბაზარი, სადაც ადგილი აქვს შეთანხმებას (არასავალდებულოდ შესავსები ნაწილი);
 - გ.დ) შეთანხმების ხანგრძლივობა;
 - გ.ე) საქმესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
 - გ.ვ) მტკიცებულებები სავარაუდო სამართალდარღვევის თაობაზე;
 - დ) განაცხადის წარდგენის თარიღი (წელი, რიცხვი, თვე, საათი, წუთი) და ხელმოწერა.
2. განაცხადს თან უნდა ერთოდეს მისი წარმდგენი ფიზიკური პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. კომისიაში განაცხადის წარმოდგენა ხდება ინდივიდუალურად, კონკრეტული პირის სახელით.
4. ორი ან მეტი პირის მიერ კომისიაში განაცხადის ერთობლივად წარმოდგენის შემთხვევაში, განაცხადის წარმდგენ პირებს შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ მესამე კატეგორია.
5. წერილობითი განაცხადი კომისიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ წესის დანართი 11-ის შესაბამისად.

მუხლი 42. განაცხადის წარდგენის პროცედურა



1. თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით პირი კომისიას მიმართავს განაცხადით და წარუდგენს ამ წესით გათვალისწინებულ ინფორმაციას.
2. დასაშვებია განაცხადის ელექტრონული ფორმით წარდგენა კომისიაში, თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს.
3. პირის მიერ კომისიისთვის ზეპირი განაცხადით მიმართვის შემთხვევაში, კომისიის თანამშრომლის მიერ დგება ოქმი, რომელშიც აისახება პირის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი ინფორმაცია და დანართის სახით დაერთვის შესაბამისი მტკიცებულებები. ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი კომისიის თანამშრომელი და ზეპირი განაცხადის წარმდგენი პირი. ზეპირი განაცხადის მიღების დროდ ჩაითვლება ოქმის შედგენის დაწყების დღე, საათი და წუთი.
4. პირს უფლება აქვს, კომისიაში ოფიციალური განაცხადის წარდგენამდე მიმართოს მას ანონიმურად და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამის შესახებ.
5. განაცხადის მიღების შემდეგ კომისია გასცემს წერილობით ცნობას მისი მიღების შესახებ, მიღების თარიღისა და დროის მითითებით.
6. კომისია განაცხადს იხილავს მისი შემოტანის დროის თანმიმდევრობით (შემოტანის თარიღის შესაბამისი რიგითობით).
7. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ წესის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 41-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე მოახდენს განაცხადის მარკირებას, პირს წერილობით აცნობებს აღნიშნულის თაობაზე და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს განსაზღვრული ინფორმაცია და მტკიცებულებები. ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში წარმოდგენის შემთხვევაში, იგი წარმოდგენილად ჩაითვლება იმ დროს, როდესაც მოხდა პირის მარკირება.
8. კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენლობის შემთხვევაში, კომისია დახურულ სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ და მარკირება უქმდება. ასეთ შემთხვევაში არ ქვეყნდება ინფორმაცია სხდომის, მისი ჩატარების დროისა და დღის წესრიგის თაობაზე.
9. თუ კომისია დაადგენს, რომ განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს, იღებს გადაწყვეტილებას პირისთვის თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილის პირობითი სტატუსის მინიჭების შესახებ, სრულყოფილი განაცხადის შემოტანის ან/და მარკირებით განსაზღვრული რიგითობის გათვალისწინებით და წერილობით აცნობინებს პირს აღნიშნულის თაობაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში არ ქვეყნდება ინფორმაცია სხდომის, მისი ჩატარების დროისა და დღის წესრიგის თაობაზე.
10. პირს უფლება აქვს განაცხადის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უკან გაიხმოს განაცხადი. განაცხადის უკან გახმობის მიუხედავად, კომისია იტოვებს პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს საქმის მოკვლევისათვის. ასეთ შემთხვევაში, განცხადების შემომტანი პირის ვინაობა რჩება ანონიმური.
11. თუ საქმის მოკვლევა ჯერ არ არის დაწყებული და განაცხადი შეიცავს შესაბამის ინფორმაციას, კომისია უფლებამოსილია მის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით დაიწყოს საქმის მოკვლევა კანონის შესაბამისად.

მუხლი 43. გადაწყვეტილება ჯარიმის დაკისრებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ

1. თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, კანონით დადგენილი ჯარიმის დაკისრებისაგან პირის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას კომისია იღებს საქმის მოკვლევის დასრულებისთანავე. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია აფასებს პირის მიერ ამ წესით დადგენილი პირობების შესრულებას.
2. პირველი კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც რიგით პირველი შეიტანს განაცხადს კომისიაში კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე და მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იქნება კომისიისთვის ცნობილი.
3. მეორე კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც რიგით მეორე შეიტანს განაცხადს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე. ამასთან, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იქნება განაცხადის შემომტანი რიგით პირველი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემავსებელი და ამავდროულად, არ იქნება კომისიისთვის ცნობილი.
4. მესამე კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, თუ ის არის რიგით მესამე და შემდეგი, რომელიც (რომლებიც) შეიტანს განაცხადს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე. ამასთან, მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია იქნება უფრო ადრე გაცხადებული ინფორმაციის შემავსებელი და ამავდროულად, არ იქნება კომისიისთვის ცნობილი. იგივე წესი ვრცელდება ამ წესის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაზე.



5. პირს თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილის პირობითი სტატუსი მოეხსნება იმ შემთხვევაში, თუ კომისიისთვის აშკარა გახდა, რომ პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

6. პირს თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილის პირობითი სტატუსი ასევე მოეხსნება იმ შემთხვევაში, თუ კომისია დაადგენს, რომ იგი არ ასრულებს ამ წესის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„ე“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

7. იმ პირის კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსი, რომელსაც მოეხსნა სტატუსი ან რომელმაც უკან გაიხმო განაცხადი, მიენიჭება რიგში მის შემდგომ მყოფ პირს.

მუხლი 44. კონფიდენციალურობის დაცვა

1. თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცულია კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად.

2. თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილე პირის/პირების თაობაზე მონაცემები კონფიდენციალურია კომისიის მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების შედეგად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თავი V

კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი

მუხლი 45. კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის მიზანი

1. ამ თავის მიზანია:

ა) კომისიისთვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის ზღვრული ოდენობის, შეტყობინებისა და განხილვის პროცედურების განსაზღვრა;

ბ) შესაბამის საქონლის ან/და მომსახურების ბაზარზე კონცენტრაციის ცვლილების შეფასება, ეკონომიკურ აგენტთა ისეთი კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე;

გ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

2. ამ თავით დგინდება:

ა) კომისიისთვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას (შემდგომში „შეტყობინება“) დაქვემდებარებული კონცენტრაციის კრიტერიუმები;

ბ) შეტყობინების წარდგენის წესი და განხილვის პროცედურები.

3. კომისია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 27-ე მუხლებით დადგენილი წესით, 2026 წლის 1 იანვრამდე შეისწავლის იმ ოპერაციას, რომლითაც ხდება ამ კანონით გათვალისწინებული ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის წილის ან აქციების ან/და აქტივების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეძენა ან იმ პირთა შერწყმა, რომელთაგან ერთი მაინც არის ამ პუნქტით განსაზღვრული პირი, ხოლო მეორე არ არის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღნიშნული ოპერაცია კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული კონცენტრაცია ან/და აკმაყოფილებს თუ არა იგი ამ წესის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ოპერაციის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შესწავლისას კომისია აგრეთვე შეაფასებს მაუწყებლობის სფეროში კონცენტრაციის შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან, თუ ოპერაციის მონაწილე სუბიექტი (ან სუბიექტები) საქმიანობას ახორციელებენ მაუწყებლობის სფეროში და კონცენტრაცია აკმაყოფილებს ამ წესის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 46. შეტყობინების ვალდებულებას დაქვემდებარებული კონცენტრაციები და შეტყობინების შედეგები

1. კომისიისათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების, ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.

2. იმ პირის მონაწილეობით კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც რეგისტრირებულია კონცენტრაციის განხორციელების წელს, მხედველობაში მიიღება მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში



კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენის მომენტისათვის არსებული წლიური ბრუნვა.

3. შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაცია დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილება კონცენტრაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

მუხლი 47. წლიური ბრუნვის გამოთვლა

1. ერთობლივი წლიური ბრუნვა გულისხმობს შეტყობინების წინა ფინანსური წლის განმავლობაში კონცენტრაციის მონაწილეთა ჯამურ წლიურ ბრუნვას.

2. თუ კონცენტრაცია ეხება ერთი ან რამდენიმე საწარმოს ნაწილის ან ნაწილების შეძენას, მიუხედავად იმისა, ისინი დამოუკიდებელი ერთეულები არიან თუ არა, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი წლიური ბრუნვის გამოთვლისას გაითვალისწინება მხოლოდ ამ საწარმოთა კონცენტრაციას დაქვემდებარებული ნაწილის/ნაწილების შესაბამისი ბრუნვა, შესაბამისი ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების საფუძველზე.

3. კონცენტრაციის მონაწილეთა წლიური ბრუნვის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ჯამური წლიური ბრუნვა:

ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი;

ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები;

გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

4. უცხოური სუბიექტის მონაწილეობით განხორციელებული კონცენტრაციის მონაწილეთა ჯამური წლიური ბრუნვის გამოთვლისას გაითვალისწინება ამ სუბიექტის მიერ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული წლიური ბრუნვა.

მუხლი 48. შეტყობინების წარმდგენი პირი

შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება:

ა) შეძენის, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირს;

ბ) შერწყმის/გაერთიანების შემთხვევაში – ოპერაციის ყველა მონაწილეს, ერთობლივი შეტყობინების წარდგენის გზით;

გ) ერთობლივი საწარმოს შექმნის შემთხვევაში – ოპერაციის ყველა მონაწილეს, ერთობლივი შეტყობინების წარდგენის გზით.

მუხლი 49. შეტყობინების ვადა

1. კონცენტრაციის მონაწილეებს შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობათ შესაბამისი შეთანხმების ძალაში შესვლამდე ან/და კონცენტრაციის ფაქტობრივ განხორციელებამდე (მათ შორის, მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციამდე).

2. თუ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის მოპოვება ხდება ერთზე მეტი ტრანზაქციის საშუალებით უწყვეტი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, კონტროლის მომპოვებელ პირს შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობა იმ ტრანზაქციის უშუალო განხორციელებამდე, რომლითაც ხდება კონტროლის მოპოვება.

მუხლი 50. შეტყობინების წარდგენის წესი და დასაშვებობის პროცედურა

1. პირმა კომისიას უნდა წარუდგინოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით სრულყოფილად შევსებული ამ წესის დანართი 12-ის შესაბამისი შეტყობინება, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების და მათი მახასიათებლების შესახებ, ასევე, ინფორმაციას დაგეგმილი კონცენტრაციის შესახებ, კონცენტრაციის დეტალურ აღწერას, დამატებით შენიშვნებს და ა.შ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეტყობინებას თან უნდა ერთოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) კონცენტრაციის მონაწილე ყველა მხარის და მათი მაკონტროლებელი პირ(ებ)ის მფლობელობაში არსებული საწარმოების შესახებ;

ბ) კონცენტრაციის მონაწილე თითოეული მხარის მიერ უკანასკნელი ფინანსური წლის განმავლობაში წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული ძირითადი საქონლის/მომსახურების მოცულობა ასორტიმენტის მიხედვით;



გ) უკანასკნელი ფინანსური წლის მონაცემები კონცენტრაციის მონაწილე თითოეული მხარის ძირითადი მომწოდებლებისა და შემსყიდველების/მომხმარებლების შესახებ.

3. შეტყობინება კომისიაში წარდგენილად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ვადის ათვლა იწყება რეგისტრაციის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

4. კომისია შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს მის შესაბამისობას ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და ამ წესის დანართი 12-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

5. თუ წარდგენილი შეტყობინება არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე შეტყობინების წარმდგენ პირს უდგენს ხარვეზს და განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

6. ხარვეზის წერილში აღინიშნება ის კონკრეტული საკითხები და გარემოებები, რომლის მითითებაც ან/და დაზუსტებასაც ითხოვს კომისია.

7. თუ შეტყობინების წარმდგენი კომისიის თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება შეტყობინების განუხილველად დატოვების შესახებ. შეტყობინების განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე.

8. შეტყობინების განხილვის ვადის ათვლა იწყება კომისიაში სრულყოფილი შეტყობინების წარმოდგენის მომენტიდან.

9. სრულყოფილი შეტყობინების შემოსვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კომისია ამოწმებს, ექცევა თუ არა დაგეგმილი კონცენტრაცია კანონის რეგულირების სფეროში და მისი კომპეტენციის ფარგლებში, რის თაობაზეც აცნობებს შეტყობინების წარმომდგენ პირ(ებ)ს.

10. თუ კომისიას წარედგინა შეტყობინება, რომლის განხილვაც განეკუთვნება სააგენტოს ან/და ეკონომიკის სხვა რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებას, კომისიის თავმჯდომარე ამ შეტყობინებას 5 სამუშაო დღის ვადაში გადაუგზავნის სააგენტოს ან/და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს, როგორც უფლებამოსილ ორგანოს.

11. თუ ცალსახად არ დგინდება შეტყობინების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ვადა იზრდება 30 კალენდარულ დღემდე, რათა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის მიზნით კომისიას, სააგენტოს ან/და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს შორის კონსულტაციები გაიმართოს.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეტყობინების განხილვის ვადის ათვლა იწყება შეტყობინების განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოდ კომისიის განსაზღვრის შემდგომ.

მუხლი 51. შეტყობინების განხილვის პროცედურა

1. თუ შეტყობინება შეესაბამება ამ წესის 50-ე მუხლის მოთხოვნებს, კომისია ვალდებულია, შეტყობინების წარმოდგენიდან არაუმეტეს 25 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს შეტყობინება და შეამოწმოს დაგეგმილი კონცენტრაციის შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

2. კომისია/კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს დაგეგმილი კონცენტრაციის მხარეს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ან ახსნა-განმარტებაზე გამოცხადება.

3. კონცენტრაციის მხარის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების წარმოდგენამდე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება შეჩერებულად ითვლება, ხოლო ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ვადის დინების განახლების საფუძველია.

4. კომისია ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე და დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას, დაგეგმილი კონცენტრაციის თაობაზე წარმოადგინონ მოსაზრებები კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში. გამოქვეყნებული ინფორმაცია, კონცენტრაციაში მონაწილე პირთა კონფიდენციალური მონაცემების დაცვით, უნდა შეიცავდეს მონაცემებს მხარეთა ვინაობის/დასახელების, კონცენტრაციის საგნის და იმ ეკონომიკური დარგების/ბაზრების თაობაზე, რასაც ეხება დაგეგმილი კონცენტრაცია.

5. კომისია უფლებამოსილია შეტყობინების განხილვის პროცესში გაეცნოს დაინტერესებული პირების, კონცენტრაციის მხარეების კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისა და დარგის ექსპერტების პოზიციებს დაგეგმილ კონცენტრაციასთან დაკავშირებით.

6. მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შემდგომ, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, კომისია დადგენილი წესით მართავს სხდომას და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტული გარემოსთან თავსებადობის შესახებ;



ბ) შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია, შესაძლოა, არ იყოს თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან ან, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა საკითხის დამატებითი შესწავლა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, კომისია ვალდებულია განიხილოს შეტყობინება ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადაში.

8. ამ მუხლის პირველი ან/და მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ჩაითვლება.

9. თუ კომისია მიიჩნევს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან მომსახურების ბაზარზე, მიიღებს გადაწყვეტილებას დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

10. თუ კომისია მიიჩნევს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან/და მომსახურების ბაზარზე, მიიღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის დაუშვებლობის შესახებ.

11. თუ კონცენტრაცია იწვევს დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნას ან გაძლიერებას, ივარაუდება, რომ ასეთი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან მომსახურების ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონცენტრაციის მხარე დაასაბუთებს საწინააღმდეგოს.

12. თუ ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კონცენტრაციის მხარე კომისიას დაუსაბუთებს, რომ დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნის ან გაძლიერების მიუხედავად, დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და მოჰყვება მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტები, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

მუხლი 52. თანამშრომლობის ფორმები

1. კომისია ვალდებულია მიმართოს სააგენტოს და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, შესაბამის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების ან/და საკუთარი პოზიციის წარმოდგენის მოთხოვნით.

2. სააგენტო/შესაბამისი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანო, საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების მიზნით, უფლებამოსილია:

ა) გამოითხოვოს და გაეცნოს საქმის მასალებს;

ბ) შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს კომისიის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;

გ) გაეცნოს და შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს კონცენტრაციის მხარეების მიერ განსახორციელებელი სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების თაობაზე.

3. კომისიის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებასთან ან კონცენტრაციის მხარეების მიერ განსახორციელებელ სტრუქტურულ ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისი პოზიციის დაფიქსირებამდე, სააგენტოს/ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს გონივრული ვადის გათვალისწინებით უნდა მიეწოდოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

4. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია შეზღუდული არ არის სააგენტოს და შესაბამისი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს პოზიციით, თუმცა გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს შესაბამისი დასაბუთება.

მუხლი 53. სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები

1. თუ კანონის 11¹ მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრულ რომელიმე ეტაპზე, კომისიას გაუჩნდა გონივრული ეჭვი, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია, შესაძლოა, არ იყოს თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან და, შედეგად, მოსალოდნელია ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვა, ამის შესახებ წერილობით აცნობებს კონცენტრაციის მხარეებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში კონცენტრაციის მხარეებს ეცნობებათ ყველა ის გარემოება, რაც აჩენს ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვის გონივრულ ეჭვს. მხარეს ასევე განემარტება მისი უფლება-მოვალეობების შესახებ, მათ შორის კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების სახით ოპერაციის ცვლილების შეთავაზების უფლების შესახებ. ამასთან, მხარეს განესაზღვრება ვადა მოსაზრების და დამატებითი ინფორმაციის წარსადგენად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. კომისია/კომისიის



თავმჯდომარე უფლებამოსილია, მხარეს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, არაუმეტეს 15 სამუშაო დღით გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა, რაც კანონის 11¹ მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია.

4. კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მხარის/მხარეების მიერ კომისიისათვის შესაძლოა შეთავაზებული იქნეს ოპერაციის ცვლილება სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების სახით:

ა) სტრუქტურული ხასიათის ღონისძიება წარმოადგენს მხარის/მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომლის განხორციელების შედეგად იცვლება ბაზრის სტრუქტურა და ამ ბაზარზე შესაბამისი ეკონომიკური აგენტის მდგომარეობა. სტრუქტურული ხასიათის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს საქმიანობის/ბიზნესის ან აქტივების/წილის გაყიდვის გზით, ასევე, სხვა იმგვარი საშუალებით, რომელიც გავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურაზე;

ბ) ქცევითი ხასიათის ღონისძიება წარმოადგენს მხარის/მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს მის/მათ მიერ კონკრეტული ქმედების განხორციელებას ან კონკრეტული ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებას, ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის შენარჩუნების მიზნით.

5. კომისია მხარის/მხარეების მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების განხილვისას სხვა საკითხებთან ერთად ანალიზებს, თუ რამდენად არის შეთავაზებული ღონისძიებები პროპორციული და საკმარისი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კონცენტრაციის განხორციელების შედეგად საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან მომსახურების ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვა. გარდა ამისა, კომისია ანალიზებს, თუ რამდენად განხორციელებადია შემოთავაზებული ღონისძიებები.

6. სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებებთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვევიან კონცენტრაციის მხარეები.

7. კომისია/კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კონცენტრაციის მხარეებს მისცეს დამატებითი ვადა შემოთავაზებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების დასაკორექტირებლად.

8. თუ კომისია მიიჩნევს, რომ მოდიფიკაციის შედეგად, კონცენტრაცია არსებითად არ შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან მომსახურების ბაზარზე, იღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

9. თუ კომისია მიიჩნევს, რომ მხარის/მხარეების მიერ შემოთავაზებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების მიუხედავად, დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან მომსახურების ბაზარზე, იღებს გადაწყვეტილებას დაგეგმილი კონცენტრაციის დაუშვებლობის შესახებ. კომისიის გადაწყვეტილებაში, სხვა გარემოებებთან ერთად, ასევე მიეთითება მიზეზები, თუ რატომ მიიჩნია კომისიამ შემოთავაზებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები მიუღებლად.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მხარის/მხარეების მიერ განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიების თაობაზე, შესაბამისი ვადის მითითებით.

11. კომისია უფლებამოსილია, კონცენტრაციის მხარის/მხარეების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, მხოლოდ ერთხელ, გონივრული ვადით, გააგრძელოს შესაბამისი ღონისძიების განსახორციელებლად დაწესებული ვადა.

12. თუ კონცენტრაცია უკვე განხორციელდა და კონცენტრაციის მხარის/მხარეების მიერ განსაზღვრულ ვადაში არ არის შესრულებული კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ღონისძიებები, კომისია კონცენტრაციის მხარეს/მხარეებს აკისრებს/აკისრებთ ჯარიმას კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. ამ შემთხვევას უთანაბრდება სიტუაცია, როდესაც მხარის/მხარეების მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ არის სრულ თანხვედრაში კომისიის გადაწყვეტილებასთან.

13. ჯარიმის ოდენობა თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა აღემატებოდეს კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის საშუალო დღიური ბრუნვის 5%-ს.

14. ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ჯარიმის დაკისრების პარალელურად, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვოს კონცენტრაციის გაუქმება, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით. აღნიშნულის მისაღწევად, პირს შეიძლება დაეკისროს სხვადასხვა სახის ვალდებულება, მათ შორის, საწარმოს, წილის, აქტივების, ფასიანი ქაღალდების ან მათი ნაწილის გასხვისების, რეორგანიზაციის, კონკრეტული ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ. ასევე, პირს განესაზღვრება ვადა დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისათვის.

15. კომისია უფლებამოსილია კონცენტრაციის მხარეებს მოსთხოვოს ინფორმაციის მიწოდება განხორციელებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების თაობაზე, გარკვეული პერიოდულობით.



16. ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობა, არასრული ან არასწორი სახით მიწოდება გამოიწვევს შესაბამისი პირის პასუხისმგებლობას.

მუხლი 54. კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით კონცენტრაციის განხორციელების დაუშვებლობა და მისი შედეგები

1. თუ კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების ქვეშ, კონცენტრაციის მხარეებს ეკრძალებათ მისი განხორციელება კომისიისათვის შეტყობინების გარეშე, კომისიის მიერ დასკვნის გაცემამდე ან/და კომისიის მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში.

2. იმ პირების კონცენტრაციის რეგისტრაციისათვის, რომელთაც ეკისრებათ კომისიისათვის შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია კომისიის დასკვნა მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის თაობაზე. კომისიის მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

3. კომისია უფლებამოსილია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ან/და ნებისმიერი წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილოს განხორციელებული კონცენტრაციის საკითხი, განსაზღვროს, ექვემდებარებოდა თუ არა კონცენტრაცია კომისიისათვის შეტყობინებას და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

4. კომისიისათვის კონცენტრაციის შეტყობინების წარუდგენლობის, კომისიის უარყოფითი დასკვნის მიუხედავად კონცენტრაციის განხორციელების ან/და შეტყობინების განხილვის ვადის ამოწურვამდე ან კომისიის მიერ დასკვნის გაცემამდე კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, წინა ფინანსურ წლად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წელი, ხოლო, თუ ეკონომიკური აგენტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ითვლება გადაწყვეტილების მიღების წელი.

6. შეტყობინებას დაექვემდებარებული კონცენტრაციის შეუტყობინებლობისთვის ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს კომისიისათვის კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ვალდებულებისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრავს კომისია და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების პარალელურად, კომისია შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და ითხოვს კონცენტრაციის გაუქმებას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, თუ:

ა) არსებობს კომისიის გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის დაუშვებლობის თაობაზე;

ბ) კომისიამ განიხილა კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაცია და იგი დაუშვებლად მიიჩნია.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი VI

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები

მუხლი 55. ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მიზანი და გამოყენების სფერო

1. ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებებით (შემდგომში „მითითებები“) განსაზღვრული ბაზრის ანალიზის მეთოდები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის, საქმის მოკვლევის და სხვა სახის წარმოების პროცესში.

2. კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის, საქმის მოკვლევის და კანონის საფუძველზე მიმდინარე სხვა სახის წარმოების პროცესში კომისია, შესაძლებელია, ასევე წარმოების თავისებურებების, მათ შორის, ამ წესის 59-ე მუხლით განსაზღვრული ბაზრის ანალიზის პარამეტრების გათვალისწინებით დაეყრდნოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩატარებული მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგებს.

3. კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის, საქმის მოკვლევის და კანონის საფუძველზე მიმდინარე სხვა სახის წარმოების პროცესში კომისია უფლებამოსილია, წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით გამოიყენოს



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს №5 დადგენილებით დამტკიცებული „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესები“ ისეთ შემთხვევაში, როდესაც საკითხი არ წესრიგდება ამ თავით დადგენილი მითითებებით

მუხლი 56. ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისათვის აქ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ეფექტიანი კონკურენცია – საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის ისეთი ოპტიმალური კომბინაცია, როდესაც ბაზრის შედეგიანობა შესაძლებლად მაღალ მაჩვენებელს უტოლდება;
- ბ) ჰორიზონტალური კონცენტრაცია – ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა (კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა) კონცენტრაცია;
- გ) არაჰორიზონტალური კონცენტრაცია – სხვადასხვა შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაცია, რომელიც შეიძლება იყოს ვერტიკალური ან კონგლომერატული;
- დ) კონგლომერატული კონცენტრაცია – ისეთი ეკონომიკური აგენტების კონცენტრაცია, რომლებიც არც ვერტიკალურ და არც ჰორიზონტალურ დამოკიდებულებაში არ არიან ერთმანეთთან;
- ე) ვერტიკალური კონცენტრაცია – ისეთი ეკონომიკური აგენტების კონცენტრაცია, რომლებიც მოქმედებენ მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე;
- ვ) მომხმარებელი – პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას;
- ზ) ჰერფინდალ ჰირშმანის (HHI) ინდექსი – ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი, რომელიც შეადგენს შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილთა კვადრატების ჯამს.

მუხლი 57. ბაზრის ანალიზის პრინციპები

კომისია ბაზრის ანალიზს ახორციელებს ობიექტურობის პრინციპის დაცვით და კვლევისას ეყრდნობა:

- ა) ინკვიზიციურობის პრინციპს და, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე, შესაძლოა გამოიკვლიოს ბაზრის იმ სეგმენტი, რომელიც არ არის მითითებული დაინტერესებული მხარის შესაბამის მომართვაში;
- ბ) ფუნქციონალური ანალოგიის პრინციპს, რაც გულისხმობს კომისიის მიერ სხვადასხვა ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ანალიზის ჩატარებისას, ბაზრის/ბაზრების სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთგვაროვან შემთხვევებზე ფუნქციურად ანალოგიური კრიტერიუმების და ანალიზური ფაქტორების გამოყენებას;
- გ) თანაზომიერების პრინციპს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

მუხლი 58. ბაზრის ანალიზის ეტაპები

1. კომისიის მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზი მოიცავს შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისა და ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების ეტაპებს.
2. კომისია შესაბამისი ბაზრის ანალიზის ორივე ეტაპზე იყენებს ამ მითითებების შესაბამისად დადგენილ პარამეტრებს.

მუხლი 59. ბაზრის ანალიზის პარამეტრები

1. შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:
 - ა) საქონლის ან/და მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
 - ბ) საქონლის ან/და მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
 - გ) საქონლის ან/და მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების საფუძველზე განსაზღვრულ შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისას კომისია ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:
 - ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები;
 - ბ) შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება;
 - გ) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე;



დ) შესაბამისი ბაზარზე შესვლის ბარიერები;

ე) ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალა;

ვ) დამატებითი პარამეტრები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მუხლი 60. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

2. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

3. ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენის პროცესში პოტენციურად ურთიერთჩანაცვლებელი პროდუქტების ჩანაცვლებადობის ხარისხი ფასდება თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით. რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენის პროცესშიც.

მუხლი 61. პროდუქციული საზღვრების დადგენა მომხმარებლის თვალსაზრისით

1. მომხმარებლის თვალსაზრისით, პროდუქციული საზღვრების დადგენისას ურთიერთჩანაცვლების კრიტერიუმს წარმოადგენს მომხმარებლის არჩევანის განმსაზღვრელი პროდუქციული მახასიათებლები.

2. მომხმარებლის არჩევანის განმსაზღვრელ პროდუქციულ მახასიათებლებს წარმოადგენს: სამომხმარებლო თვისებები, სიხლის დონე, მომხმარებლის მიერ პროდუქტის მოხმარების (ექსპლუატაციის) პირობები, მოხმარების მიზნობრიობა, რეალიზაციის პირობები, შედარებითი ფასების დონე და სხვა ნებისმიერი ისეთი მახასიათებელი, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი და არსებითი იყოს მომხმარებლის არჩევანის განსაზღვრის პროცესში.

3. მომხმარებლის არჩევანის განმსაზღვრელი პროდუქციული მახასიათებლები შესაძლოა დადგინდეს სოციოლოგიური გამოკითხვების, ექსპერტის დასკვნის, მომხმარებელთა ქვევაზე სოციოლოგიური დაკვირვების, ცდების ან სხვა ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც იძლევა ამ მახასიათებლების განსაზღვრის საშუალებას და ამავდროულად არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და ამ მითითებებით განსაზღვრულ ბაზრის ანალიზის პრინციპებს.

მუხლი 62. პროდუქციული საზღვრების დადგენა მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით

1. მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით, პროდუქციული საზღვრების დადგენისას ურთიერთჩანაცვლების კრიტერიუმს წარმოადგენს ერთი განსახილველი პროდუქტის წარმოებიდან მეორის წარმოებაზე გადასვლის სიმარტივის ხარისხი, რომლის შემოწმების დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მოქმედი, ასევე თავისუფალი საწარმოო სიმძლავრეები.

2. მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით, პროდუქტთა ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლებელია დადგინდეს დაკვირვებით, ექსპერიმენტით, დათვალიერებით, ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ან სხვა ისეთი წყაროების გამოყენებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და ამ მითითებებით განსაზღვრულ ბაზრის ანალიზის პრინციპებს.

მუხლი 63. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

საქონლის ან/და მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

მუხლი 64. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა

1. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას კომისია ითვალისწინებს:

ა) საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებისა და მოთხოვნის თავისუფალი გადაადგილების/გადატანის შესაძლებლობას;

ბ) ტერიტორიის განსაკუთრებულობასა და თავისებურებებს (მათ შორის, ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების სპეციფიკურობა, მოთხოვნისა და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები, საქმიანი ურთიერთობების წესებისა და ჩვევების განსაკუთრებულობა);

გ) შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარში შემავალ ტერიტორიებზე პროდუქტის ფასების ერთგვაროვნებას.

2. თუ ფასების ერთგვაროვნების დადგენისას გამოვლინდა, რომ გეოგრაფიულ სივრცეში საქონლის/მომსახურების ფასი



10%-ზე მეტად აღემატება კვლევის მიზნის ფარგლებში განსაზღვრული საქონლის/მომსახურების ბაზრის საშუალო შეწონილ ფასს, მაშინ ასეთი გეოგრაფიული სივრცის ბაზრები არ შეიძლება ჩაითვალოს ერთგვაროვნად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ გარემოებათა მიუხედავად, თუ კვლევებით დადგინდა, რომ მომხმარებლები ერთ რეგიონში რეალიზებად პროდუქტს თვლიან იმ საქონლის/მომსახურების ჩანაცვლებად, რომელიც იყიდება მეორე რეგიონში, მაშინ ეს რეგიონები განხილული უნდა იქნეს, როგორც მოცემული პროდუქტის ერთიანი გეოგრაფიული ბაზარი.

მუხლი 65. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

1. შესადარებელი საქონლის/მომსახურების პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების თანხვედრის შემთხვევაში დიფერენცირების კრიტერიუმს წარმოადგენს დროითი ჩარჩო.

2. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

3. შესაბამისი ბაზარი იდენტიფიცირებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციულ საზღვრებთან ერთად განსაზღვრულია მისი გეოგრაფიული გავრცელების არეალი და დრო, რომლის განმავლობაშიც ბაზარი ფუნქციონირებს და დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს.

4. სხვადასხვა სეზონზე მოქმედი ერთნაირი პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების მქონე ბაზრები წარმოადგენენ სხვადასხვა ბაზრებს.

5. სეზონს წარმოადგენს დროის ნებისმიერი ურთიერთმონაცვლე პერიოდი, რომელთა მონაცვლეობის სრული ციკლი არ აღემატება ორ წელიწადს და მეორდება მინიმუმ ორჯერ.

მუხლი 66. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩოების დადგენა

1. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩოების დადგენა ხდება ბაზრის დაკვირვების, სხვადასხვა წყაროდან მოძიებული, ოფიციალურად მიღებული ან სხვა წარმოების/ბაზრის ანალიზის დროს მოპოვებული მასალების საფუძველზე, მონიტორინგის, მოკვლევის ან სხვა წარმოების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

2. დროითი ჩარჩოების დადგენა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ექსპერტთა დასკვნის, ბაზრის სუბიექტთა გამოკითხვის ან სხვა შესაბამისი მეთოდის გამოყენებით.

მუხლი 67. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები და მათი გამოვლენა

1. შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტს წარმოადგენს მიმწოდებელი და მომხმარებელი.

2. შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა გამოვლენა გულისხმობს მათი ჯგუფის იდენტიფიკაციას.

3. მომხმარებელთა ჯგუფის იდენტიფიკაცია გულისხმობს შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა ისეთი მომხმარებლის იდენტიფიკაციას, რომელთაგან თითოეულს შეუძლია მიიღოს საკვლევი საქონელი ან მომსახურება ნებისმიერი მიმწოდებლისგან, რომელიც მოქმედებს შესაბამის ბაზარზე.

4. მიმწოდებელთა ჯგუფის იდენტიფიკაცია გულისხმობს ყველა ისეთი მიმწოდებლის გამოვლენას, რომელიც მოქმედებს შესაბამის ბაზარზე და შეუძლია მომხმარებელს მიაწოდოს საქონელი ურთიერთჩანაცვლებადობის საფუძველზე.

5. შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა გამოვლენა ხდება სტატისტიკურ ან საგადასახადო მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკითხვებით ან სხვა საშუალებებით.

მუხლი 68. შესაბამისი ბაზრის მოცულობის განსაზღვრა

1. ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას.

2. შესაბამისი ბაზრის მოცულობა იანგარიშება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით. დაუშვებელია ერთი და იმავე საქონლის/მომსახურების განმეორებითი აღრიცხვა.

3. ქვეყნის შესაბამისი საქონლის/მომსახურებია ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის/მომსახურების მოცულობების გათვალისწინებით, შემდეგი მეთოდით:

$$V_m = V_p + V_{im} - V_{ex}, \text{ სადაც}$$



Vm – ბაზრის მოცულობა;

Vp – შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში წარმოებული საქონლის/მომსახურების მოცულობა, რომელიც არ მოიცავს ეკონომიკური აგენტის მარაგებს და მის მიერ წარმოებული საქონლის/მომსახურების მოცულობას, რომელიც გამოყენებულია საკუთარი წარმოებისათვის;

Vim – საქონლის/მომსახურების იმპორტის/შეტანის მოცულობა შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში;

Vex – საქონლის/მომსახურების ექსპორტის/გატანის მოცულობა შესაბამისი საქონლის/მომსახურების ბაზრიდან.

მუხლი 69. შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის წილის განსაზღვრა

1. ეკონომიკური აგენტის (მიმწოდებლის) წილი გაიანგარიშება პროცენტებში, შესაბამისი ბაზრის მოცულობასთან შეფარდებით.

2. შესაბამისი ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისას შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნენ პოტენციური მიმწოდებლები, რომლებსაც უმნიშვნელო ტექნიკური გადაიარაღების ან ფიზიკური კაპიტალის დამატებით შეუძლიათ საქონლის ან/და მომსახურების მიწოდება.

3. თუ ბაზრის ანალიზი ტარდება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სავარაუდო ფაქტის გამო, მაშინ წილი გამოითვლება ბაზრის ფაქტობრივად ჩამოყალიბებული სტრუქტურის მიხედვით (პოტენციური მიმწოდებლის გათვალისწინებლად).

მუხლი 70. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე

1. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე წარმოადგენს ბაზრის ხარისხობრივ მახასიათებელს და აფასებს ეკონომიკური აგენტების წილების ურთიერთთანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე.

2. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონის გამოსათვლელად გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (დანართი 13).

3. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე გამოთვლილი კონცენტრაციის დონის მიხედვით, შესაბამისი ბაზარი შეიძლება იყოს – დაბალკონცენტრირებული, ზომიერად კონცენტრირებული ან მაღალკონცენტრირებული:

ა) დაბალკონცენტრირებული – $HHI < 1250$;

ბ) ზომიერად კონცენტრირებული – $1250 < HHI < 2250$;

გ) მაღალკონცენტრირებული – $HHI > 2250$.

4. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ბაზრის შეფასებისას შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებადი სხვა ანალოგიური ინდექსები/კოეფიციენტები.

მუხლი 71. კონცენტრაციის თავსებადობის შეფასება კონკურენტულ გარემოსთან

1. კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან/და მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

2. კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან/და მომსახურების ბაზარზე, დაუშვებელია.

3. თუ კონცენტრაცია წარმოქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, ივარაუდება, რომ ასეთი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის შესაბამის ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური აგენტი საპირისპიროს დაასაბუთებს.

4. იმის დასადგენად, კონცენტრაცია ზღუდავს თუ არა ეფექტიან კონკურენციას, კომისია აფასებს ბაზრის შედეგიანობას, როგორც საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის შედეგს, შემდეგი სახის ინდიკატორების საფუძველზე:

ა) ბაზრის სტრუქტურა;

ბ) ფასების სიმცირე;

გ) მოგების სიდიდე;

დ) მიღებული პროდუქციის ხარისხი;

ე) წარმოებისა და გაყიდვის ხარჯების შემცირება;



ვ) ტექნიკური პროგრესი;

ზ) სხვა ინდიკატორები, რომელთა გამოყენებას საჭიროდ ჩათვლის კომისია.

მუხლი 72. ჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმები

1. თუ კონცენტრაციის შედეგად საქართველოს ან მის ნაწილში ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 25%-ს, ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას.

2. თუ ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი არ აღემატება 1250-ს, ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

3. თუ ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად ჰერფინდალ - ჰირშმანის ინდექსი 1250-დან 2250-მდეა და მისი ცვლილება არ აღემატება 250-ს ან ჰერფინდალ - ჰირშმანის ინდექსი მეტია 2250-ზე და მისი ცვლილება ნაკლებია 150-ზე, მაშინ ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ:

ა) კონცენტრაციაში მონაწილეობს პოტენციური კონკურენტი ან ბაზრის მცირე წილის მქონე ეკონომიკური აგენტი, რომელიც კონცენტრაციამდე ცოტა ხნით ადრე შემოვიდა ბაზარზე;

ბ) კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ინოვაციური პოტენციალი კონცენტრაციის მომენტისათვის მოცემული ბაზრის სტრუქტურაში ასახული არ არის;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილე სუბიექტებს შორის ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ერთმანეთის წილების ფლობას და ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

დ) კონცენტრაციაში მონაწილე ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი მინიმუმ 50%-ია;

ე) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

ვ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს რეალური შესაძლებლობა, არსებითად შეცვალოს ბაზრის არსებული სტრუქტურა;

ზ) სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე, რომლის არსებობა, მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩვენებლებისა, მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

მუხლი 73. არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმები

თუ არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შედეგად შექმნილი ეკონომიკური აგენტი შერწყმისთვის გაცხადებულ თითოეულ შესაბამის ბაზარზე, კონცენტრაციის შედეგად არ მოიპოვებს 30%-ზე მეტ საბაზრო წილს და თითოეულ ასეთ ბაზარზე ჰერფინდალ - ჰირშმანის ინდექსი ნაკლებია 2250-ზე, ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ:

ა) საბაზრო ძალის ან ინოვაციური პოტენციალის გამო მოსალოდნელია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა წილის მნიშვნელოვანი ზრდა;

ბ) ბაზრის მონაწილეთა შორის არსებობს მნიშვნელოვანი ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ ერთმანეთის წილების ფლობას, ასევე ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

დ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს რეალური შესაძლებლობა, არსებითად შეცვალოს ბაზრის არსებული სტრუქტურა;

ე) სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე, რომლის არსებობა, მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩვენებლებისა, მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

მუხლი 74. შესაბამის საქონლის ან/და მომსახურების ბაზარზე შესვლის ბარიერები

1. შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერების ანალიზი მოიცავს ბაზრის სტრუქტურის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებას, რომლის ფარგლებშიც კომისია იკვლევს:

ა) ბაზარზე შესვლის, გაფართოების და ბაზრიდან გასვლის ბარიერების არსებობას/არარსებობას პოტენციური



კონკურენტებისათვის და მათი დაძლევის სიმარტივეს/სიძნელეს;

ბ) ბარიერების გადალახვის შესაძლო დანახარჯებსა და ვადებს;

გ) პოტენციური მიმწოდებლის ფაქტობრივ შესაძლებლობას, გახდენ მოცემული ბაზრის მონაწილეები;

დ) შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობას, გააფართოონ ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბები.

2. პოტენციურ კონკურენტებად (მიმწოდებლებად) შეიძლება ჩაითვალოს:

ა) ეკონომიკური აგენტები, რომლებსაც გააჩნიათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კადრები და ტექნოლოგიები აღნიშნული საქონლის დასამზადებლად, მისაწოდებლად ან მომსახურების გასაწევად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ (არ) იყენებენ ამ შესაძლებლობებს;

ბ) ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ამზადებენ ან/და აწვდიან შესაბამის საქონელს ან გასწევენ მომსახურებას, მაგრამ არ ახდენენ მის რეალიზაციას/მიწოდებას შესაბამისი ბაზრის ტერიტორიაზე;

გ) ახალი ეკონომიკური აგენტები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაჩვენებლების გამოყენებისას კომისია შეისწავლის ბაზარზე არსებული ტექნიკური, ფინანსური და ინსტიტუციური ბარიერების არსებობას.

4. ფინანსურ-ტექნიკური ბარიერების შესწავლის ფარგლებში განიხილება:

ა) თავდაპირველი მნიშვნელოვანი კაპიტალდაზანდებების განხორციელების აუცილებლობა;

ბ) პოტენციური მიმწოდებლებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა;

გ) ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ბაზრიდან გასვლის დანაკარგები, მათ შორის აუნაზღაურებელი ინვესტიციები;

დ) რესურსებზე წვდომისთვის და ინტელექტუალური საკუთრების უფლების მოსაპოვებლად, რეკლამაზე და საჭირო ინფორმაციის მიღებაზე მაღალი დანახარჯები;

ე) სატრანსპორტო შეზღუდვები;

ვ) მასშტაბის ეკონომიის მისაღწევად ეკონომიკურად გამართლებული მინიმალური წარმოების მოცულობის აუცილებლობა ერთეულ პროდუქტზე მაღალი დანახარჯების შესამცირებლად;

ზ) ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების უპირატესობა ბაზრის პოტენციურ მონაწილესთან/მონაწილეებთან შედარებით ერთეულ პროდუქტზე დანახარჯებით, მოთხოვნის დონით ან/და მყიდველებთან გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებით;

თ) ფინანსურ-ტექნიკური ხასიათის სხვა ბარიერები.

5. ინსტიტუციური ბარიერების შესწავლის ფარგლებში განიხილება:

ა) ეკონომიკურ აგენტთა რეგისტრაციის სირთულე;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილება პროდუქტის ექსპორტის/იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით;

გ) შესაბამის საქონლის ან/და მომსახურების ბაზარს მიკუთვნებული საქმიანობის სამართლებრივი რეგულაციების ზემოქმედების, საჭიროებისა და გონივრულობის შეფასება;

დ) საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი;

ე) ინსტიტუციური ხასიათის სხვა ბარიერები.

მუხლი 75. ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალაუფლების შეფასება

1. შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს აღნიშნულ ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა მოქმედების ანალიზი კონკურენტებთან მიმართებით.

2. ბაზრის ანალიზის ამ ეტაპზე კომისია ამოწმებს ეკონომიკური აგენტის შესაძლებლობას, ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვის გარეშე გაზარდოს მოგება ფასების გაზრდის ან ხარჯების/ხარისხის შემცირების გზით ხანგრძლივი დროის განმავლობაში.



3. საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

ა) სტრუქტურული, რომელიც გულისხმობს შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის მდგომარეობის ანალიზს;

ბ) ანალიტიკური, რომელიც გულისხმობს:

ბ.ა) ეკონომიკური აგენტის საქმიანობის ეფექტიანობის დონის შეფასებას;

ბ.ბ) ეკონომიკური აგენტის რენტაბელობის დონეს მოკლე და გრძელვადიან პერიოდში;

ბ.გ) ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის შეფასებას ფინანსური ანალიზისა და ანალოგიის მეთოდის გამოყენებით;

ბ.დ) კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის ანალოგიური მაჩვენებლების შედარებას.

4. საბაზრო ძალაუფლების შეფასების დროს ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პრაქტიკაში აღიარებული ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
სალიცენზიო მოწმობა N

ლიცენზიის მფლობელი: _____

ლიცენზიის სახე: _____

გაცემის თარიღი: _____

ძალაშია: _____

კომისიის წევრი
დავით პატარაია

კომისიის თავმჯდომარე
ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი
კახი პოპიაშვილი

ბ.ა.

სალიცენზიო მოწმობა გაცემულია № _____ ლიცენზიის საფუძველზე და ბეჭდის გარეშე ძალა არა აქვს

ლიცენზიის გასხვისება ან [საქართველოს სამოქალაქო კოდექსით](#) გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა, დაგირავება და ლიცენზიით მინიჭებული უფლებების საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეტანა აკრძალულია.

ლიცენზიის მფლობელის მიერ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას, ლიცენზიის მოქმედების შეჩერებას, გაუქმებას.

დანართი №2

შემოწმების აქტი №_____

1. შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების თარიღი და დრო

2. შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების ადგილი

3. შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების საფუძველი:

4. შემოწმებული პირის სახელი, გვარი, თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში ავტორიზაციის ნომერი, ლიცენზიის სახე და ნომერი): _____

5. შემოწმებული დოკუმენტებისა და მოწყობილობების ჩამონათვალი, შემოწმების ჩატარების მეთოდები, ხერხები, ზუსტი დრო და ადგილი:



6. შემოწმებულის (ან/და მისი თანამშრომლის) ან დაინტერესებული პირის ახსნა-განმარტების მიმოხილვა:

7. შემოწმებლის კომენტარები და შემოწმების შედეგები, დასკვნა ნორმატიული აქტის მუხლის მითითებით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დარღვევის არსებობისას, განმარტება, იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელი გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით:

8. შემოწმებულის სხვა ახსნა-განმარტებანი (მისი მოთხოვნის მიხედვით):

აქტი შეადგინა:

სახელი, გვარი და თანამდებობა
ხელმოწერა : -----

აქტი წარედგინა : -----
სახელი, გვარი და თანამდებობა
ხელმოწერა:-----

შემოწმებისა და შემოწმების აქტის შედგენის დამსწრე მოწმეები (იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებულმა პირმა თავი აარიდა შემოწმების აქტის ხელმოწერას, ან/და არ დაუშვა შემოწმებელი ან რაიმე სხვა ფორმით ხელი შეუშალა შემოწმების აქტის შედგენას):

სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი
ხელმოწერა:-----

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625](#)
[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ.,მუხ.1293](#)

დანართი 3

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
ოქმი №

ოქმის შედგენის ადგილი
ოქმის შედგენის თარიღი

1.საქმის შინაარსი:

2. მონაცემები დამრღვევი პირის (პირთა წრის) შესახებ:



3. ნორმატიული აქტი (კონკრეტული ნორმის მითითებით), რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მოცემული დარღვევისთვის:

4. მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები (მათი არსებობის შემთხვევაში):

5. ოქმის შემდგენლის სახელი, მამის სახელი, გვარი და თანამდებობა

6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი

7. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

8. სხვა ცნობები:

პირს, რომელსაც წარედგინა წინამდებარე ოქმი, უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს; მისცეს ახსნა-განმარტებანი; წარადგინოს მტკიცებულებანი; განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს დედაენაზე და, თუ არ იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს კომისიის ადმინისტრაციული აქტი. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი არ გამოცხადდება საქმის განხილვისას და მისგან არ იქნება შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე, საქმე მის დაუსწრებლად განიხილება.

9. ხელმოწერები:

ოქმი შეადგინა: _____

სახელი, მამის სახელი, გვარი და თანამდებობა

ხელმოწერა: _____

ოქმი წარედგინა: _____

სახელი, გვარი და თანამდებობა

ხელმოწერა: _____

მოწმეები და დაზარალებულები (მათი არსებობის შემთხვევაში):

1. _____ ხელმოწერა: _____



2. _____ ხელმოწერა: _____
3. _____ ხელმოწერა: _____

10. იმ შემთხვევაში, თუ პირმა, რომელსაც წარედგინა ოქმი, უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე, ან/და არ დაუშვა ოქმის შემდგენელი ან რაიმე სხვა ფორმით ხელი შეუშალა ოქმის შედგენას, ოქმის შემდგენელი უფლებამოსილია ოქმი შეადგინოს ორი დამოუკიდებელი მოწმის დასწრებით:

ოქმის შედგენის დამსწრე მოწმეები:

1. _____
სახელი, გვარი და თანამდებობა

ხელმოწერა:

2. _____
სახელი, გვარი და თანამდებობა

ხელმოწერა:

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ., მუხ.625](#)

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 14 ივლისის დადგენილება №7-სსმIII, №96, 21.07.2006წ., მუხ.1293](#)

**შეტყობინებათა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების
გ ა დ ა ც ე მ ი ს ა ქ ტ ი**

1. გადაცემის ადგილი:

2. გადაცემის თარიღი და დრო:

3. მიმღების ვინაობა:

4. გადაცემული დოკუმენტის დასახელება:

5. გადამცემის ვინაობა:

6. სხვა ინფორმაცია (საჭიროების მიხედვით):

7. ხელმოწერები:

აქტი გადასცა:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

აქტი მიიღო:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

დანართი № 5

ფონეტიკური ანბანი



A	ანა, ალფა	Alpha
B	ბორისი	Bravo
C	ცენტრი	Charlie
D	დავითი	Delta
E	ეკა, ექო	Echo
F	ფიქრია, ფირუზი	Foxtrot
G	გიორგი	Golf
H	ხათუნა	Hotel
I	ირმა	India
J	ჯუმბერი, ჯანო	Juliet
K	კილოვატი, კონსტანტინე	Kilo
L	ლამარა	Lima
M	მანანა	Mike
N	ნუკრი	November
O	ოთარი	Oscar
P	პეტრე	Papa
Q	ქეთინო	Quebec
R	რადიო	Romeo
S	სალომე	Sierra
T	თამარი	Tango
U	უშანგი	Uniform
V	ვენია, ჟამი	Victor
W	ვენერა	Whisky
X	იქსი	X-ray
Y	იგრევი	Yankee
Z	ზვიადი	Zulu

[_ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

დანართი № 6

საერთაშორისო Q კოდი

QRA	რა დასახელებისაა თქვენი რადიოსადგური?	ჩემი სადგურის დასახელებაა...
QRB	დაახლოებით რა მანძილზე იმყოფებით ჩემი რადიოსადგურიდან?	მე თქვენი რადიოსადგურიდან ვიმყოფები დაახლოებით კილომეტრში
QRG	შემატყობინეთ ჩემი ზუსტი სიხშირე?	თქვენი ზუსტი სიხშირეა...
QRH	იცვლება თუ არა ჩემი სიხშირე?	თქვენი სიხშირე იცვლება
QRI	ტექნიკურად როგორი ტონი აქვს ჩემს გადაცემას?	თქვენი გადაცემის ტონია...
QRK	როგორ ირჩევა ჩემი სიგნალი?	თქვენი სიგნალი ირჩევა...
QRL	იცით თუ არა თქვენ?	მე ვიცი, გთხოვთ ხელს ნუ მიშლით
QRM	განიცდით თუ არა თქვენ ხელშეშლებს სხვა რადიოსადგურებისგან?	მე განვიცდი ხელშეშლებს სხვა რადიოსადგურებისგან
QRN	ხელს გიშლით თუ არა ატმოსფერული ხელშეშლები?	მე ხელს მიშლის ატმოსფერული ხელშეშლები
QRO	აუცილებლად უნდა გავზარდო სიმძლავრე?	გაზარდეთ გადამცემის სიმძლავრე
QRP	აუცილებლად უნდა შევამცირო სიმძლავრე?	შეამცირეთ გადამცემის სიმძლავრე
QRQ	უნდა გადავცემდე უფრო სწრაფად?	გადაეცით უფრო სწრაფად
QRS	უნდა გადავცემდე უფრო ნელა?	გადაეცით უფრო ნელა
QRT	უნდა შევწყვიტო გადაცემა?	შეწყვიტეთ გადაცემა
QRU	გ აქვთ თქვენ რაიმე ჩემთვის?	მე თქვენთვის არაფერი მაქვს
QRV	მზად ხართ?	მე მზად ვარ
	უნდა შეგატყობინოთ მე ... რომ თქვენ იძახებთ მას.....	გთხოვთ შეატყობინეთ მას ... რომ მე ვიძახებ მას.....



QRW	კილოჰერცზე (ან მეგაჰერცზე)	კილოჰერცზე (ან მეგაჰერცზე)
QRX	როდის გამოძიხებთ მე კვლავ?	მოითმინეთ, მე თქვენ გამოგიძიხებთ კვლავ
QRZ	ვინ მიძახებდა მე?	თქვენ გიძახებთ ...
QSB	მიღევადია თუ არა ჩემი სიგნალი?	თქვენი სიგნალი მიღევადია
QSK	შეგიძლიათ თუ არა ჩემი მოსმენა თქვენი სიგნალის პაუზებში?	მე შემიძლია მოგისმინოთ თქვენ ჩემი სიგნალის პაუზებში
QSL	შეგიძლიათ თუ არა დაამოწმოთ მიღება?	ვამოწმებ თქვენს მიღებას
QSO	შეგიძლიათ თქვენ უშუალოდ დაუკავშირდეთ...?	მე შემიძლია უშუალოდ დავუკავშირდე...
QSP	შეგიძლიათ თქვენ, რომ გადასცეთ...?	მე შემიძლია გადავცე...
QSY	უნდა გადავიდე მე სხვა სიხშირეზე?	გადადით სხვა სიხშირეზე
QSX	ისმენთ თუ არა თქვენ მოსახმობ ნიშანს ... კილოჰერცზე (მეგაჰერცზე)?	მე ვისმენ მოსახმობ ნიშანს კილოჰერცის (მეგაჰერცის) სიხშირეზე
QTC	გაქვთ თუ არა შეტყობინება?	მე მაქვს თქვენთვის შეტყობინება
QTH	თქვენი ზუსტი ადგილსამყოფელი?	მე ვიმყოფები...
QTR	მითხარით ზუსტი დრო?	ზუსტი დრო არის... საათი

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III , № 45 , 18.04.2005 წ.,მუხ. 469](#)

დანართი № 7

რადიოსამოყვარულო კოდი

ABT About - მიახლოებით , ირგვლივ
 ADR Addres - მისამართი
 AFTER After - შემდეგ , შემდგომ
 AGN Again - ხელახლა , ისევ
 ALL All - ყველაფერი , ყველა
 ALSO Also - ასევე
 AM Amplitude Modulation - ამპლიტუდური მოდულაცია
 ANT Antenna - ანტენა
 AT At - ში , - კენ
 BAD, BD Bad - ცუდი
 BAND Band - დიაპაზონი
 BCNU - მოხარული ვიქნები ხელახალი შეხვედრის
 BEAM Beam - მიმართული (ანტენა)
 BEST Best - საუკეთესო
 BOX Box - ყუთი (საფოსტო)
 BUT But - მაგრამ
 CALL Call - გამოძახება (მოსახმობი ნიშანი , ამოსაცნობი ნიშანი)
 CFM Confirm - დამტკიცება , მტკიცებულება
 CHEERIO Cheerio - გისურვებ წარმატებებს
 CLG Calling - ვიძახებ , იძახებს
 CONDX Conditions - პირობა . რადიოტალღების გავრცელება , სიგნალის სმენადობა
 CONGRATS Congratulations - მილოცვა
 COPI Copy - ჩაწერა , სიგნალის მიღება
 CQ- ყველას , ყველას , ყველას (საერთო გამოძახება)
 CU See you - შევხვდებით (ეთერში)
 CUAGN See you again - კვლავ შევხვდებით
 CUL See you later - შევხვდებით მოგვიანებით
 CW Continuos wave - მორზეს ანბანი (ტელეგრაფი)
 DE - დან
 DIRECT Direct - უშუალოდ , პირდაპირ
 DR Dear - ძვირფასი
 DWN Down - ქვემოთ , ქვევით
 DX - შორეული კავშირი , შორეული მანძილი , იშვიათ კორესპონდენტთან რადიოკავშირი
 ES - და
 EX Ex - ყოფილი , წინა (მოსახმობი ნიშნის შესახებ)



FB Fine business - შესანიშნავად , მშვენივრად
 FER, FOR, FR For - სთვის , ამასთან
 FM From - დან , - გან
 FM Frequency modulation - სიხშირული მოდულაცია
 FREQ Frequency - სიხშირე
 GA Go ahead - დაიწყე , შეუდექი
 GA Good afternoon - შუადღე მშვიდობისა (დღის მეორე ნახევარში)
 GB Good bye - ნახვამდის , მშვიდობით
 GD Good day - შუადღე მშვიდობისა (დღის მეორე ნახევარში)
 GE Good evening - საღამო მშვიდობისა
 GLD Glad - მოხარული ვარ
 GM Good morning - დილა მშვიდობისა
 GN Good night - ღამე მშვიდობისა
 GND Ground - დამიწება
 GOT Got - მივიღე
 GUD Good - კარგი , კარგად
 GUHOR - არაფერი მესმის
 HAM - რადიომოყვარული სამოყვარულო რადიოგადამცემის მფლობელი
 HF High frequency - მაღალი სიხშირე
 HI - სიცილის გამოხატვა
 HOPE, HPE Hope - იმედი
 HR Here - აქ
 HRD Heard - მოსმენა
 HW - როგორ გესმით ჩემი ? როგორ არის საქმეები ?
 INFO Information - ინფორმაცია
 K - მიპასუხეთ , გადაეცით
 KW Kilowatt - კილოვატი
 LAT Latitude - განედი
 LF Low frequency - დაბალი სიხშირეები
 LID - ცუდი რადიოოპერატორი ,
 LONG Longitude - გრძედი
 LOG Logbook - რადიოსადგურების სია
 LSB Lower side band - ქვემო გვერდითი ზოლი
 LTR Letter - წერილი
 MIKE Microphone - მიკროფონი
 MIN Minute - წუთი
 MNI Many - ბევრი
 MOM Moment - მომენტი
 MSG Message - შეტყობინება
 MTR Meter - მეტრი , გაზომვა
 NEAR, NR Near - ახლოს
 NBFM Narrow band frequency modulation - ვიწროზოლოვანი სიხშირული მოდულაცია
 NIL - არაფერი
 NR Number - ნომერი
 NW Now - ახლა , გადავდივარ გადაცემაზე
 OK - გასაგებია , ნათელია , სწორია
 OM Old man - ახლობელო (სიტყვასიტყვით - ძველო)
 ONLY Only - მხოლოდ
 OP, OPR Operator - ოპერატორი , რადისტა
 OUTPT Output - გამოსავალი სიმძლავრე
 PA Power amplifier - ძლიერი გამამძლიერებელი
 PM Post meridiem - მერედიემ შუადღით
 PSE Please - თხოვნა , გთხოვთ
 PSED Pleased - მოხარული , კმაყოფილი
 PWR Power - სიმძლავრე
 R Right - სწორია , გამართლებულია
 RCV Recevie - მიღება , მიღებულია
 RCVR Recevier - მიმღები
 REPT,RPRT Report - შეტყობინება , რაპორტი
 RIG - გადამცემი



RPT Repeat - გამეორება , გაიმეორეთ
RTTY Radioteletype - რადიოკავშირის სახეობა
SIGS Signals - სიგნალები
SKED Schedule - მუშაობის განრიგი
SM,SUM Soon - ზოგი , რამდენიმე
SOON,SN Soon - მალე , სწრაფად
SORI,SRI Sorry - ვწუხვარ , სამწუხაროა
SSB Single side band - ერთზოლოვანი მოდულაცია
STN Station - სადგური
SURE Sure - დარწმუნება
SWL Short wave listener - რადიომოყვარული დამკვირვებელი
SWR Standing wave ratio - მდგრადი ტალღის კოეფიციენტი
TEST Test - გამოცდა , შეჯიბრება რადიომოყვარულებს შორის
TIME Time - დრო
TKS Thanks - მადლიერების გამოხატვა
TNX Thanks - მადლიერების გამოხატვა
TRCVR Trancevier - ტრანსივერი ანუ მიმღებ - გადამცემი
TU Thank you - გმადლობთ
TUBE Tube - მილაკი
TVI Television interference - ტელევიზორისთვის ხელშემშლის შექმნა
TX Transmitter - გადამცემი
TXT Text - ტექსტი
U You - თქვენ
UFB Ultra fb - შესანიშნავია
UNLIS Unlicensed - არალეგალური , ულიცენზიო რადიოსადგური
UP Up - ზემოთ , მაღლა
UR Your - თქვენი
URS Yours - თქვენით
USB Upper side band - ზემო გვერდითი ზოლი
VIA Via - უშუალოდ , -ით
VFO Variable frequency oscillator - ცვლადი დიაპაზონის გენერატორი
VHF Very high frequency - ზემაღალი სიხშირეები
VY Very - ძალიან
WTTS Watts - ვატი
WEAK Weak - სუსტი
WID with - თან
WKD Worked - ვიმუშავე
WLL will - იქნება , ვიქნები , უნდა იყოს
WRK Work - მუშაობა , სამუშაო
WRKD Worked - ვიმუშავე
WW World-wide - მთელი მსოფლიო
WX Weather - ამინდი
XTAL Crystal - კვარცული გენერატორი
XYL Ex Young Lady - ცოლი
YES Yes - დიახ , კი
YL Young Lady - ქალიშვილი
73 — საუკეთესო სურვილები
88 — სიყვარული და კოცნა (გადაიცემა ხუმრობით)
AS — დაელოდეთ
AR — გადაცემის დასასრული
BK — ნახევარდუპლექსით მუშაობა
BT — გაყოფის ნიშანი
KN — ვუსმენ მხოლოდ საკუთარ კორესპონდენტს
SK — რადიოკავშირის დასასრული

[საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20 05 წლის 8 აპრილის დადგენილება № 6 -სსმ III, № 45, 18.04.20 05 წ.,მუხ. 469](#)

დანართი № 8

სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორიები



სიხშირეთა ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი	სიხშირეთა ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი
135,7 - 137,8 KHz 1810 - 1838 KHz	100 W 1000 W	CW	18110 - 18318 KHz	1000 W	phone; CW
1838 - 1840 KHz	1000 W	ციფრული; (PACKET -ის გარდა); CW	21000 - 21080 KHz	1000 W	CW
1840 - 1850 KHz	1000 W	ციფრული; (PACKET -ის გარდა); 3K00R3E; 3K00J3E; CW	21080 - 21100 KHz	1000 W	ციფრული; CW
1850 - 2000 KHz	≤ 10 W	3K00R3E; 3K00J3E; 6K00R3E; CW	21100 - 21120 KHz	1000 W	ციფრული; (უპირატესად packet); CW
3500 - 3510 KHz	1000 W	DX; CW	21120 - 21149 KHz	1000 W	CW
3500 - 3560 KHz	1000 W	CW; (უპირატესად contest CW	21149 - 21151 KHz	1000 W	IBP
3560 - 3580 KHz	1000 W	CW	21151 - 21450 KHz	1000 W	phone; CW
3580 - 3590 KHz	1000 W	ციფრული; CW	21340 KHz	1000 W	გამოსაძახებელი სიხშირე SSTV და FAX
3590 - 3600 KHz	1000 W	ციფრული; (უპირატესად packet); CW	24890 - 24920 KHz	1000 W	CW
3600 - 3620 KHz	1000 W	ციფრული; CW	24920 - 24929 KHz	1000 W	ციფრული; CW
3600 - 3650 KHz	1000 W	phone, (უპირატესად contest phone); CW	24929 - 24931 KHz 24930 - 25139 KHz	1000 W	IBP phone, CW
3650 - 3775 KHz	1000 W	phone; CW	24930 - 25139 KHz	1000 W	phone; CW
3700 - 3800 KHz	1000 W	phone, (უპირატესად contest phone); CW	28000 - 28050 KHz	1000 W	CW
3730 - 3740 KHz	1000 W	SSTV; FAX, phone, CW	28050 - 28120 KHz	1000 W	ციფრული; CW
3775 - 3800 KHz	1000 W	Dx phone; CW	28120 - 28150 KHz	1000 W	ციფრული; (უპირატესად packet); CW
7000 - 7035 KHz	1000 W	CW	28150 - 28190 KHz	1000 W	CW
7035 - 7040 KHz	1000 W	ციფრული; (PACKET-ის გარდა); SSTV; FAX; CW	28190 - 29199 KHz	1000 W	რეგიონალური, IBP დროითი დაყოფით
7040 - 7045 KHz	1000 W	ციფრული; (PACKET-ის გარდა); SSTV; FAX; phone; CW	28201 - 28225 KHz	1000 W	მუდმივადმოქმედი IBP
7045 - 7100 KHz	1000 W	phone; CW	28225 - 29200 KHz	1000 W	phone; CW
10100 - 10140 KHz	1000 W	CW	28680 KHz	1000 W	გამოსაძახებელი სიხშირე SSTV და FAX
10140 - 10150 KHz	1000 W	ციფრული; (PACKET -ის გარდა); CW	29200 - 29300 KHz	1000 W	ციფრული ; (NBFM PACKET); phone; CW
14000 - 14070 KHz	1000 W	CW	29300 - 29520 KHz	1000 W	თანამგზავრული downlink
14000 - 14060 KHz	1000 W	CW; (უპირატესად contest CW)	29510 - 29700 KHz	1000 W	phone; CW
14070 - 14089 KHz	1000 W	ციფრული; CW	144 - 146 MHz	100 W	ციფრული; 6K00F3E; 24K0F3E; 3K00R3E; 3K00J3E
14089 - 14099 KHz	1000 W	ციფრული; (უპირატესად არა ავტომატური packet); CW	430 - 440 MHz	100 W	3K00R3E; 3K00J3E; 6K00F3E; 24K0F3E
14099 - 14101 KHz	1000 W	IBP	1240 - 1300 MHz	10 W	ციფრული
14101 - 14112 KHz	1000 W	ციფრული; (უპირატესად დაგროვება-რეტრანსლაცია); PHONE; CW	2320 - 2450 MHz	10 W	3K00R3E
14112 - 14125 KHz	1000 W	phone; CW	5650 - 5850 MHz	10 W	3K00J3E
14125 - 14300 KHz	1000 W	phone, (უპირატესად contest	10 - 10.5 GHz	5 W	



		phone); CW			
14230 KHz	1000 W	გამოსაძახებელი სიხშირე SSTV და FAX	47 - 47.2 GHz	5 W	6K00A3E
14300 - 14350 KHz	1000 W	phone; CW	75.5 - 81 GHz	5 W	6K00F3E
18068 - 18100 KHz	1000 W	CW	119 - 120.026 GHz	5 W	
18100 - 18109 KHz	1000 W	ციფრული; CW	142 - 149 GHz	5 W	24K0F3E
18109 - 18111 KHz		IBP	241 - 250 GHz	5 W	

"B" კატეგორია

სიხშირეთა ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი	სიხშირეთა ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი
135,7 - 137,8 KHz; 1820 - 2000 KHz	100 W; 500 W	100HA1A	21000 - 21450 KHz	500 W	100HA1A
1840 - 2000 KHz	10 W	3K00R3E; 3K00J3E	21080 - 21120 KHz	500 W	ციფრული
1900 - 2000 KHz	500 W	6K00R3E	21150 - 21450 KHz	500 W	3K00R3E; 3K00J3E
3500 - 3800 KHz	500 W	100HA1A	24890 - 24990 KHz	500 W	100HA1A
3580 - 3620 KHz	500 W	ციფრული	24920 - 24929 KHz	500 W	ციფრული
3600 - 3800 KHz	500 W	3K00R3E; 3K00J3E	24930 - 24990 KHz	500 W	3K00R3E; 3K00J3E
3730 - 3740 KHz	500 W	SSTV; FAX	28000 - 29700 KHz	500 W	100HA1A
7000 - 7100 KHz	500 W	100HA1A	28050 - 28150 KHz	500 W	ციფრული
7035 - 7045 KHz	500 W	ციფრული; SSTV; FAX	28200 - 29700 KHz	500 W	3K00R3E; 3K00J3E
7040 - 7100 KHz	500 W	3K00R3E; 3K00J3E	144 - 146 MHz	25 W	100HA1A; 6K00F3E;
10100 - 10150 KHz	500 W	100HA1A	430 - 440 MHz	25 W	24K00F3E;
10140 - 10150 KHz	500 W	ციფრული			3K00R3E; 3K00J3E
14000 - 14070 KHz	500 W	CW	1240 - 1300 MHz	5 W	100HA1A; 24K00F3E; 3K00R3E; 3K00J3E; 6K00A3E; 6K00F3E;
14000 - 14060 KHz	500 W	CW; (უპირატესად contest CW)	2320 - 2450 MHz	5 W	
14070 - 14089 KHz	500 W	ციფრული; CW	5650 - 5850 MHz	5 W	
14089 - 14099 KHz	500 W	ციფრული; (უპირატესად არა ავტომატური packet); CW	10 - 10.5 GHz	5 W	
14099 - 14101 KHz	500 W	IBP	24 -24.5 GHz	5 W	
14101 - 14112 KHz	500 W	ციფრული; (უპირატესად დაგროვება-რეტრანსლაცია); PHONE; CW	47 - 47.2 GHz	5 W	
14230 KHz	500 W	SSTV; FAX	75.5 - 81 GHz	5 W	
18068 - 18168 KHz	500 W	100HA1A	119.98 - 120.02 GHz	5 W	
18100 - 18109 KHz	500 W	ციფრული	142 - 149 GHz	5 W	
18110 - 18168 KHz	500 W	3K00R3E; 3K00J3E	241 - 250 GHz	5 W	

„C“ კატეგორია

სიხშირეთა ზოლი	სიმძლავრე(ვტ)	გამოსხივების კლასი	სიხშირეთა ზოლი	სიმძლავრე (ვტ)	გამოსხივების კლასი
135,7-137,8 KHz 1820 -2000 KHz	100 W 100W	100HA1A	430-400 MHz	5 W	100HA1A 3K00R3E;3K00J3E 6K00A3E; 6K00F3E; 24K00F3E;
1850-2000 KHz	100W	3K00R3E;3K00J3E	1240-1300 MHz	5 W	
1900-2000 KHz	100W	6K00R3E	2320-2450 MHz	5 W	
3500-3650 KHz	100W	100HA1A	5650-5850 MHz	5 W	
3650-3700 KHz	100W	3K00R3E;3K00J3E	10-10.5GHz	5 W	
21000-21450 KHz	100W	100HA1A	24-24.5 GHz	5 W	
28000-29700 KHz	100W	100HA1A	47-47.2 GHz	5 W	
28200-29700 KHz	100W	3K00R3E;3K00J3E	75.5-81 GHz	5 W	
29200-29700 KHz	100W	6K00R3E	11998-12002 GHz	5 W	
144-146MHz	5W	100HA1A 6K00F3E; 24K00F3E; 3K00R3E;3K00J3E	142-149 GHz	5 W	



სააღსრულებო ფურცელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება _____

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

კომისიამ გადაწყვიტა:

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი: _____

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები: _____

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი;

რეკვიზიტები: _____

კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ბ.ა .

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის დადგენილება №4-სსმIII, №49, 10.04.2006წ.,მუხ.625

